



დანაშაულის

და სასჯელის

პოლიტიკა

საქართველოში

დანაშაულის და სასჯელის პოლიტიკა საქართველოში

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების
(ქურდობა/ძარცვა) და ნარკოდანაშაულის
ცალკეული სახის ანალიზზე



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი



OPEN SOCIETY
FOUNDATIONS

დოკუმენტი მომზადებულია „ლიკ საზოგადოების ფონდების“ (OSF) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „სოციალური სამართლიანობის ცენტრი.“ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

კვლევის ავტორები: თამარ გვასალია, თორნიკე გერლიანი, ანი ნასრაშვილი

კვლევაზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე

ყდის ფოტო: ლაშა ცერცვაძე

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

ქართული ენის რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი და ნინო ბექაშვილი

ტირაჟი: 100

ISBN: 978-9941-8-3280-2

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge>

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

კვლევის მეთოდოლოგია	6
მიგნებები და რეკომენდაციები.....	9
 ნაწილი I. სისხლის სამართლის პოლიტიკა - დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიები ...	17
შესავალი - სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარება საქართველოში.....	17
სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირება	20
დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიები - უწყებრივი პასუხისმგებლობა	22
ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებების გათვალისწინება სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირების პროცესში	29
 ნაწილი II. სისხლის სამართლის პოლიტიკა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან (ქურდობა/ძარცვა) მიმართებით	31
შესავალი - საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და მისი გამომწვევი სოციალური ფაქტორების სამართლებრივი ანალიზი	31
საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციის მექანიზმები	36
სასჯელის პოლიტიკა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან მიმართებით	43
 ნაწილი III. სისხლის სამართლის პოლიტიკა ცალკეული სახის ნარკოდანაშაულთან მიმართებით	51
შესავალი	51
ნარკოტიკული საშუალებების სისხლისსამართლებრივი კონტროლი	53
ნარკოდანაშაულის გამომწვევი მიზეზები	56
ნარკოდანაშაულის მიზეზები ახალგაზრდებში	62
სახელმწიფოს პრევენციული ღონისძიებები ნარკოდანაშაულთან მიმართებით	65
სასჯელის პოლიტიკა ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით	68
 ნაწილი IV. სასჯელის მოხდა და რეინტეგრაციის პერსპექტივები	74
სასჯელის მოხდის პროცესი, პენიტენციურ სისტემაში არსებული ბარიერები	74
სასჯელის მოხდის შემდგომი პროცესი, დაბრკოლებები რეინტეგრაციის პროცესში	78
 შეჯამება	84

კვლევის მეთოდოლოგია

ნულოვანი ტოლერანტობის მძიმე გამოცდილების შემდეგ, ახალი პოლიტიკური ძალა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის იდეით ჩაუდგა სათავეში სახელმწიფოს. ამ პერიოდში დაიგეგმა და გატარდა ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა. თუმცა არაჯეროვანმა ძალისხმევამ, არსებითად ვერ შეცვალა და გააუმჯობესა მდგომარეობა ქვეყანაში. მართალია, მეტნაკლები ინტენსივობით, თუმცა, სისხლის სამართალი სახელმწიფოს ხელში კვლავ რეპრესიის უმთავრეს ინსტრუმენტად დარჩა.

წინამდებარე კვლევა ქვეყანაში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკას, დანაშაულის გამომწვევი სოციალური და ეკონომიკური ასპექტების ფონზე აფასებს. კვლევა ძირითადად ორი სახის – საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ქურდობა/ძარცვა) და ნარკოდანაშაულის ცალკეული სახეების სოციოლოგიური კვლევის მონაცემებს ეყრდნობა.

კვლევაში მოკლედ არის გადმოცემული სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირების პრობლემები და მისი ტრანსფორმაციის ეტაპები ქვეყანაში. ნაშრომი ცდილობს გამოააშკარავოს, რამდენად შეძლო სახელმწიფომ ნულოვანი ტოლერანტობის გამოცდილების ადამიანზე ორიენტირებული მიდგომით ჩანაცვლება, სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირების პროცესში ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინება.

სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე და სხვადასხვა კრიმინოლოგიურ თეორიაზე დაყრდნობით, კვლევაში მოცემულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების (ქურდობა/ძარცვა) და ცალკეული ხასიათის ნარკოდანაშაულის გამომწვევი სოციალური ფაქტორების სამართლებრივი ანალიზი, მათი პრევენციის მექანიზმები და სახელმწიფოში არსებული სასჯელის პოლიტიკა დანაშაულის ამ ორ სახესთან მიმართებით. კვლევის ბოლო ნაწილი, სასჯელის მოხდის და გათავისუფლების შემდეგ, რეინტეგრაციის პროცესში არსებულ დაბრკოლებებს ეთმობა.

სოციოლოგიური კვლევა

სოციალური სამართლიანობის ცენტრმა, ღია საზოგადოების ფონდების მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის, „ჰუმანური და სამართლიანი ნარკოპოლიტიკის ჩამოყალიბება“, ფარგლებში, პარტნიორ ორგანიზაციასთან, „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტთან“, ერთად ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ქურდობა/ძარცვის და ნარკოდანაშაულის ცალკეული სახეების სოციალური ასპექტების შესახებ ჩატარებული სოციოლოგიური (რაოდენობრივი და თვისებრივი) კვლევის შედეგების, სამართლებრივი ანალიზია.

სოციოლოგიური კვლევის ამოცანები შემდეგნაირად დაიყო: ნარკოდანაშაულის ცალკეული სახეები და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული (ქურდობა/ძარცვა) დანაშაულის შესახებ ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა; დანაშაულებრივი ქმედების განმაპირობებელი სოციალური ფაქტორების შესწავლა, რომლებიც პირს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს. კვლევის ერთ-ერთ ამოცანად განისაზღვრა დანაშაულის მიმართ უფრო მეტად მიდრეკილი სოციალური ჯგუფების დადგენა – ის, თუ რა მახასიათებლები შეიძლება ჰქონდეთ მათ. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ რესპონდენტთა მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რომელ დანაშაულს სჩადიან ადამიანები ყველაზე ხშირად, რა ფაქტორები ახდენს ამაზე გავლენას და სხვ.

კანონმდებლობის ანალიზი

კვლევაზე მუშაობისას სრულყოფილად გაანალიზდა ყველა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც აწესრიგებს ზოგადად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების, პენიტენციური სისტემის საკითხებს. კვლევის ჯგუფი ასევე დაეყრდნო კონკრეტული ინსტიტუციების (შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციურის სამსახურის და სხვ.) შიდა მარეგულირებელ კანონქვემდებარე აქტებს და ამავე უწყებების მიერ, სხვადასხვა მიმართულებით დამტკიცებულ პოლიტიკის დოკუმენტებს, სტრატეგიებს და სამოქმედო გეგმებს.

ანალიტიკური დოკუმენტების, შიდა და საერთაშორისო ანგარიშების ანალიზი

კვლევაზე მუშაობის პროცესში, კვლევის გუნდი დაეყრდნო ორგანიზაციის და სხვა პარტნიორი ორგანიზაციის კვლევებს, ანალიტიკურ დოკუმენტებს, ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მასალების მეორეულ ანალიზს. კვლევაზე მუშაობის პროცესში, აქტიურად გამოვიყენეთ სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციის ანგარიშები ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ.

კვლევის გუნდი, კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, ასევე დაეყრდნო, ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, სახალხო დამცველის ყოველწლიურ საპარლამენტო და სპეციალურ ანგარიშებს.

საჯარო ინფორმაცია და სასამართლო გადაწყვეტილებები

საწყის ეტაპზე, კვლევის გუნდმა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, მიმართა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებას, მათ შორის, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას, პროკურატურას, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების და მეცნიერების, ოკუპირებული ტერიტორიებიდან, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს და სხვ.

საკუთრების წინააღმდეგ (ქურდობა/ძარცვა) მიმართულ დანაშაულებთან და ნარკო-დანაშაულის ცალკეულ სახეებთან დაკავშირებით, დანაშაულის ხასიათის განსასაზღვრად და მისი სიმძიმის შესაბამისად, იმის შესაფასებლად, რამდენად ითვალისწინებს სასამართლო სასჯელის დანიშვნისას პირის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, სხვადასხვა საქალაქო და რაიონული სასამართლოდან გამოვითხოვეთ სასამართლოს გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილებათა ანალიზი, კვლევის სხვადასხვა თავშია მოცემული.

დაბრკოლებები კვლევაზე მუშაობის პროცესში

ორგანიზაციამ კვლევაზე მუშაობა 2020 წლის დასაწყისში დაიწყო. ამ პროცესში ძირითადი დაბრკოლება ქვეყანაში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარება იყო, რომელმაც გარკვეულწილად შეაფერხა და დროში გაწელა სოციოლოგიური კვლევის კომპონენტი. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე კვლევაც დიდწილად სოციოლოგიური კვლევის შედეგებს ემყარება, პანდემიამ ამ დოკუმენტის დროულად შემუშავებაზეც ნეგატიურად იმოქმედა.

კვლევის გუნდისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ასევე საჯარო ინფორმაციის დროული მიღება სხვადასხვა უწყებიდან. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის გუნდმა ჯერ კიდევ საწყის პერიოდში მიმართა სხვადასხვა უწყებას შესაბამისი ინფორმაციის მოწოდების თხოვნით, ყველა უწყებას ჯერ კიდევ არ მოუწოდებია ინფორმაცია სრულყოფილად. ზოგიერთმა უწყებამ კი, საერთოდ არ გასცა შესაბამისი ინფორმაცია, რაც, თავის მხრივ, კვლევის სრულყოფაზეც აისახა.

მიგნებები და რეკომენდაციები

ძირითადი მიგნებები დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკასთან დაკავშირებით

- დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა დღემდე ვიწროდ, მხოლოდ ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობის სფეროდ მიიჩნევა;
- ინტენსიურად არ მიმდინარეობს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ერთიანი, კრიმინოლოგიური შეფასება, რომელშიც ყველა პასუხისმგებელი უწყება მიიღებდა მონაწილეობას, რომელზე დაფუძნებითაც განისაზღვრებოდა პოლიტიკა, და შემუშავდებოდა სამოქმედო სტრატეგიები და გეგმა;
- სახელმწიფოს მოქმედება არ არის ეფექტიანი, იმისთვის რათა შეებრძოლოს დანაშაულს მისი გამომწვევი მიზეზების შემცირებით ან აღმოფხვრით, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე ორიენტირებით;
- პარლამენტს დღემდე არ მიუღია სისხლის სამართლის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი;
- მთავრობას ამ ეტაპამდე არ დაუმტკიცებია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის ერთიანი წესი;
- პროკურატურის კვლევები და პრევენციული ღონისძიებები ძირითადად არასრულწლოვნებს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს ეხება, რაც მნიშვნელოვანია, თუმცა, ნაკლები ყურადღება ეთმობა სხვა კატეგორიის დანაშაულთა კვლევებს;
- ქვეყანაში საკმარისად არ ინერგება პრევენციული მექანიზმები, სხვადასხვა მიმართულებით. დღემდე არ არსებობს პრევენციის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი;
- პრევენციის პასუხისმგებლობა სამართალდამცავი სისტემის ფარგლებს არ სცდება, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის სწორედ საპოლიციო პრევენციული და რეაგირებითი უფლებამოსილებების გამიჯვნის თვალსაზრისით;
- არ ხდება ადგილობრივი საჭიროებების მოკვლევა და მათი გათვალისწინებით პრევენციული მექანიზმების დანერგვა. ფორმალური აღმოჩნდა დანაშაულის პრევენციის და მართლწესრიგის დაცვის ხელშეწყობის მუდმივმოქმედი

ადგილობრივი უწყებათაშორისი საბჭოების როლიც. დღემდე საბჭოს არცერთი სხდომა არ ჩატარებულა;

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი დაბრკოლებების გათვალისწინებით, კვლევის გუნდს აქვს შემდეგი რეკომენდაციები:

- ქვეყანაში უნდა დაინერგოს ინტენსიური კრიმინოლოგიური კვლევის პრაქტიკა, სხვადასხვა ორგანოს მონაწილეობით;
- დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიებში, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მისი გამომწვევი მიზეზების შეფასებას და აღმოფხვრას, დანაშაულის სოციალური და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებას;
- მიზანშეწონილია, პარლამენტმა შესაბამისი დოკუმენტით განსაზღვროს სისხლის სამართლის პოლიტიკა;
- საქართველოს მთავრობამ დროულად უნდა დაამტკიცოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის წესი;
- სახელმწიფომ დროულად უნდა შეიმუშაოს დანაშაულის პრევენციის დოკუმენტი და დანერგოს ქვეყანაში პრევენციული მექანიზმები. პრევენცია არ უნდა აღიქმებოდეს ვიწროდ, მხოლოდ სამართალდამცავი უწყებების კომპეტენციად;
- სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს ადგილობრივ რგოლებთან თანამშრომლობა და მათი მონაწილეობა დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის ფორმირების პროცესში;

ძირითადი მიგნებები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ (ქურდობა/ძარცვა) დანაშაულებთან დაკავშირებით

- ქურდობის/ძარცვის ჩადენაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ოჯახის ცუდი ფინანსური მდგომარეობა, საბანკო ვალის/სესხის ქონა, აზარტული თამაშებით გამოწვეული ფინანსური ვალდებულებები და უთანასწორო სოციალურ-ეკონომიკური გარემო (საზოგადოებაში საკუთარი თავის რეალიზაციის შეუძლებლობა). დამატებით, მნიშვნელოვანი ფაქტორია მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირების ყოლა სანაცნობო/საახლოებლო გარემოში და მათი გავლენა;

- საქართველოში არსებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა ნაკლებად არის ორიენტირებული ქურდობის/ძარცვის გამომწვევი საფუძვლების აღმოფხვრასა და, შესაბამისად, დანაშაულის შემცირებაზე. ის, უმთავრესად, დამნაშავის დასჯით შემოიფარგლება, ხოლო კონტროლისა და დაქვემდებარების ობიექტებს დაბალი სოციალური ფენები (უმუშევრები, დაბალშემოსავლიანები, სოციალურად სხვაგვარად მოწყვლადი ადამიანები) წარმოადგენენ;
- საქართველოში არ არსებობს იმ ტიპის სტრატეგიები და ხედვები, რომლებიც ქურდობისა და ძარცვის დანაშაულების პრევენციის კომპლექსურ მიდგომებს დასახავდა და გაითვალისწინებდა პრევენციის არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ განზომილებებსაც;
- პრობლემაა ქურდობისა და ძარცვისთვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის სახეები, დამამძიმებელი გარემოებების დაჯგუფების ლოგიკა და „მნიშვნელოვანი ზიანის“ კომპონენტი. ზოგიერთ შემთხვევაში გამოწვევას წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის კოდექსით შემოთავაზებული მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები;
- 177-ე და 178-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის სისხლის სამართლის კოდექსით საერთოდ არ არის გათვალისწინებული სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო შინაპატიმრობის არსებული მოდელი ხარვეზიანია და მისმა გამოყენებამ, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, ჯარიმის მსგავსი ეფექტი შექმნას;
- საერთო სასამართლოები და ბრალდების მხარე, ხშირ შემთხვევებში, სათანადოდ არ აანალიზებს, მხედველობაში არ იღებს ქურდობის/ძარცვის გამომწვევ სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს და გადაწყვეტილებებს მათ არ აფუძნებს;

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი დაბრკოლებების გათვალისწინებით, კვლევის გუნდს აქვს შემდეგი რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების ჩართულობით შეიქმნას ქურდობის/ძარცვის პრევენციის ერთიანი დოკუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს როგორც სისხლისსამართლებრივ, ასევე სოციალური პოლიტიკის მექანიზმებსა და სტრატეგიებს;
- უნდა გადაიხედოს ქურდობის/ძარცვის დანაშაულების დამამძიმებელი გარემოებების, შესაბამისი სასჯელების დივერსიფიცირებულობისა და ზომების თაობა-

ზე არსებული საკანონმდებლო მიდგომები, რათა ის უფრო ჰუმანური და სასჯელის მიზნებზე ორიენტირებული გახდეს;

- 177-ე და 178-ე მუხლებით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსმა უნდა გაითვალისწინოს სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების შესაძლებლობა;
- უნდა შეიცვალოს შინაპატიმრობის გამოყენებისას ფინანსური ვალდებულების მსჯავრდებულზე დაკისრების არსებული წესი. კერძოდ, ეს შესაძლოა გულისხმობდეს საგამონაკლისო კატეგორიების გაფართოებას, მოსამართლისთვის მეტი დისკრეციის მინიჭებას ან, საუკეთესო შემთხვევაში, შინაპატიმრობის საფასურის გადახდევინების გამორიცხვას საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემთხვევაში;
- საერთო სასამართლოებმა და ბრალდების მხარემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ქმედების გამომწვევი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების სათანადო ანალიზს, ხოლო მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მხედველობაში უნდა იღებდეს ამ ფაქტორების პირის ქცევაზე გავლენას;

ძირითადი მიგნებები ცალკეული სახის ნარკოდანაშაულთან მიმართებით

- ნარკოტიკული დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს შორის დიდი როლი აქვს ცუდ ეკონომიკურ პირობებს, სტრესს და მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას;
- ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მნიშვნელოვანი ფაქტორებია აკრძალული ნივთიერებებისადმი ინტერესი და ცნობისმოყვარეობა, განტვირთვის სურვილი. ასევე მოხმარების ხელშემწყობი ფაქტორია ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა – ცხოვრების მიმართ ინტერესის დაკარგვა, ნარკოტიკებზე მარტივი ხელმისაწვდომობა და არაინფორმირებულობა ნარკოტიკული ნივთიერებების მავნე ზეგავლენის შესახებ;
- მოქმედი სისხლის სამართლის პოლიტიკა ყურადღებას არ ამახვილებს ნარკოტიკული დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე და სისხლისსამართლებრივი სანქციების შეფარდებით შემოიფარგლება. მსჯავრდებულთა დიდი ნაწილი დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთვნება და დატვირთულია მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით;

- ქვეყანაში ანტინარკოტიკული პრევენციული ღონისძიებები ფრაგმენტული და არასისტამიზირებული ხასიათისაა, რაც დანაშაულის ჩადენის შემდგომ რისკებზე არაინფორმირებულობას განაპირობებებს და ნარკოდანაშაულის შემცირებას არ უწყობს ხელს;
- მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ნარკოდანაშაულებზე დაწესებულ სანქციათა შეუსაბამოდ მაღალი ზომები, მომხმარებელთა მკაცრი სისხლისსამართლებრივი სანქციებით დასჯა;
- სარეაბილიტაციო, ფსიქოლოგიური თუ სამედიცინო პროგრამების კუთხით სახელმწიფო პოლიტიკა სუსტია;
- ნარკოტიკული დანაშაულის გამომწვევი სოციალური და ეკონომიკური მიზეზები ყურადღების მიღმა რჩება ბრალდების მხარისა და სასამართლოს მხრიდან სასჯელის შეფარდების საკითხის გადაწყვეტისას. ამ კუთხით, პრობლემურია განაჩენთა დასაბუთებულობის ხარისხიც;
- ნარკოტიკული დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთის სასჯელისგან გათავისუფლებულები, ასევე პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირები ხშირად ექვემდებარებიან დაუსაბუთებელ საპოლიციო კონტროლსა და შემოწმებას, რაც აძლიერებს ამ პირთა მიმართ არსებულ საზოგადოებრივ სტიგმას;
- უკიდურესად სუსტია სახელმწიფოს პოლიტიკა ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის თვალსაზრისით. სასჯელის მოხდის შემდგომ ხანგრძლივად მოქმედი ნასამართლობის სტატუსი დასაქმების კუთხით არსებულ პრობლემებს კიდევ უფრო ამწვავებს. ნარკოდანაშაულებისთვის განსაზღვრული დამატებითი სასჯელთა სისტემა, გასამართლებულთა საზოგადოებისგან გარიყულობას იწვევს და მნიშვნელოვნად ამცირებს მათი დასაქმების შესაძლებლობას.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი დაბრკოლებების გათვალისწინებით, კვლევის გუნდს აქვს შემდეგი რეკომენდაციები:

- სისტემურ რეფორმას საჭიროებს რეპრესიულ მიდგომებზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკა. სახელმწიფომ უარი უნდა თქვას ნარკომომხმარებლის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯაზე და არსებული რესურსები უნდა მიმართოს ზიანის შემცირების მიდგომების დანერგვაზე, სამკურნალო და სარეაბილიტაციო პროგრამების გაძლიერებაზე;

- აუცილებელია ქვეყანაში პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებათა ერთობლივი მუშაობა, სისტემური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანტინარკოტიკული პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება 2021-2026 წლების ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგიის პრაქტიკული აღსრულება;
- ნარკოტიკული დანაშაულისთვის პირის პასუხისმგებლობაში მიცემის დროს, ბრალდების მხარემ და სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილონ დანაშაულის სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე. ნარკოტიკული დანაშაულისთვის სასჯელის შეფარდებისას, მსჯავრდებულის პირად და ეკონომიკურ პირობებზე დაყრდნობით, სანქციის სახეობისა და ზომის ქმედებასთან პროპორციულობა, სათანადო ხარისხით უნდა იყოს დასაბუთებული ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე;
- მიზანშეწონილია, პენიტენციური დაწესებულებებიდან პირის გათავისუფლების შემდგომ, ისევე, როგორც პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნის პერიოდში, ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს ხელი მიუწვდებოდეთ რესოციალიზაციის და რეინტეგრაციის სერვისებზე, დასაქმების პროგრამებზე, ფსიქო-სოციალურ, სამედიცინო და ჯანდაცვის პროგრამებზე.

ძირითადი მიგნებები სასჯელის მოხდის და რეინტეგრაციის პროცესებთან მიმართებით

- სასჯელის მოხდის პერიოდში აქცენტი გადატანილია მსჯავრდებულთა კონტროლზე, შიდა უსაფრთხოების საკითხებზე და მსჯავრდებულებს ნაკლებად აქვთ წვდომა ადევკატურ სამედიცინო და საგანმანათლებლო სერვისებზე;
- მსჯავრდებული პირებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ვიზიტების სიმცირე, ოჯახის წევრებთან კავშირი და სიახლოვე;
- ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სასჯელის მოხდის რეჟიმის გათვალისწინებით, არის პაემნის უფლების ხანგრძლივობა, ინტენსივობა და ვიზიტის დროს კონფიდენციალურობის დაცვა;
- დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს შეუძლია ჰქონდეს წელიწადში მხოლოდ 2, ხოლო განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს – 1 ხანგრძლივი პაემანი. ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობა ფინანსებთან არის დაკავშირებული, რაც, შესაძლოა,

ბევრი მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრისთვის მნიშვნელოვანი ბარიერი აღმოჩნდეს;

- ვიდეოპაემნით ვერ სარგებლობს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, რომელსაც ისედაც შეზღუდული აქვს ბევრი უფლება;
- პენიტენციურ სისტემაში იმავე დოზით და ხარისხით არ არის ხელმისაწვდომი ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის ყველა სერვისი;
- განსაკუთრებით პრობლემურია წამალდამოკიდებულ პირთა მკურნალობის საკითხი პენიტენციურ სისტემაში. ციხეებში დღემდე არ მოქმედებს ხანგრძლივი ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამა;
- სუსტია ქვეყანაში რესოციალიზაციის მექანიზმები, რამაც სასჯელადსრულების სისტემიდან დაბრუნების შემდეგ, ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებაში პირთა რეინტეგრაციას, მათთვის ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას და ამით ხელახალი დანაშაულის არიდებას;
- სასჯელის მოხდის შემდეგ ან პრობაციაში ყოფნის პერიოდში პირები პოლიციის მუდმივი კონტროლის ქვეშ არიან;
- ქვეყანაში არ არსებობს იმგვარი სოციალური და დასაქმების პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობდა პირთა დასაქმებას სასჯელის მოხდის შემდგომ პერიოდში;
- გარდა პოლიტიკის დონეზე არსებული პრობლემებისა, მნიშვნელოვანი ბარიერებია კანონმდებლობაშიც. კანონმდებლობით, პირი მოხელედ არ მიიღება საჯარო სამსახურში, თუ იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი დაბრკოლებების გათვალისწინებით, კვლევის გუნდს აქვს შემდეგი რეკომენდაციები:

- პენიტენციური ჯანდაცვის და განათლების სისტემები მაქსიმალურად უნდა მიესადაგოს ზოგადად ქვეყანაში არსებულ სისტემას;
- თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უნდა შეიქმნას სათანადო პირობები ვიზიტების გახანგრძლივების, ოჯახთან კავშირის და კომუნიკაციის კონფიდენციალურობისთვის;

- დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ პირთათვის უნდა გაიზარდოს პაემნის უფლების ხანგრძლივობა და სატელეფონო ზარების რაოდენობა;
- ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება უნდა მიენიჭოთ, მათ შორის, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებსაც;
- სახელმწიფოში უნდა არსებობდეს სოციალური და დასაქმების პროგრამები სასჯელის მოხდის შემდეგ;
- სასჯელის მოხდის შემდეგ, ან პრობაციაში ყოფნის პერიოდში ინტენსიური საპოლიციო კონტროლი უნდა შემცირდეს. დანაშაულის პრევენცია და უსაფრთხოების დაცვა, სახელმწიფომ სათანადო, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკით უნდა აწარმოოს.

ნაწილი I. სისხლის სამართლის პოლიტიკა — დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიები

შესავალი — სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარება საქართველოში

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, ქვეყნისთვის უდიდესი გამოწვევაა მასობრივი უმუშევრობა და ეკონომიკური სიღუხტირე. სახელმწიფოს უჭირს დააკმაყოფილოს ბაზისური სოციალური საჭიროებები. ამ პირობებში კი, ყოველთვის მაღალია ცდუნება, სახელმწიფოებმა წესრიგის დასამყარებლად თუ შესანარჩუნებლად, აქტიურად მიმართონ სისხლის სამართლის მექანიზმებს.

ტოტალური კორუფციის და სახელმწიფოს დისფუნქციურობის ფონზე, 2003 წლის ვარდების რევოლუციის ძალით მოსული ხელისუფლების პოლიტიკა, ამ იდეის ნათელი მაგალითია.¹ სახელმწიფოს ფუნქციის აღდგენის, წესრიგის დამკვიდრების თუ დანაშაულთან ბრძოლის ნულოვანი ტოლერანტობის პრაქტიკამ ცხადყო, როგორ იქცა სისხლის სამართალი სახელმწიფოსთვის მიზნის მიღწევის ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტად. გარდაუვალი დასჯა კი — სიღარიბის, კორუფციის, უმუშევრობის, ეკონომიკური სიღუხტირის დაძლევის საშუალებად.

იმ პერიოდში აგრესიულ ანტიკორუფციულ, საპოლიციო და დანაშაულის წინააღმდეგ გატარებულ რეფორმებს, მყისიერი ეფექტები ჰქონდა. ამან საზოგადოების დამოკიდებულება იმუამად არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ, ორად გაყო. თუმცა, სისხლის სამართლის ინტერვენციით და ადამიანის უფლებათა მძიმე, მასობრივი დარღვევების ხარჯზე მიღწეულმა შედეგებმა, საზოგადოების კეთილგანწყობა დიდი ხნით ვერ შეინარჩუნა. საბოლოო ჯამში, სისხლის სამართლის რეპრესიული პოლიტიკა გახდა იმუამინდელი პოლიტიკური ძალის მყისიერი აღმშენებლის, ხოლო შემდეგ — პოლიტიკური დაღმასვლის მიზეზი.

ინიცირებული რეფორმების კვალდაკვალ, პროკურატურის უწყებრივი გაძლიერების და სასამართლოს ხელში მოქცევის შემდეგ, მართლმსაჯულების სისტემაზე ვერ შეძლო სისხლის სამართლის რეპრესიის შეკავება, ადამიანის უფლებების დასაზღვევად. შემდგომ პერიოდში ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის კვლევებმა ცხადყო, რომ განსასჯელები მხოლოდ იმიტომ თანხმდებოდნენ საპროცესო შეთანხმებას, რომ სასამართლო სისტემის და გამამართლებელი განაჩენის გამო-

1 Agenda for Reform, Human Rights Priorities after the Georgian Revolution, A Human Rights Watch Briefing Paper, February 24, 2004, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3wbXpX5> წვდომის თარიღი: 15.04.2021

ტანის შესაძლებლობის არ სჭეროდათ.² უკიდურესად დაბალი გამამართლებელი განაჩენის (2009 წელს ის 0.1%-მდე დაეცა) პროცენტული მაჩვენებელი ბრალდებულს უბიძგებდა, თავი დამნაშავედ ეცნო.³

მასშტაბური დაკავებები და პარალელურად, ცხადი ეკონომიკური ეფექტის მქონე სამართლებრივი მექანიზმების ინტენსიური გამოყენება (საპროცესო შეთანხმების უსამართლო და აგრესიული პრაქტიკა, სასჯელთა განსაზღვრის რეპრესიული წესი, მაღალი ჯარიმები, ქონების კონფისკაციის მექანიზმი, სასჯელალსრულების დაწესებულებაში ვიზიტებისთვის განსაზღვრული თანხები), ქვეყანაში, სადაც ღირსეული სოციალური დაცვა, როგორც დევიაციების შემცირების მექანიზმი, გაცილებით ძვირი და მიუღწეველი იყო, სოციალური პოლიტიკის ალტერნატივად იქცა.⁴ იმდროინდელი სისხლის სამართლის პოლიტიკა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ძალუძს სახელმწიფოს, დანაშაულთან ბრძოლის ეგიდით, ადამიანის პრიმატის უარყოფა, მისი გარდაქმნა ეკონომიკური გაძლიერების ინსტრუმენტად.

მოგვიანებით, იმ პერიოდში არსებული სისხლის სამართლის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, სამართლიანად შეფასდა, როგორც ავტორიტეტისა და წესრიგის აღდგენის მექანიზმი, მრავალწლიანი სოციალური კრიზისის ფუნდამენტზე შექმნილი, სუსტი სახელმწიფოსთვის.⁵

მასშტაბური რეპრესიის ფონზე, ცხადია, ის ნაბიჯები, რაც მოგვიანებით (2009 წლიდან) სისხლის სამართლის პოლიტიკის შემსუბუქების მიზნით გადაიდგა, საკმარისი არ იყო. თუმცა, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღება. ახალმა კოდექსმა აბსოლუტურად შეცვალა იმჟამად არსებული საპროცესო სისტემა. კოდექსი და მისი ძირითადი პრინციპები საერთაშორისო საზოგადოებამ დადებითად შეაფასა. თუმცა, აღინიშნა, რომ ეს არ იყო საკმარისი, და რომ ქვეყანას უნდა შეექმნა სისხლის სამართლის სისტემა, რომელსაც მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის უნარი ექნებოდა.⁶ მალევე ქვეყანამ დაამტკიცა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები.⁷ ამ დოკუმენტით,

2 დანაშაული და გადამეტებული სასჯელი: საქართველოს საპატიმროებში ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბი და მიზეზები, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2014 წელი.

3 ადამიანის უფლებათა ევროპული საბჭოს კომისიის, თომას ჰამერბერგის მოხსენება საქართველოში მისი ვიზიტის შემდეგ, 2011 წლის 18-20 აპრილს. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PvMuYS> წვდომის თარიღი: 27.04.2021

4 სასჯელი და სახელმწიფოს მშენებლობა პოსტსაბჭოთა საქართველოში; გვერდი სლევინი, თარგმანი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2SOkAbH> წვდომის თარიღი: 15.05.2021

5 სასჯელი და სახელმწიფოს მშენებლობა პოსტსაბჭოთა საქართველოში; გვერდი სლევინი, თარგმანი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2SOkAbH> წვდომის თარიღი: 15.05.2021

6 ევროკავშირი-საქართველო, სამოქალაქო საზოგადოების სემინარი ადამიანის უფლებებზე, თბილისი 21-211 ივნისი, 2012, შემაჯამებელი მოხსენება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33JkpR5> წვდომის თარიღი: 15.05.2021

7 სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანება.

გაცხადდა სისხლის სამართლის პროცესის წარმოების პრინციპები და მიმართულება; გამოიკვეთა ამ პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის სავალდებულობა, დისკრეციული დევნის გამოყენების საფუძველი და სხვ. რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ყველაზე დიდი ხარვეზი, რაც ამ დოკუმენტს დღემდე აქვს, არის კონცენტრაცია პროკურატურის სისტემაზე. პოლიტიკის ამ დოკუმენტმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა, რომ სახელმწიფო ფართოდ ვერ ხედავს სისხლის სამართლის პოლიტიკის როლს და მას ვიწროდ, მხოლოდ ძალოვანი სისტემის საგნად განიხილავს.

ეს ტენდენცია „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებშიც შენარჩუნდა. ახალმა პოლიტიკურმა ძალამ, 2012 წელს, თავის საარჩევნო პროგრამაში, სისხლის სამართლის მიმდინარე, რეპრესიული პოლიტიკის შედეგების საპასუხოდ, არაერთი საკითხი წარმოადგინა.⁸ 2012 წლიდან, ახალი პოლიტიკური გუნდის მმართველობის პირობებში (განსაკუთრებით კი სანაყის პერიოდში), ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.⁹ კანონმდებლობის შეცვლასთან ერთად, მნიშვნელოვნად შესუსტდა პრაქტიკაში სისხლის სამართლის მკაცრი მექანიზმების გამოყენება.¹⁰ თუმცა, დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა, მაინც ვიწროდ, ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობის სფეროდ დარჩა, რომელმაც მდგომარეობა უკეთესობისკენ ფუნდამენტურად ვერ შეცვალა.

სისხლის სამართლის არსებული პოლიტიკა კვლავ რეაქციულ მიდგომაზეა ორიენტირებული და მხოლოდ სასჯელის ძალით მოქმედებს. ქვეყანაში საკმარისად არ ინერგება პრევენციული მექანიზმები სხვადასხვა მიმართულებით. დღემდე არ არსებობს პრევენციის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი.¹¹ ინტენსიურად არ მიმდინარეობს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ერთიანი, კრიმინოლოგიური შეფასება ყველა პასუხისმგებელი უწყების მონაწილეობით, რათა მასზე დაფუძნებით განისაზღვროს პოლიტიკა, და შემუშავდეს სამოქმედო სტრატეგიები და გეგმა. სუსტია ქვეყანაში რესოციალიზაციის მექანიზმები, რამაც სასჯელალსრულების სისტემიდან დაბრუნების შემდეგ, ხელი უნდა შეუწყოს პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას, მათთვის ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას და ამით ხელახალი დანაშაულის არიდებას.

სახელმწიფოს მოქმედება ეფექტიანი არ არის იმისთვის, რათა შეებრძოლოს დანაშაულს მისი გამომწვევი მიზეზების შემცირებით ან აღმოფხვრით, სოციალურ და

8 დეტალურად იხილეთ: <https://bit.ly/3fk8nDf> წვდომის თარიღი: 15.05.2021

9 მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: თომას ჰამერბერგი, საქართველო გარდამავალ პერიოდში, ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, 2013.

10 შეიცვალა სასჯელთა შეკრების წესი, პირველ პერიოდში მნიშვნელოვნად იკლო პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი.

11 დანაშაულის პრევენცია, საპოლიციო კონტროლის რისკები, „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ 2017, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33Jf6li> წვდომის თარიღი: 18.03.2021.

ეკონომიკურ ფაქტორებზე ორიენტირებით. ამ ვითარებაში კი, ბუნებრივია, წესრიგის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი დატვირთვა რჩება მხოლოდ სამართალდამცავი სისტემის ფარგლებში. საბოლოო ჯამში კი, წესრიგის შენარჩუნების ძირითადი ინსტრუმენტი სახელმწიფოსთვის კვლავ არის „მართვა დასჯით“.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირება

სისხლის სამართლის პოლიტიკა სახელმწიფოს დემოკრატიულობის მნიშვნელოვანი მსაზღვრელია. ქვეყანაში არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა განსაზღვრავს არა მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს სტრატეგიას, დანაშაულის მართვის მეთოდს, არამედ ააშკარავებს სახელმწიფოს პრიორიტეტებს, უპირველესად კი, ადამიანის ადგილს მის ღირებულებათა სისტემაში.

სისხლის სამართლის პოლიტიკა შეიძლება მივიჩნიოთ ერთიან, კომპლექსურ სტრატეგიად, რომელიც, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს დანაშაულის გამომწვევ, ხელშემწყობ ფაქტორებზე რეაგირებას, ხოლო მეორე მხრივ, განსაზღვრავს სახელმწიფოს რეაქციას უკვე შემდგარ დანაშაულებრივ ქმედებაზე.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირების პროცესში განმსაზღვრელია კრიმინოლოგიის როლი. მას შეუძლია წარმოაჩინოს კავშირი კონკრეტულ ჯგუფში, სოციალურში, ან მთლიანად სახელმწიფოში არსებულ ვითარებასა და კანონთან კონფლიქტში მყოფ ქცევას შორის. კრიმინოლოგიური მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა არის სწორედ ანალიზზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირების საფუძველი. სხვაგვარად, სისხლის სამართლის პოლიტიკას მხოლოდ მყისიერი (დანაშაულის აღმკვეთი, სადამსჯელო) ეფექტი ექნება და არ იქნება გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული.

მყისიერ შედეგებზე ორიენტირებულ პოლიტიკას, როგორც წესი, ყურადღებას მიღმა რჩება დანაშაულის განმაპირობებელი, ხელშემწყობი გარემოებები. ამგვარი პოლიტიკის წარმოების მიზანი ერთჯერადი მკვეთრი ეფექტის შექმნაა (მაგალითად, დანაშაულის სწრაფი, დრამატული კლება). ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პოლიტიკა მხოლოდ სასჯელის ინსტრუმენტით მოქმედებს, არ სცდება დანაშაულის აღკვეთის და დასჯის ფარგლებს და არ ზრუნავს მისი საფუძვლების აღმოსაფხვრელად.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირების პროცესში უნდა გაერთიანდეს ორი კომპონენტი: დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ (პოლიტიკური) და და-

ნაშაულის შესახებ ცოდნა (კრიმინოლოგიური),¹² რომელიც დანაშაულის ძირითადი ფაქტორების ცოდნას მოიცავს. ამას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, იმისთვის, რათა სისხლის სამართლის პოლიტიკა ჩამოყალიბდეს არსებული *სოციალური რეალობის გათვალისწინებით*¹³ და იყოს მასზე ორიენტირებული.

ნათელია, რომ თუ სახელმწიფო სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირებას მხოლოდ ძალოვან, საპოლიციო სისტემებს მიანდობს, ის ვერ გასცდება დასჯის მიზანს, დანაშაულის მიმართ რეაქციულ მიდგომას. პოლიტიკის ფორმირების პროცესში ბევრი სხვადასხვა აქტორის მონაწილეობაა აუცილებელი, მათ შორის, სამთავრობო უწყებების, მედიის, აკადემიური წრის და სხვა ექსპერტული ჯგუფების.

ის, თუ როგორ ხდება პოლიტიკის ფორმირება ტექნიკურად, დამოკიდებულია სახელმწიფო მოწყობის ფორმასთან. დეცენტრალიზაციის პირობებში, ეს უფლებამოსილება, ისევე როგორც საჯარო პოლიტიკის სხვა მიმართულებების განსაზღვრის მანდატი, ადგილობრივ ხელისუფლებამაა გადანაწილებული, სადაც პროცესში სხვა სუბიექტებთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების არჩეული უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირები ერთვებიან.¹⁴

სხვა სისტემაში კი, სისხლის სამართლის პოლიტიკა ცენტრალურ დონეზე განისაზღვრება. თუმცა აუცილებელია ამ პროცესში ადგილობრივი დონის ხელისუფლების წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობა, რამდენადაც, ცენტრალიზებულ სისტემებში ინდივიდუალური, ადგილობრივი საჭიროებების უგულვებელყოფის რისკი ყოველთვის მაღალია.

საერთო ჯამში, პოლიტიკის განმსაზღვრელი ჯგუფი ორ ნაწილად – უწყებრივად და საზოგადოებრივად შეიძლება გაიყოს. პოლიტიკის განმსაზღვრელი უწყებრივი ჯგუფი მოიცავს ძირითადად სამართალდამცავ, სასამართლო, სასჯელაღსრულების, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის სისტემას. უწყებები პროცესში თანაბრად უნდა ჩაერთონ, რადგან პოლიტიკის აღსრულებისას ერთიანობა, ერთიანი მიდგომა უნდა შენარჩუნდეს, ფრაგმენტაციის რისკისგან დასაზღვევად.¹⁵ ეს განსაკუთრებით ეხება იმ სისტემებს, სადაც სისხლის სამართლის სფეროში დისკრეციის პრინციპი მოქმედებს და უწყებებს შეუძლიათ უარი თქვან სისხლის სამართლის ინსტრუმენტების გამოყენებაზე.¹⁶

12 U.S. Criminal Justice Policy, A Contemporary Reader, Jones&Bartlett Learning, Edited by Karim Ismaili, P:14; Kennesaw State University, State of Georgia, the US.

13 Karim Ismaili, Contextualizing Criminal Justice Policy-Making Process, St. John's University, New York, Criminal Justice Policy Review, September 2006, №3.

14 U.S. Criminal Justice Policy, A Contemporary Reader, Jones&Bartlett Learning, Edited by Karim Ismaili, P:14; Kennesaw State University, State of Georgia, the US.

15 Karim Ismaili, Contextualizing Criminal Justice Policy-Making Process, St. John's University, New York, Criminal Justice Policy Review, September 2006, №3.

16 U.S. Criminal Justice Policy, A Contemporary Reader, Jones&Bartlett Learning, Edited by Karim Ismaili, P:14; Kennesaw State University, State of Georgia, the US.

საზოგადოებრივი ჯგუფი შედგება კერძო ინსტიტუციების, ადვოკატთა კორპუსის და იურიდიული დახმარების წარმომადგენლებისგან. ამ პროცესში ასევე მნიშვნელოვანია პროფესიული, სოციალური, სამოქალაქო ჯგუფების, მსხვერპლ და დაზარალებულ ჯგუფებზე მომუშავე ადამიანების, ყოფილი მსჯავრდებული პირების ან მათი წარმომადგენლების ჩართულობა.¹⁷

დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიები — უწყებრივი პასუხისმგებლობა (საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან (ქურდობა/ძარცვა) და ნარკოტიკული დანაშაულის ცალკეულ სახეებთან მიმართებით)

როგორც აღინიშნა, სახელმწიფომ სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები პირველად 2010 წელს მიიღო. უკვე ათ წელზე მეტია ეს დოკუმენტი თითქმის უცვლელი სახით მოქმედებს ქვეყანაში და სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითად დოკუმენტად მიიჩნევა. გასათვალისწინებელია, რომ დღემდე საჭაროა ამ დოკუმენტის მხოლოდ ზოგადი ნაწილი.

დიდ ხნის განმავლობაში, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცების უფლებამოსილება გენერალურ პროკურორს და იუსტიციის მინისტრს შორის იყო გადანაწილებული.¹⁸ მოგვიანებით, 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის საფუძველზე კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით, სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრა პარლამენტს დაევალა¹⁹, ხოლო გენერალურ პროკურორს დარჩა ვალდებულება, პარლამენტის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის საფუძველზე შეიმუშაოს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები.

თავის მხრივ, ამ პროცესში პარლამენტის როლის გამოკვეთა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. პარლამენტის მიერ სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრა, ნიშნავს პოლიტიკურ დონეზე პასუხისმგებლობის აღებას ქვეყნის კრიმინოლოგიურ მდგომარეობაზე. ამასთანავე, ეს პარლამენტს აძლევს უფლებამოსილებას, საზედამხედველო მანდატის ფარგლებში აკონტროლოს დანაშაულის მდგომარეობა ქვეყანაში და უწყებების საქმიანობის ეფექტიანობა ამ მიმართულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში მთავრობის და პარლამენტის ჩართულობა, პროკურატურის სისტემის რეფორმის

17 იქვე: 34

18 „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2018 წლის 30 ნოემბრამდე მოქმედი რედაქცია.

19 პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 28.

ფარგლებში, სამოქალაქო სექტორის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო.²⁰ ეს რეკომენდაცია მაშინდელმა პარლამენტმა მეტნაკლებად გაიზიარა.²¹ კერძოდ, პარლამენტი იქნა მიჩნეული სისხლის სამართლის პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოდ. ამავე კანონით, საქართველოს მთავრობას დაევალა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის წესის დამტკიცება, ხოლო გენერალურ პროკურატურას – უშუალოდ დანაშაულთან ბრძოლის და ამ მიმართულებით, სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთშეთანხმებული საქმიანობის კოორდინაცია.²²

2018 წლიდან დღემდე, პარლამენტს სისხლის სამართლის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი არ მიუღია. შესაბამისი ცვლილებები არც რეგლამენტში შესულა. ამ კანონით დაკისრებული ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია საქართველოს მთავრობას – მას ამ ეტაპამდე არ დაუმტკიცებია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის ერთიანი წესი.

კვლევაზე მუშაობის პროცესში, ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს პარლამენტს, რათა დაეზუსტებინა, აქვს თუ არა პარლამენტს მიღებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი. პარლამენტის აპარატიდან მიღებულ პასუხში ნათქვამია, რომ საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია განსაზღვროს სისხლის სამართლის პოლიტიკა, თუმცა ეს არ გულისხმობს საქართველოს პარლამენტის ვალდებულებას, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა მაინცდამაინც ცალკე, საამისოდ სპეციალურად განკუთვნილი დოკუმენტით განსაზღვროს. პარლამენტის აპარატი, აქვე მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული მიდგომა არ გამორიცხავს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის უფლებამოსილებას, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, შეიმუშაოს აღნიშნული დოკუმენტი.²³

ამ კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ პარლამენტს არ აქვს სათანადოდ გააზრებული საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტის მიღებაც, პარლამენტისთვის, საკუთარ შეფასებაზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ თავად რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევს პოლიტიკის დოკუმენტის მიღებას.

არსებული კანონმდებლობით, დანაშაულთან ბრძოლის პასუხისმგებლობა ძირითადად პროკურატურას და საგამოძიებო ორგანოებს შორის არის გადანაწილებული. გარდა სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციისა, პროკურატურას აქვს ვალდებულება კოორდინაცია გაუწიოს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სამართალდა-

20 პროკურატურის სისტემის რეფორმა, „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ 2018, გვ. 22, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/310kfDA> წვდომის თარიღი: 19.03.2021.

21 პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 28, ნაწილი 3.

22 იქვე

23 იხ: საქართველოს პარლამენტის აპარატის 2021 წლის 7 აპრილის წერილი №3188/2-7/21.

მცავი ორგანოების ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას დანაშაულის გამოვლენის, გამოძიების, გახსნის, აღკვეთის და თავიდან აცილების, დანაშაულის პრევენციის, კრიმინოლოგიური ვითარების გაუმჯობესების მიზნით.²⁴

მიუხედავად იმისა, რომ უწყება ვალდებულია, იმუშაოს პრევენციის და კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესების მიმართულებით, პროკურატურის საქმიანობა, მათი სტრატეგია, უმეტესწილად უკვე დამდგარ დანაშაულზე ეფუძნება რეაგირებას მიემართება. ნაკლები ყურადღება ეთმობა დანაშაულის გამომწვევი მიზეზების კვლევას და მასზე უწყებათა ერთობლივ, ურთიერთშეთანხმებულ რეაგირებას. ამაზე მეტყველებს სისტემაში მოქმედი პოლიტიკის დოკუმენტები და სახელმძღვანელო სტრატეგიები.²⁵

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო პერიოდში (2014 წლის შემდეგ) ქვეყანაში უმუშევრობის დონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია – 20.4%,²⁶ 2019 წლის მონაცემებით, საარსებო შემწეობის მიმღები საშუალო წლიური მოსახლეობის რიცხოვნობამ 441 448 შეადგენა (წილი საშუალო წლიურ მოსახლეობაში – 11.9%), 2020 წლის მონაცემებით, სოციალურ პაკეტებს 174 612 ადამიანი იღებდა.²⁷ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ვითარების და ეკონომიკური დანაშაულის ზრდის თანმდევი რისკების მიუხედავად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციის საკითხები, საერთოდ არ არის გათვალისწინებული პროკურატურის მოქმედ სტრატეგიაში. სტრატეგიის ძირითადი ნაწილი უფრო მეტად ორგანიზებულ (ტრეფიკინგი, კიბერდანაშაული, კორუფციული დანაშაული, ტერორიზმი) და ნარკოდანაშაულთან ბრძოლის საკითხებს ეხება.²⁸

უნდა ითქვას, რომ ნარკოდანაშაულთან მიმართებით, უწყების სტრატეგია გარკვეული პრევენციული მექანიზმების გატარებასაც მოიაზრებს, რაც დადებით მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს, მათ შორის, ნარკოტიკებთან დაკავშირებულ პრობლემებთან მიმართებით საინფორმაციო ხასიათის კამპანიების გატარებას, ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროების მოკვლევას და შესაბამის რეაგირებას.²⁹

ამავე სტრატეგიით იყო გათვალისწინებული ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია მომხმარებელთა მიმართ. უწყების სტრატეგიაში აღნიშნული გეგმის წარმოდგენა,

24 პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 27.

25 ინფორმაცია ასევე ეყრდნობა გენერალური პროკურატურის 2021 წლის 13 იანვრის №13/1393 წერილს.

26 დეტალურად იხილეთ: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>

27 მონაცემები ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის 7 აპრილის №7-732 წერილით მონოდებულ ინფორმაციას.

28 საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგია, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hpuESV> წვდომის თარიღი: 15.05.2021

29 საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგია, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hpuESV> წვდომის თარიღი: 15.05.2021 გვ. 21.

თავის დროზე, ქვეყანაში არსებული მძიმე და რეპრესიული ნარკოპოლიტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი და საიმედო ნებიჭი იყო. ამ საკითხზე, დოკუმენტში, ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სახელმწიფომ ამ დრომდე ვერ აიღო ბოლომდე პასუხისმგებლობა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაზე და ლიბერალიზაციის ტენდენციების გამოკვეთას დღემდე კანონმდებლობაში ფრაგმენტული ცვლილებებით ცდილობს. ეს, ცხადია, ვერ პასუხობს იმ გამოწვევებს, დასჯის უსამართლო პრაქტიკას, რაც სახელმწიფოში გვაქვს.³⁰

პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, უწყება პერიოდულად ატარებს თემატურ კრიმინოლოგიურ კვლევებს. თუმცა, როგორც ჩანს, კვლევები და უწყების მიერ ორგანიზებული პრევენციული ღონისძიებები ძირითადად არასრულწლოვნებს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს ეხება. პროკურატურა საქართველოს 28 რაიონული პროკურატურის სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებს პროექტს – „საზოგადოებრივი პროკურატურა“, რომლის ძირითადი მიზანია დანაშაულის პრევენცია, საზოგადოებრივი ცნობიერებისა და უწყების მიმართ ნდობის ამაღლება.

უწყების ორგანიზებით, ბოლო წლებში, ნარკოტიკული დანაშაულის საკითხებზე, რამდენჯერმე გაიმართა შეხვედრა მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. 2017 წლის მარტში პროკურატურის ორგანიზებით ჩატარდა ანტინარკოტიკული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტებისთვის ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამომწვევი მიზეზების შესახებ ჩატარებული კვლევის გაცნობას. 2020 და 2021 წლებში, პანდემიის გამო, უწყებას მსგავსი ხასიათის შეხვედრები არ ჩატარებია.³¹

ცხადია, მსგავსი ტიპის აქტივობები მნიშვნელოვანია დანაშაულის პრევენციის და საზოგადოების ინფორმირების კუთხით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ამ სახის აქტივობები საკმარისი არ არის და დანაშაულის გამომწვევ ყველა ძირითად ფაქტორს არ პასუხობს. უწყებამ უნდა გააფართოვოს პრევენციული საქმიანობის არეალი, უწყების პრევენციული პოლიტიკა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და ნარკოდა-დანაშაულის საკითხებით. მით უმეტეს, რეპრესიული ნარკოპოლიტიკის პირობებში, როდესაც ფრაგმენტული ხასიათის ანტინარკოტიკული კამპანიის ორგანიზება, ნარკოპოლიტიკის ძირეული რეფორმის გარეშე, გრძელვადიანი შედეგის მომტანი ვერ იქნება.

30 ნარკოპოლიტიკა საქართველოში 2020 წლის ტენდენციები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3v3klYN> წვდომის თარიღი: 15.05.2021

31 ინფორმაცია ვერდნობა საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 16 აპრილის №13/22264 წერილს.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ პროკურატურის სისტემაში შეიქმნა მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო – სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო.³² სხვა საკითხებთან ერთად, საბჭოს ძირითადი მიზანია, სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, შეიმუშაოს სახელმძღვანელო პრინციპები, სტრატეგიები და სამოქმედო გეგმა. თავის მხრივ, უწყებაში კოლეგიური ორგანოს არსებობა მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება არ იყოს ერთპიროვნულად მინდობილი მხოლოდ გენერალურ პროკურორზე. თუმცა, მეორე მხრივ, აუცილებელია შეფასდეს, რამდენად ქმედითია საბჭო. საბჭოს არ აქვს საქმიანობის წინასწარ განსაზღვრული გრაფიკი და იკრიბება საჭიროებისამებრ. მის შემადგენლობაში საკმარისად არ არის გათვალისწინებული საოლქო/რაიონული პროკურატურების კვოტა, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა, განსაკუთრებით, ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების და საჭიროებების გასაანალიზებლად, სისხლის სამართლის პოლიტიკაში ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების შემოსატანად. ამ დისბალანსს, ცხადია, ვერ დააზღვევს საპროკურორო საბჭოს 8 წევრი, რომელთა შემადგენლობაშიც არიან რაიონული/საოლქო პროკურატურის წარმომადგენლები, ვინაიდან, ეს ფაქტორი საპროკურორო საბჭოს დონეზეც კი პრობლემურია. კანონმდებლობით სამართლიანად არ არის მოწესრიგებული საპროკურორო საბჭოში პროკურორ წევრთა არჩევის საკითხი. მათ პროკურორთა კონფერენცია 30-კაციანი საინიციატივო ჯგუფების მიერ ნომინირებული კანდიდატებიდან ირჩევის. ეს მოდელი ამცირებს ინდივიდუალური პროკურორების წილს საბჭოს დაკომპლექტების პროცესში. პრობლემურია ამ პროცესში გეოგრაფიული კვოტირების საკითხიც.³³ კონფერენცია საპროკურორო საბჭოს 3 წევრს ირჩევს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საოლქო და რაიონული პროკურატურებიდან და მხოლოდ ერთ წევრს – დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან.³⁴ სამწუხაროდ, საბჭოს სხდომის ოქმები ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომი ვერ გახდა. პროკურატურის ოფიციალური წერილის თანახმად კი, საბჭოს არსებობიდან სულ 3 სხდომა გაიმართა, სადაც საბჭომ განიხილა პროკურატურის 2021-2025 წლების სტრატეგია და სისხლის სამართლის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი, თანაშრომელთა შეფასების სისტემის დახვეწის საკითხი და გაეცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და საოლქო პროკურატურების 2020 წლის ანგარიშებს.³⁵

32 საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 17 მარტის №008 ბრძანება.

33 „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ერთობლივი ჩრდილოვანი ანგარიში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს პერიოდული მიმოხილვისთვის (მე-3 პერიოდი, 37-ე სესია, 2020 წელი), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mXJAZ0> წვდომის თარიღი: 19.04.2021.

34 პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 20.

35 ინფორმაცია ეყრდნობა საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 16 აპრილის №13/22264 წერილს.

დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით, ქვეყანაში მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია შინაგან საქმეთა სამინისტროს. არსებული კანონმდებლობით, სწორედ შსს-ს ვალდებულებია განახორციელოს პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.³⁶

დანაშაულთან ბრძოლის და ზოგადად სისხლის სამართლის პოლიტიკის შეფასებისთვის, მნიშვნელოვანი მსაზღვრელია სახელმწიფოს მიდგომა დანაშაულის პრევენციის მიმართ. ცხადია, რომ სადაც სახელმწიფოს არ აქვს პრევენციის გამართული მექანიზმი, წესრიგის და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ერთადერთი საშუალება – აღკვეთა/დასჯა რჩება. სამწუხაროა, რომ პრევენციის საკითხი დღემდე უდიდესი გამოწვევაა ქვეყნისთვის.

ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება დანაშაულის პრევენციის გაგება. დღეს პრევენციის პასუხისმგებლობა სამართალდამცავი სისტემის ფარგლებს არ სცდება, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის სწორედ საპოლიციო პრევენციული და რეაგირებითი უფლებამოსილებების გამიჯვნის თვალსაზრისით. დანაშაულთან დაკავშირებით ამგვარი მიდგომა კი, უშუალო გავლენას ახდენს ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. პრევენციის ამგვარი გაგებით, სისხლის სამართლის პოლიტიკაც იზღუდება და უკვე დამდგარ ქმედებაზე რეაგირებით შემოიფარგლება.

ბოლო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროში აქტიურად დაიწყო მუშაობა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის სისტემის, ახალი რგოლის – მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად. ახალი რგოლის ძირითადი მიზანი, საზოგადოებასთან უფრო ახლო კონტაქტი, საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება იყო, რომელიც პირველად, პრევენციის ფუნქციას შეითავსებდა პოლიციის სისტემაში.³⁷ სამწუხაროა, რომ პოლიციის ამ რგოლის მანდატიც ისე ყალიბდება ქვეყანაში, რომ ის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება პოლიციის არსებული დანაყოფებისგან, აქვს თითქმის იგივე, – კლასიკური საპოლიციო ფუნქციები. ეს მიდგომა არსებითად ვერ ცვლის მდგომარეობას უკეთესობისკენ. პირიქით, საზოგადოებრივი ნდობის ეგიდით, კიდევ უფრო მეტად აძლიერებს პოლიციის სისტემას და საქმიანობის არსებულ, მანკიერ მოდელს.

უნებრას ამ დრომდე შემუშავებული ჰქონდა დანაშაულთან ბრძოლის რამდენიმე სხვადასხვა სახის სტრატეგია. თუმცა, ძირითადი მათგანი, უფრო მეტად 2020 ჩათ-

36 შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილება.

37 ინფორმაციისთვის იხილეთ სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33Nwipa> წვდომის თარიღი: 15.05.2021

ვლით მოქმედებდა.³⁸ უახლესი წლების დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგია, ჯერჯერობით შინაგან საქმეთა სამინისტროს შემუშავებული არ აქვს. თუმცა, სამთავრობო პროგრამის ანალიზი³⁹ იძლევა შესაძლებლობას, გამოვკვეთოთ უწყების რამდენიმე ძირითადი მიმართულება.

სამთავრობო პროგრამაში საუბარია ბევრ მნიშვნელოვან ინსტიტუციურ საკითხზე, რომელიც აუცილებელია უწყების ფუნქციონირებისთვის. ამასთანავე, ისევე როგორც პროკურატურის, შსს შემთხვევაშიც, ძირითადი აქცენტი კიბერდანაშაულზე, ორგანიზებულ და ნარკოდანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლაზე კეთდება. იმ პირობებში, როცა თითოეული მიმართულებით საქმიანობის სტრატეგია, ამ ეტაპზე ხელმისაწვდომელია, რთულია შეფასდეს, რამდენად პასუხობს თითოეული ამ მიმართულებით არსებული გეგმა, ქვეყნის ძირითად საჭიროებებს. თუმცა, ცხადია, რომ ქვეყანას ძირითადი აქცენტი ორგანიზებულ დანაშაულზე აქვს გადატანილი და ყურადღების მიღმა რჩება დანაშაულის ის კატეგორიები, რომლებიც მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ საფუძვლებზე ვითარდება.

გარკვეულწილად, ნარკოტიკულ დანაშაულთან მიმართებით, უწყებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იუსტიციის სამინისტროს. სამინისტრო თავმჯდომარეობს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს.⁴⁰ ამავე საბჭოს ფარგლებში შეიქმნა 2020 წელს ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი.⁴¹ ცენტრის მიზანია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება, შეფასება და მტკიცებულებაზე დაფუძნებული სამეცნიერო-პრაქტიკული მეთოდოლოგიის დანერგვა.⁴²

სამინისტროს ფარგლებში არსებული უწყებათაშორისი საბჭოს ეგიდით, დამტკიცდა ნარკომანიასთან ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა.⁴³ დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ ამ გეგმით პირველადი პრევენციის მიზნებისთვის გათვალისწინებულია პროცესში ჯანდაცვის და განათლების სისტემების ჩართულობა. გეგმით გათვალისწინებულია პოლიციის სისტემის წარმომადგენელთა გადამზადება, თუმცა არ არის ნათელი, უშუალოდ რომელი რგოლის და

38 მაგალითისთვის: შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია.

39 იხ: სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33O31e1> წვდომის თარიღი: 15.05.2021

40 ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 მაისის №342 დადგენილება.

41 ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის ბრძანება №494.

42 იქვე: მუხლი 1.

43 2021-2022 წლების ანტინარკოტიკული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3f3nanq> წვდომის თარიღი: 15.05.2021

რა მიმართულებით გადამზადებას მოიაზრებს გეგმა. მნიშვნელოვანი იქნებოდა პოლიციის სისტემის გაძლიერება უფრო მეტად პრევენციული ხაზით, მათ შორის, ამ პროცესებში ახალი რგოლის – მართლწესრიგის ოფიცრების გაძლიერება, მათთვის, პოლიციის და ჯანდაცვის სისტემებს შორის, ერთგვარი შუამავლის ფუნქციის დაკისრება. თუმცა, როგორც ჩანს, სახელმწიფო არ აპირებს ამ რგოლს განსხვავებული საპოლიციო ფუნქცია დააკისროს და ეს ინსტიტუტი მხოლოდ ფორმალურად ანაცვლებს უბნის ინსპექტორის არსებულ რგოლს სისტემაში. გეგმა მიუთითებს საკანონმდებლო ბაზის დახვეწაზე, ახალი სტრატეგიის შემუშავებაზე, რაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი მექანიზმი იყოს არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად.⁴⁴

იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში, დანაშაულთან ბრძოლის, უფრო ვიწროდ კი, დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრება სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. სხვა ძირითად საქმიანობასთან ერთად, სააგენტოს მიზანია დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციითა და რეაბილიტაციით საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.⁴⁵

ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებების გათვალისწინება სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირების პროცესში

დანაშაულთან ბრძოლა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელება ჩვენი კანონმდებლობით, ცენტრალური ხელისუფლების ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.⁴⁶ არსებული სახელმწიფო წყობის, უწყებების მკაცრი ცენტრალიზაციის პირობებში, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ადგილობრივ დონეზე დანაშაულის კონტროლის ეფექტიანობა. იმისათვის, რათა სისხლის სამართლის პოლიტიკა გადასწვდეს ადგილობრივ დონეს, პირველ რიგში აუცილებელია, პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში თითოეული ერთეული თანაბარად იყოს ჩართული. უწყებების საქმიანობის სტრატეგია, ასევე, მაქსიმალურად უნდა ფარავდეს ადგილობრივ საჭიროებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი დონის მონაწილეობა პრევენციის პოლიტიკის დაგეგმვის და შესრულების პროცესში, რამდენადაც

44 იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყო სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო და მის ფარგლებში შემუშავებული სტრატეგია-სამოქმედო გეგმები. გასათვალისწინებელია, რომ ბოლოს სტრატეგია 2019 წლისთვის იყო შემუშავებული. ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, უწყებას ჯერჯერობით არ შეუმუშავებია.

45 დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.

46 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7.

თავისი მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაძლოა, თითოეული ერთეული განსახვავებული ზომების მიღებას საჭიროებდეს.

იმ პირობებში, როდესაც პარლამენტს ჯერ კიდევ არ აქვს განსაზღვრული სისხლის სამართლის პოლიტიკა, ქვეყანაში არ მოქმედებს პრევენციის ერთიანი სტრატეგია, ადგილობრივი დონეების საჭიროებების გათვალისწინებაზე მსჯელობაც კი გედმეტია. სახელმწიფოს ყველა მცდელობა ამ მიმართულებით, ფორმალური და უშედეგო აღმოჩნდა.

2018 წელს, ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა დანაშაულის პრევენციის და მართლწესრიგის დაცვის ხელშეწყობის მუდმივმოქმედი ადგილობრივი უწყებათაშორისი საბჭოები.⁴⁷ ამ დადგენილების მიღება, თავის დროზე, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სახელმწიფოს მხრიდან. ეს იყოს პირველი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა დანაშაულის პრევენციის და მართლწესრიგის დაცვის საკითხებზე პოლიტიკის განსაზღვრას, რეკომენდაციების შემუშავებას და სათანადო ღონისძიებების განხორციელებას, ტერიტორიულ ერთეულებში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის საფუძველზე.

საბჭო რამდენიმე უწყებისგან დაკომპლექტდა. მისი ხელმძღვანელობა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა, მუნიციპალიტეტებს კი, ეთხოვათ საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობა. ეს იყო ფორმატი, რომელიც არა მხოლოდ სამართალდამცავი უწყებებისგან დაკომპლექტდა, არამედ მის შემადგენლობაში იყო განათლების და მეცნიერების სამინისტროც, რომლის როლიც დიდია, ზოგადად, პრევენციული პოლიტიკის დაგეგმვის და შესრულების პროცესში.

სამწუხაროა, რომ სახელმწიფოს მცდელობა, ადგილობრივ საჭიროებებზე დაფუძნებით გაეძლიერებინა სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირება და პრევენციული მექანიზმების დანერგვა, ფორმალური აღმოჩნდა. საბჭო 2018 წლიდან მოქმედებს. თუმცა, არაერთი მიმართვის მიუხედავად, მისი ფუნქციონირების შესახებ, მისი ხელმძღვანელი უწყება – შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმაციას არ გასცემს. რადგან საბჭო ამ დრომდე ფორმალურადაც არ შეკრებილა და არცერთი მუნიციპალიტეტის მიმართ არ შეუმუშავებია დანაშაულის პრევენციის და მართლწესრიგის შესახებ რეკომენდაცია.

47 დანაშაულის პრევენციისა და მართლწესრიგის დაცვის ხელშეწყობის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი საბჭოების შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს №416 დადგენილება.

ნაწილი II. სისხლის სამართლის პოლიტიკა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან (ქურდობა/ძარცვა) მიმართებით

შესავალი — საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და მისი გამომწვევი სოციალური ფაქტორების სამართლებრივი ანალიზი

დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ, სოციალურ მეცნიერებებში ორი გაბატონებული მიდგომაა დამკვიდრებული: ფუნქციონალური და დიალექტიკური.⁴⁸ მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის განსხვავებები არსებითია, მნიშვნელოვანია იმ მთავარი საკითხების გამოყოფა, რომელთა შესახებაც ძირითადი სისხლისსამართლებრივი თეორიები მსგავს ან ურთიერთშემავსებელ მიდგომებს ავითარებენ. ეს ქურდობის/ძარცვის დანაშაულის გამომწვევი სოციალური ფაქტორების საფუძვლიანი სამართლებრივი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

ჩატარებული სოციოლოგიური კვლევით დგინდება, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების (ქურდობა/ძარცვა) გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაგვარია. თუმცა, ზოგადი დაყოფით, ადამიანს ამ ტიპის კანონსაწინააღმდეგო ქცევისკენ შეიძლება უბიძგოს მძიმე სოციალურმა ფონმა (ეკონომიკური გაჭირვება და თანმდევი ფინანსური ვალდებულებები), ან კონკრეტულ სოციალურ გარემო-პირობებში საზოგადოების წევრებთან ინტერაქციისა და ინტეგრაციის შინაარსმა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ქურდობის/ძარცვის ჩადენაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ისეთი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა ოჯახის ცუდი ფინანსური მდგომარეობა, საბანკო ვალის/სესხის ქონა, აზარტული თამაშებით გამოწვეული ფინანსური ვალდებულებები და უთანასწორო სოციალურ-ეკონომიკური გარემო (საზოგადოებაში საკუთარი თავის რეალიზაციის შეუძლებლობა).⁴⁹ კვლევის თანახმად, ქურდობის/ძარცვის გამომწვევი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირების ყოლა საახლობლო გარემოში და მათი გავლენა.⁵⁰ შესაბამისად, გამოიკვეთა ის ჯგუფები, რომლებიც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის მატარებელნი არიან, ესენია: აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული პირები; უმუშევრები; სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები; საბანკო/არასაბანკო ვალის/სესხის მქონე პირ-

48 William J. Chambliss, The political economy of crime: a comparative study of Nigeria and the USA, in *Critical Criminology* edited by Ian Taylor, Paul Walton and Jock Young, London, 1975, p. 167.

49 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 35.

50 იქვე.

ბი; დანაშაულებრივ სოციალურ გარემოში მცხოვრები და მსგავსი დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირები.⁵¹

ამ კონტექსტში საინტერესოა კვლევაში მონაწილე პირების დემოგრაფიული მახასიათებლები დანაშაულის ჩადენამდე. განათლების დონის თვალსაზრისით აღმოჩნდა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი პირების დიდ უმრავლესობას (71.7%) პატიმრობამდე საშუალო, ნაწილს (6.9%) კი საბაზო განათლება ჰქონდა მიღებული.⁵² მთლიანობაში დაბალი იყო მათი წილი, ვისაც ქურდობის/ძარცვის ჩადენამდე პროფესიული ან უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული (შესაბამისად, 8.1% და 6.4%).⁵³

განსაკუთრებით სიმპტომატურია დანაშაულის ჩადენამდე ყოველთვიური შემოსავლისა და დასაქმების მაჩვენებლები. კვლევის შედეგების თანახმად, 10%-იც კი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელთა შემოსავალი დანაშაულის ჩადენამდე 700-დან 1000 ლარამდე მერყეობდა ან მასზე მეტი იყო.⁵⁴ შესაბამისად, აბსოლუტურ უმრავლესობას ან არ გააჩნდა სტაბილური შემოსავალი, ან ის უკიდურესად მცირე იყო.⁵⁵ ამავე დროს, ნახევარზე მეტმა (51.4%) აღნიშნა, რომ პატიმრობამდე/პრობაციამდე საკვებისთვის საკმარისი ფული ჰქონდათ, მაგრამ ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაძენად უნდა დაეზოგათ ან ესესხათ.⁵⁶ მეხუთედს აღემატება მათი წილი, ვისი შეფასებითაც, საკვებსაც კი გაჭირვებით ყიდულობდნენ.⁵⁷ რესპონდენტების მხოლოდ 1.7%-მა მიუთითა, რომ ნებისმიერ დროს შეეძლოთ ყველაფრის შეძენა.⁵⁸ რაც შეეხება დასაქმების მდგომარეობას, როგორც აღმოჩნდა, პატიმრობამდე/პრობაციამდე უმრავლესობა (58.4%) უმუშევარი იყო, თითქმის მესამედი (30.1%) კი – არაოფიციალურად დასაქმებული.⁵⁹

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ახსნის ერთ-ერთი გავრცელებული ფუნქციონალური მიდგომაა წნეხის (დაძაბულობის) თეორია (strain theory), რომლის მიხედვითაც, სოციალურად მისაღებ მიზნებზე ხელმისაწვდომობა განსაზღვრავს იმას, რამდენად ჩაიდენს პიროვნება დევიანტურ (კანონსაწინააღმდეგო) ქცევას.⁶⁰ ადამიანს, შესაძლოა, ჰქონდეს ფინანსური სარგებლის/

51 იქვე, გვ. 56.

52 იქვე, გვ. 100.

53 იქვე.

54 იქვე, გვ. 104.

55 იქვე, გვ. 105.

56 იქვე.

57 იქვე.

58 იქვე.

59 იქვე, გვ. 107.

60 William Little, Introduction to Sociology – 1st Canadian Edition, 2013, p. 209, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3x7gyel>; წვდომის თარიღი: 11.03.2021.

შემოსავლის მიღების სოციალურად გამართლებული მიზნები, თუმცა მათ მისაღწევად არ ფლობდეს სოციალურად მისაღებ შესაბამის რესურსებს, საშუალებებსა და გზებს.⁶¹ რობერტ მერტონის აზრით (რომელმაც ჩამოაყალიბა ეს თეორია), სტრუქტურული უთანასწორობის ფაქტობრივ რეალობასა და ეკონომიკური სარგებლის სოციოკულტურულ ღირებულებას შორის არსებული შეუსაბამობა ადამიანებისთვის წარმოქმნის წნეხს, რომელიც რაიმე ფორმით უნდა გადაილახოს. ამ წნეხის გადალახვის ერთ-ერთი გზა კი დევიანტური ქცევაა.⁶² მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მეცნიერის თანახმად, მერტონის თეორია ამ მიდგომით ნებისმიერი ტიპის წნეხის ანალიზისთვის შეიძლება იყოს გამოსადეგი, მისი თავდაპირველი და უმთავრესი დანიშნულება ეკონომიკური წნეხის ახსნა იყო.⁶³ აღსანიშნავია, რომ წნეხის თეორიის მიერ შემოთავაზებული ძირითადი დებულებები ეხმიანება სოციოლოგიურ კვლევაში რესპონდენტების მიერ გამოთქმულ აზრებს იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა კონკრეტული დანაშაულის ჩადენა. ამ საკითხისთვის ცენტრალური მნიშვნელობისაა სწორედ ის ურთიერთმიმართება, რაც, ერთი მხრივ, მსჯავრდებული პირების სოციალურ მდგომარეობასა და ფინანსურ ტვირთს, მეორე მხრივ კი – მათ ეკონომიკურ შესაძლებლობებს შორის არსებობდა. როგორც კვლევიდან იკვეთება, მსჯავრდებულთა უმრავლესობისთვის, მათ მიერ დევიანტური ქცევის ჩადენას, ბაზისური სოციალური მოთხოვნილებებისა და ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილების შეუძლებლობისგან წარმოშობილი წნეხი დაედო საფუძვლად.

ფუნქციონალურ მიდგომასთან ერთად, ამ საკითხის ანალიზს, დიალექტიკურ თეორიებში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. მაგალითად, კრიტიკული სოციოლოგია სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს დანაშაულისა და დევიაციის მთავარ წყაროებად განიხილავს.⁶⁴ ფუნქციონალური ახსნისგან განსხვავებით, კრიტიკული (კონფლიქტის) თეორიები ამ ფაქტორებს და დევიანტურ ქცევას უყურებენ არა როგორც საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ კომპონენტებს, არამედ სისტემის უთანასწორობის სამხილს.⁶⁵ ამ გაგებით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ხშირად სოციოეკონომიკურ ჩაგვრასთან გამკლავების გზა ან უბრალოდ ეკონომიკური გადარჩენის სტრატეგიაა.⁶⁶ მთლიანობაში, კრიტიკული და სოციალ-დემოკრატიული კრიმინოლოგიური პერსპექტივა „ხედავს დანაშაულს, როგორც სოციალური გაუცხოებისა და უთანასწორობის შედეგს“.⁶⁷

61 იქვე.

62 იქვე, p. 210.

63 Alison S. Burke, David E. Carter and others, Introduction to the American Criminal Justice System, p. 177, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gtjyja>; წვდომის თარიღი: 03.10.2021.

64 William Little, Introduction to Sociology – 1st Canadian Edition, 2013, p. 210.

65 იქვე.

66 იქვე.

67 ტიმ ნიუბერნი, არახელსაყრელი სოციალური მდგომარეობა, დანაშაული და სასჯელი, მთარგმნელი: ნინო კარანაძე, 2020, გვ. 5, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3graLTY>; წვდომის თარიღი: 11.03.2021.

კრიმინოლოგიურ თეორიებს შორის გავრცელებული კიდევ ერთი ფუნქციონალური მიდგომა ეხმიანება მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის საფუძვლად დასახელებულ კონკრეტულ სოციალურ წრესთან ურთიერთობას და შესაბამის სოციალურ გარემოში ინტეგრაციას. კერძოდ, სოციალური დეზორგანიზაციის თეორიის თანახმად (social disorganization theory), ადამიანები, რომლებიც იზრდებიან და ცხოვრობენ ღარიბ სამეზობლოებში/ადგილებში, სადაც მაღალია სხვადასხვა ტიპის დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი, უფრო დიდი შანსია, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ჩაებან.⁶⁸ ამ თეორიის მიხედვით, დევიანტური ქცევის მიზეზები შესუსტებულ სოციალურ კავშირებთან, კეთილდღეობის არარსებობასთან, სოციალური სტრუქტურების (მაგ., სკოლა) არასათანადო ფუნქციონირებასა და ზოგადად, არაჭანსაღ სოციალ გარემოსთან („ეკოსისტემასთან“) უნდა იყოს დაკავშირებული.⁶⁹ თუმცა, მთლიანობაში, სოციალური დეზორგანიზაციის თეორეტიკოსები დანაშაულის პრევენციას უფრო მეტად მორალური ღირებულებების გაზიარებულობასა და სოციალური კავშირების გაძლიერებაში ხედავდნენ, ეკონომიკური უთანასწორობის, სხვა ტიპის ჩავჯვრებისა და ძალაუფლებრივი დინამიკის საკითხებს კი მხედველობის მიღმა ტოვებდნენ.⁷⁰

სოციალური დეზორგანიზაციის მიერ უპასუხოდ დატოვებული კითხვების შევსება კრიტიკული თეორიებით ხერხდება. ზოგადად მიიჩნევა, რომ „დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი ასოცირდება სისხლის სამართლის სისტემასთან შემხებლობის მაღალ რისკებთან, დანაშაულების უფრო მაღალ ნიშნულებთან და სხვადასხვა ფორმის ვიქტიმიზაციის მაღალ მაჩვენებელთან. სოციოეკონომიკურ სიდუხჭირეს, დანაშაულთან შემხებლობასა და სისხლის სამართლის სისტემას შორის ურთიერთკავშირი ცხადად ვლინდება არამხოლოდ ინდივიდების დონეზე, არამედ სამეზობლოს დონეზეც“.⁷¹ მატერიალური სიმდიდრე დაკავშირებულია საკუთარი საცხოვრებელი არეალის უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერებასთან, იქნება ეს ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა თუ კოლექტიური სერვისები.⁷² დაბალშემოსავლიანი და სხვაგვარად მარგინალიზებული არეალები ხასიათდება თავისთავადი სიტუაციური მოწყვლადობით, რომელიც სოციალური და დემოგრაფიული სიდუხჭირით არის გამოწვეული.⁷³

უნდა აღინიშნოს, რომ არც სოციოლოგიური და არც წინამდებარე სამართლებრივი კვლევის საგანი არ არის ურბანული განცალკევებით გამოწვეული განსხვავებების ანალიზი. თუმცა რესპონდენტების მიერ დანაშაულის გამოწვევ ფაქტორად და-

68 William Little, Introduction to Sociology – 1st Canadian Edition, 2013, p. 209.

69 იქვე.

70 იქვე.

71 ტიმ ნიუბერნი, არახელსაყრელი სოციალური მდგომარეობა, დანაშაული და სასჯელი, გვ. 20.

72 იქვე.

73 იქვე, გვ. 14.

სახელმწიფო საფუძველი ზოგადად აჩვენებს, რომ ქურდობის/ძარცვის ჩადენა ზოგჯერ დაკავშირებულია კონკრეტულ არეალში სხვა მსგავსი ტიპის დანაშაულებრივი გამოცდილების მქონე ადამიანებთან შემხებლობასთან. კვლევის შედეგების მიხედვით, ასეთი კავშირი საკმაოდ მძლავრია და დამახასიათებელია თავად ამ სოციალური არეალისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტების ნაწილმა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ფაქტორად სოციალური (საახლობლო/სამეგობრო) წრე დაასახელა, საინტერესო იყო იმის შეფასება, თუ რამდენად გავრცელებულია მათ თემში/საცხოვრებელ გარემოში ქურდობა და ძარცვა. ამ მხრივ, როგორც ყოფილი მსჯავრდებულების, ისე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახების წევრების მესამედზე მეტის აზრით, მათ საცხოვრებელ არეალში მაღალია ქურდობისა და ძარცვის მაჩვენებელი.⁷⁴

კვლევის შედეგების საფუძველზე განვითარებული მსჯელობები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ქურდობის/ძარცვის გამომწვევი სოციალური ფაქტორების ახსნა შესაძლებელია განხილული კრიმინოლოგიური თეორიების შუქზე. მიუხედავად თავად ამ თეორიებს შორის არსებული ფუნდამენტური განსხვავებებისა, ორივე სკოლის (ფუნქციონალურის და დიალექტიკურის) ძირითადი თეზა ის არის, რომ სოციოეკონომიკური კონდიციები დიდწილად არის კანონსწინააღმდეგო ქცევის საფუძველი.⁷⁵ ეს კავშირი ყველაზე ცხად და უშუალო გამოხატულებას კი, ბუნებრივია, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ჰპოვებს. კვლევის რესპონდენტების მიერ ქურდობის/ძარცვის განმაპირობებელ მიზეზად დასახელებული ისეთი ფაქტორიც კი, როგორიცაა კონკრეტულ სოციალურ გარემოში მსგავსი დანაშაულებრივი გამოცდილების მქონე ადამიანებთან ინტენსიური ურთიერთობა, უფრო ფართო სურათში ადამიანებისა და ჯგუფების სოციალურ და ეკონომიკურ მოწყვლადობას უკავშირდება. ამ გაგებით, რესპონდენტები საუბრობენ როგორც ინდივიდუალურ ეკონომიკურ გასაჭირზე, ისე საერთო სოციალურ გარემოზე, რომელიც არაჩანსალი სოციალური „ეკოსისტემით“ და კეთილდღეობის მინიმალური გარანტიების არარსებობით ხასიათდება.

ამდენად, უდავოდ აღიარებული კრიმინოლოგიური ფაქტი, რომ „ჩადენილი დანაშაულების აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიც სასამართლოებში ხვდება, იმ ადამიანების მიერ არის ჩადენილი, რომლებიც შედარებით დაბალ სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან“, ⁷⁶ კონკრეტული სოციოეკონომიკური საფუძვლებით არის განპირობებული. მართალია, არსებობს მოსაზრებაც, რომ არსებულ სისტემაში სახელმწიფო სტრუქტურები ბუნებრივად მიდრეკილნი არიან დაბალი სოციალური ფენე-

74 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჯიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 54.

75 Ian Taylor, Paul Walton and Jock Young, Critical criminology in Britain: review and prospects, in *Critical Criminology edited by Ian Taylor, Paul Walton and Jock Young*, London, 1975, p. 42.

76 ტიმ ნიუბერნი, არახელსაყრელი სოციალური მდგომარეობა, დანაშაული და სასჯელი, გვ. 8-9.

ბის რეპრესიისკენ,⁷⁷ თუმცა, ეს არ ცვლის თავად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მიზეზებსა და მის გამომწვევ ძირითად სოციალურ ფაქტორებს. ამის გათვალისწინებით, კომპლექსური უნდა იყოს ქურდობის/ძარცვის პრევენციის მექანიზმებიც და ის უნდა განიხილებოდეს არა ვიწროდ ლეგალისტური, არამედ, მათ შორის, სოციალური და ეკონომიკური პერსპექტივებიდან.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციის მექანიზმები

დანაშაული კომპლექსური სოციალური მოვლენაა.⁷⁸ დანაშაულს და მისი ჩადენის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას სათანადოდ მხოლოდ მაშინ გავიზარებთ, თუ დამნაშავეს და მის მოტივაციას სხვა სოციალური ურთიერთობების ჭრილში შევხედავთ.⁷⁹ ამ მიზნით, სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბდა თეორიული ჩარჩო მიდგომა, რომელსაც „დანაშაულის კვადრატი“ (square of crime) ეწოდება.⁸⁰

„დანაშაულის კვადრატის“ თეორიული მიდგომა მოითხოვს, რომ დანაშაულისა და მისი კონტროლის ანალიზი დაეფუძნოს პროცესის მონაწილე 4 მხარის ინტერაქციასა და მიმართებას, ესენია: დამნაშავე, მსხვერპლი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების (სამართლდამცავი) ორგანოები და საზოგადოება/თემი.⁸¹ ამ გაგებით, დანაშაულზე ზოგადად საუბარი, გაუმართლებელია. დევიანტური ქცევის ანალიზი უნდა გულისხმობდეს კონკრეტული დანაშაულის ტიპის შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით ახსნას, „კვადრატის“ თითოეული მხარის მიმართების დანახვას ერთმანეთთან და უფრო რთულ სოციალურ ფენომენებთან (როგორიცაა, კლასი, გენდერი, ეთნიკურობა, პოლიტიკა, ეკონომიკური კურსი და სხვ.).⁸² დანაშაულის თითოეული ტიპი განსხვავებულ მიმართებებშია აღნიშნულ ძალაუფლებრივ ღერძებთან და ამასთან, „კვადრატის“ მონაწილეებს შორის ნდობისა და კონფლიქტის განსხვავებულ ფორმებს წარმოშობს (შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით).⁸³ ამდენად, „დანაშაულის კვადრატის“ ჩარჩოს მიზანი არ არის დანაშაულის მხოლოდ კრიმინოლოგიური პერსპექტივიდან შესწავლა. მართალია, კრიმინალიზაცია დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტია,

77 ერთ-ერთი ავტორის მიხედვით, „დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ზრდასრულები ისეთი ტიპის დანაშაულებს სჩადიან, რომელსაც უფრო ხშირად იძიებს პოლიცია, ვიდრე საშუალო სოციალური კლასის ზრდასრული ადამიანები“. იქვე, გვ. 9.

78 John Lea, *Left Realism: A Radical Criminology for the Current Crisis*, 2016, *International Journal for Crime, Justice and Social Democracy* 5(3): 53-65. DOI: 10.5204/ijcsd.v5i3.329, p. 60.

79 იქვე.

80 იქვე, p. 58.

81 იქვე.

82 იქვე, p. 59.

83 იქვე.

თუმცა მისი სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელია მონაწილეებს შორის ძალაუფლებისა და ნდობის საკითხების მხედველობაში მიღება.⁸⁴

ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული, ერთი მხრივ, იმასთან, თუ როგორ ვიკვლევთ დანაშაულს, ხოლო მეორე მხრივ, როგორ ვსახავთ მისი პრევენციის და კონტროლის მექანიზმებს. პირველ შემთხვევაში, გამოყოფენ კონსერვატიულ, ლიბერალურ და კრიტიკულ (რადიკალურ) მიდგომებს. კონსერვატიული მიდგომა უმთავრესად დესკრიფციულია.⁸⁵ ის ძალაუფლებისა და იერარქიის ფუნდამენტურ რწმენას ეყრდნობა, რომელიც კანონისა და წესრიგის საფუძვლად არის გამოცხადებული.⁸⁶ შესაბამისად, ამ მიდგომით, დანაშაულსა და მის კონტროლთან დაკავშირებული პრობლემები შესუსტებული იერარქიული აპარატისა და ურთიერთობების ჭრილშია დანახული, რაც საპოლიციო ძალაუფლების ზრდისა და რეპრესიული პოლიტიკის გაძლიერების საჭიროებას ქმნის.⁸⁷ საპირისპიროდ, ლიბერალური მიდგომა პრესკრიფციას ეფუძნება და მისი მიზანია, კვლევაზე დაფუძნებით შეიმუშაოს ინსტიტუციური რეფორმების შესახებ წინადადებები ან გააკეთოს აქცენტი კულტურულ ცვლილებებზე.⁸⁸ ამ მხრივ, ლიბერალური მიდგომა ეჭვქვეშ არ აყენებს ზოგადად არსებული სოციალური კონტროლის სისტემას. კრიტიკული (რადიკალური) პერსპექტივა პოლიტიკური პრაქტიკის ნაირსახეობაა, რომელიც ცდილობს კვლევის პროცესი ფუნდამენტური სოციალური გარდაქმნების საჭიროებას დაუკავშიროს.⁸⁹ თეორია და კვლევა დანახული უნდა იყოს როგორც პრაქტიკა (praxis), რამაც უნდა გამოამჟღავნოს დანაშაულის, როგორც სოციალური ფენომენის, საფუძვლები.⁹⁰

დანაშაულის კონტროლის სტრატეგიებზე მსჯელობა, როგორც წესი, ორი განსხვავებული პრიმიდან წარიმართება. ჩვეულებრივ, დანაშაულის პრობლემა ექცევა იმ ჩარჩოში, სადაც ერთმანეთის საპირისპიროდ არსებობენ „მკაცრი“ და „რბილი“ სადამსჯელო პოლიტიკის მომხრეები და მოწინააღმდეგეები.⁹¹ სამართლიანად მიიჩნევა, რომ საკითხის ასე დანახვა გამოტოვებს ზემოთ ნახსენებ მრავალ სოციალურ ცვლადსა და განზომილებას. ამიტომ, არსებობს მოსაზრება, რომ დანაშაულის კონტროლის სტრატეგიები სხვაგვარად უნდა დაჯგუფდეს, კერძოდ: 1) მიმართულია ეს სტრატეგიები იმ გარემოს ცვლილებებისკენ, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულის

84 იქვე, p. 62.

85 Ian Taylor, Paul Walton and Jock Young, *Critical criminology in Britain: review and prospects*, 1975, p. 21.

86 იქვე.

87 John Lea, *Left Realism: A Radical Criminology for the Current Crisis*, 2016, p. 55.

88 Ian Taylor, Paul Walton and Jock Young, *Critical criminology in Britain: review and prospects*, 1975, p. 22.

89 იქვე, p. 24.

90 იქვე.

91 Philip J. Cook and Jens Ludwig, *Economical Crime Control*, in *Controlling Crime: Strategies and Tradeoffs* edited by Philip J. Cook, Jens Ludwig and Justin McCrary, 2011, p. 2, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3symHg9>; წვდომის თარიღი: 21.04.2021.

ჩადენას; თუ, 2) მიმართულია კრიმინალური ქცევის მიმართ ინდივიდუალური მიდრეკილებების ცვლილებისკენ.⁹²

როგორც პირველ ნაწილში ითქვა, სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამომწვევ ძირითად მიზეზად რესპონდენტები მძიმე სოციალურ ფონს და ფინანსურ ვალდებულებებს ასახელებენ. ქურდობის/ძარცვის დანაშაულების სოციალური ფაქტორების ანალიზი ცხადყოფს, რომ ე.წ. „გამოსწორების“ მიდგომა (correctionalism) ამ შემთხვევაში გამართლებული არ არის. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა დანაშაულის პრევენციის მექანიზმებზე მსჯელობისას, როგორც წესი, საუბრობს არა ინდივიდუალური ქცევის ცვლილებებზე, არამედ გარემო ფაქტორებისა და სოციალური პოლიტიკის გარდაქმნის აუცილებლობაზე.

ამ მხრივ, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, რესპონდენტებმა ზოგადად შეაფასეს, არის თუ არა არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა მიმართული დანაშაულის შემცირებაზე. როგორც გამოიკვეთა, „ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა (54.3%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ არსებული სამართლებრივი პოლიტიკა ეკონომიკური დანაშაულის შემცირებაზეა ორიენტირებული. [...] ამდენად, ყოფილ მსჯავრდებულებში ბევრია ისეთი, ვინც ფიქრობს, რომ სამართლებრივი პოლიტიკა ეკონომიკურ დანაშაულთან მიმართებით საჭიროებს რევიზიას და დახვეწას“.⁹³ აღსანიშნავია, რომ ქურდობის/ძარცვის დანაშაულის ჩამდენი პირების და ოჯახის წევრების აბსოლუტური უმრავლესობა (შესაბამისად, 92.5% და 92.1%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფოსთვის თანაბრად პრიორიტეტული უნდა იყოს როგორც დაზარალებულის, ისე დამნაშავის უფლებებისა და ინტერესების დაცვა.⁹⁴

ქურდობის/ძარცვის პრევენციის მექანიზმებზე დეტალურად ისაუბრეს ფოკუს ჯგუფების მონაწილე ყოფილმა მსჯავრდებულებმა და ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახების წევრებმაც. ფოკუს ჯგუფების მონაწილე ყოფილი მსჯავრდებულების აზრით, დაპატიმრების პერსპექტივა და დასჯაზე ორიენტირებული მიდგომები ვერ იქნება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციის გარანტია. მეტიც, ამგვარმა მიდგომებმა, შესაძლოა, საერთოდ არ იქონიოს სხვის ქცევაზე გავლენა.⁹⁵ ისინი ამას იმიტ ხსნიან, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა, უმეტესწილად, ოჯახის მწვავე სოციოეკონომი-

92 იქვე, p. 3.

93 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესეხუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჯიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 73.

94 იქვე, გვ. 29.

95 იქვე, გვ. 137.

კური საჭიროებებით არის გამოწვეული.⁹⁶ ყოფილმა მსჯავრდებულებმა აღნიშნეს, რომ ქურდობისა და ძარცვის შემცირებაზე ორიენტირებული ნაბიჯები არა-ეფექტიანია, რადგან ისინი მიმართულია დანაშაულის შედეგებზე და დამნაშავის იზოლაციაზე.⁹⁷ იგივე აზრი დომინირებს ამაჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებშიც. მათი თქმით, თუ ქვეყანაში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება და დასაქმების შესაძლებლობები არ გაიზრდება, დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი არ შემცირდება.⁹⁸ შესაბამისად, დანაშაულის ჩადენის მიზეზის აღმოუფხვრელად, წვრილმანი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისთვის (ქურდობა/ძარცვა) ადამიანების დაჭერა დანაშაულის შემცირების ეფექტიანი მექანიზმი არ იქნება.⁹⁹

სოციოლოგიური კვლევის მიგნებები ადასტურებს, რომ საქართველოში მოქმედი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ტრილში, ძირითად წნეხად დაბალ სოციალურ ფენებს (უმუშევრები, დაბალშემოსავლიანები, სოციალურად სხვაგვარად მოწყვლადები) აწვება და სწორედ ისინი არიან კონტროლისა და დაქვემდებარების ობიექტები. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ქურდობისა და ძარცვის პრევენციაზე მიმართული პოლიტიკა კომპლექსური იყოს და უმთავრესი აქცენტი ადამიანთა სოციალურ გაძლიერებაზე კეთდებოდეს. ამდენად, სამართლიანია ის მოსაზრება, რომ „დანაშაულის ანალიზი მოითხოვს საზოგადოებაში ადამიანის პოზიციისა და მდგომარეობის გამოკვლევას“.¹⁰⁰ პოლიტიკის ობიექტი უნდა იყოს თავად ის სოციალური კონდიციები, რომლებიც კრიმინალური ქცევის საფუძველი ხდება.¹⁰¹

ამ კონტექსტში, სხვადასხვა ტიპის დანაშაულის მასტიმულირებელ ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება მიიჩნევა,¹⁰² რადგან ის უშუალოდ უკავშირდება უთანასწორობის კვლავწარმოებას, მის გაღრმავებასა და რესურსების ვიწრო ჯგუფების ხელში კონცენტრაციას (რაც, თავის მხრივ, ქურდობისა და ძარცვის დანაშაულების გამომწვევ სოციალურ ფაქტორებს ამძაფრებს). შესაბამისად, სოციალური, საბინაო, დასაქმებაზე ორიენტირებული, კეთილდღეობის პროგრამები და უთანასწორობის შემცირებაზე მიმართული სახელმწიფო სტრატეგიები, ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მიმართულ აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევა (როგორც ნაწილი იმ სოციალუ-

96 იქვე.

97 იქვე, გვ. 139.

98 იქვე, გვ. 137.

99 იქვე.

100 Ian Taylor, Paul Walton and Jock Young, *Critical criminology in Britain: review and prospects*, 1975, p. 45.

101 Herman and Julia Schwendinger, *Defenders of order or guardians of human rights? in Critical Criminology edited by Ian Taylor, Paul Walton and Jock Young*, London, 1975, p. 136.

102 John Lea, *Left Realism: A Radical Criminology for the Current Crisis*, 2016, pp. 57-58.

რი გარემოს ცვლილებისა, რომელიც ადამიანებს ამ ტიპის დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს).¹⁰³

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენციის მექანიზმები, თუ ის უთანასწორობის აღმოფხვრაზეც არ იქნება მიმართული, თავს ვერ დააღწევს „გამოსწორების“ მიდგომას¹⁰⁴ (რაც, როგორც სოციოლოგიური კვლევის შედეგები ადასტურებს, სულ მცირე, გაუმართლებელია ქურდობისა და ძარცვის დანაშაულებთან მიმართებით). „გამოსწორების“ ტაქტიკა, პრაქტიკაში, დაბალი სოციალური ფენების დისციპლინირებისა და დასჯის მექანიზმი ხდება, რომელშიც ჩართულია მთელი სახელმწიფო და საპოლიციო აპარატი. ამ პროცესის ყველაზე მასშტაბური და რადიკალური გამოვლინება კი „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკაა.

აქვე აღსანიშნავია, რომ როგორც დასაწყისში ითქვა, საქართველოში არ არსებობს იმგვარი სტრატეგიული დოკუმენტები, რომელიც ქურდობისა და ძარცვის დანაშაულებთან მიმართებით უწყებათაშორისი ხედვების პროდუქტი იქნებოდა და რომელიც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პრევენციის არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ განზომილებებსაც გაითვალისწინებდა.

დანაშაულის კონტროლისა და პრევენციის მექანიზმებთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაციის ქონისა და პოლიციის ანგარიშვალდებულების საკითხების განხილვა. რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, ქურდობისა და ძარცვის დანაშაულების ჩამდენ რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს (შესაბამისად, 31.8% და 42.8%) არ ჰქონია ინფორმაცია სამართლებრივი შედეგების/სასჯელების თაობაზე.¹⁰⁵ ამ კონტექსტში საინტერესოა ისიც, რომ რესპონდენტებს შორის დაახლოებით 9% აღმოჩნდა ისეთი, ვინც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების განმაპირობებელ ფაქტორად ძარცვის/ქურდობის თანმხლები რისკების შესახებ არაინფორმირებულობა დაასახელა.¹⁰⁶

ინფორმირებულობის საკითხზე უფრო დეტალურად ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ისაუბრეს. ყოფილმა მსჯავრდებულებმა აღნიშნეს, რომ საზოგადოებაში დანაშაულისა და მისი თანმხლები უარყოფითი შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება აუცილებელია. ადამიანებს რაც უფრო მეტი ინფორმაცია ექნებათ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების და მისთვის განკუთვნილი სასჯელის შესახებ, პრობლემების გადასატრელად, უფრო მეტად მოძებნიან ალტერნატიულ, არაკანონსწინააღმდეგო გზე-

103 Philip J. Cook and Jens Ludwig, *Economical Crime Control*, 2011, pp. 19-20.

104 Ian Taylor, Paul Walton and Jock Young, *Critical criminology in Britain: review and prospects*, 1975, p. 44.

105 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, *დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა*, 2021, გვ. 30.

106 იქვე, გვ. 53.

ბს.¹⁰⁷ თუმცა, ისინი ასევე მიუთითებენ, რომ დანაშაულის ოჯახის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორებია. კერძოდ, მიუხედავად იმისა, დანაშაულს ექნება თუ არა დეტალური ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, მან, შესაძლოა, მაინც ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედება ოჯახის რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო.¹⁰⁸ ფოკუს ჯგუფების მონაწილეების თქმით, ინფორმირებულობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნაკლებად მძიმე დანაშაულების შემთხვევაში იძენს, რადგან ადამიანს შეიძლება წარმოდგენას არ ჰქონდეს იმის თაობაზე, რომ დანაშაულს სჩადის, ან არ ჰქონდეს სათანადოდ გააზრებული ამ დანაშაულის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე რესპონდენტის თქმით, „მათ მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული რისკებისა და სასჯელის ზომის შესახებ დეტალური ინფორმაცია წინასწარ რომ ჰქონოდათ, შესაძლოა, თავი შეეკავებინათ“.¹⁰⁹

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, როგორც დანაშაულის პრევენციის მექანიზმი, მჭიდროდ უკავშირდება, ერთი მხრივ, განათლების სისტემაში შესაბამისი საკითხების ინტეგრაციას (და ზოგადად – განათლების უფლებებზე ხელმისაწვდომობასა და ხარისხს), მეორე მხრივ კი – სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთობას საზოგადოების წევრებთან. საკითხის ამ კუთხით შესწავლა უპირველესად გულისხმობს კონკრეტული დანაშაულის ტიპების სპეციფიკის, მისი გამომწვევი მიზეზების და რისკ ჯგუფების გამოვლენას, კონტექსტის გაანალიზებას და მუშაობას საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე. მისი მიზანი, საბოლოოდ, კონკრეტული დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საპოლიციო სტრატეგიების დაქვემდებარებაა „დემოკრატიულობის იმპერატივის“ (democratic imperative) ჩარჩოს ქვეშ.¹¹⁰ ეს კი სამ ურთიერთდაკავშირებულ მიდგომას გულისხმობს, კერძოდ: ფექტიანი საპოლიციო სტრატეგია მოითხოვს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ორმხრივ მიმოცვლას ადგილობრივ თემსა და პოლიციას შორის; ინფორმაციის მიმოცვლა არის საზოგადოების/თემის მხრიდან პოლიციის მიმართ ნდობის შედეგი; ამგვარი ნდობის შექმნა/აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ პოლიციის დემოკრატიული ანგარიშვალდებულების გზით საზოგადოების/თემის მიმართ.¹¹¹

საზოგადოებას ექნება ნდობა სამართალდამცავი უწყებების მიმართ, თუ ეს უკანასკნელი მოახდენს ფოკუსირებას იმ დანაშაულებზე, რომლებიც საზოგადოების მხრიდან სერიოზულად და მნიშვნელოვნად აღიქმება, და პრევენციისა და კონტროლის იმ მექანიზმებზე, რომლებიც საზოგადოებაში ლეგიტიმურად მიიჩნევა.¹¹² ამდენად,

107 იქვე, გვ. 114.

108 იქვე.

109 იქვე.

110 John Lea, *Left Realism: A Radical Criminology for the Current Crisis*, 2016, p. 55.

111 იქვე.

112 იქვე.

ეს უნდა იყოს კოლექტიური, და არა კონსერვატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ბიუროკრატიული და ვიწროდ კრიმინოლოგიური შეფასებების პროცესი.¹¹³ აღსანიშნავია, რომ გარკვეულწილად ამ იდეას ემსახურებოდა საქართველოში მართლწესრიგის ოფიცრების ინსტიტუტის დანერგვა, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, დღესდღეობით ის კლასიკურ საპოლიციო ფუნქციებს იძენს და, შესაბამისად, ვერ პასუხობს თავდაპირველ მიზნებს.

მთლიანობაში, დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებაზე მიმართული გემოლნიშნული მიდგომების მიზანია სამართალდამცავი ორგანოებისა და საზოგადოების წევრების დაახლოება და ინტერაქცია. „დემოკრატიული იმპერატივის“ ჩარჩო, მათ შორის, ეხმიანება სოციოლოგიური კვლევის რესპონდენტების მიერ გამოთქმულ იმ წუხილებსაც, სადაც ისინი დანაშაულის გამომწვევ სოციალურ ფაქტორებს შორის საზოგადოების წევრებთან ინტეგრაციის შინაარსს და ინფორმაციულ დეფიციტს ასახელებენ. მართალია, ეს ფაქტორები და მათი ცვლილებისთვის გასატარებელი ინსტიტუციური რეფორმები ქურდობისა და ძარცვის პრევენციის მეორადი ფაქტორებია (რადგან საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების პრევენცია უმთავრესად დაკავშირებულია სოციალური პოლიტიკის ცვლილებასთან), თუმცა ისინი მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია დემოკრატიული და ადამიანზე მორგებული სამართალდამცავი სისტემის ჩამოყალიბების გზაზე.

საინტერესოა, რომ დემოკრატიული ანგარიშვალდებულების კუთხით არსებულ ამ პრობლემებზე, დანაშაულის პრევენციის ჭრილში, ყურადღება მახვილდება საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიაში.¹¹⁴ თუმცა, პრობლემის გადასაჭრელად დასახული გზები ფრაგმენტულია და არ არის მორგებული სპეციფიკურ კონტექსტში კონკრეტული დანაშაულის ტიპების (ამ შემთხვევაში – ქურდობა/ძარცვა) პრევენციის მიზნებზე. იგივე იკვეთება 2019-2020 წლებში ქურდობა/ძარცვის პრევენციის მიზნებისთვის შესრულებული სამუშაოების შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციების საფუძველზე.¹¹⁵ ამასთანავე, არასისტემურია დანაშაულის პრევენციის ცენტრის ფუნქციებიც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავიდან აცილების კუთხით. ეს უწყება კონცენტრირებულია მხოლოდ 14-დან 21 წლამდე ადამიანებზე, მისი აქტი-

¹¹³ იქვე, გვ. 56.

¹¹⁴ საქართველოს პროკურატურის სტრატეგია (2017-2021 წლები), გვ. 48, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xcek50>; წვდომის თარიღი: 21.04.2021.

¹¹⁵ 2019-2020 წლებში პროკურატურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სასწავლო აქტივობები, რომლებიც მოიცავდა დანაშაულის პრევენციის საკითხებს. 2019 წელს განხორციელდა 4 აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო 33 მსმენელი (პროკურატურის თანამშრომელი). 2020 წელს ჩატარდა 1 კურსი, რომლის ფარგლებშიც გადამახდდა 2 მსმენელი. ამასთან, გენერალური პროკურატურიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, ეკონომიკურ დანაშაულებზე, მათ შორის, ქურდობასა და ძარცვაზე აქცენტირება მუდმივად ხდება პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში, მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით. ასევე, პერიოდულად იბეჭდება თემატური ბროშურები და ბუკლეტები. საქართველოს გენერალური პროკურატურისგან მოწოდებული საჯარო ინფორმაცია №13/1393.

ვობები შემოიფარგლება ფრაგმენტული კულტურული და სპორტული ღონისძიებებით, ხოლო ქურდობის/ძარცვის დანაშაულებთან მიმართებით რაიმე სპეციფიკური სტრატეგიები საერთოდ არ აქვს.¹¹⁶

სასჯელის პოლიტიკა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან მიმართებით

საქართველოში საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია. 2019-2020 წლებში რეგისტრირებული დანაშაულებიდან, დაახლოებით 40% საკუთრების წინააღმდეგ იყო მიმართული.¹¹⁷ ამასთან, საინტერესოა, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენის პროცენტული წილი განსაკუთრებით მაღალია არასრულწლოვნებში. კერძოდ, 2020 წელს განრიდებული და ბრალდებული არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულთა 75% საკუთრების წინააღმდეგ იყო მიმართული.¹¹⁸ უშუალოდ ქურდობასა და ძარცვასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 2020 წელს მსჯავრდებულ პირთაგან, მეხუთედზე მეტი ქურდობის/ძარცვის დანაშაულისთვის გასამართლდა (20.26%). 2019 წელს ეს მონაცემი მცირედით დაბალი იყო (18.46%).¹¹⁹

როდესაც საკითხი დანაშაულის მიმართ არსებულ პოლიტიკას და მის თავიდან არიდებას ეხება, ბუნებრივია, კრიმინალიზაციის და კონტროლის გაძლიერებისკენ მიმართული მექანიზმები ერთ-ერთი შესაძლო გამოსავალია.¹²⁰ თუმცა, ქურდობისა და ძარცვის პრევენციასთან დაკავშირებით, როგორც გამოჩნდა, საპოლიციო კონტროლის მექანიზმებზე მნიშვნელოვანი დანაშაულის სოციოეკონომიკური ფაქტორების აღმოფხვრაზე ორიენტირებული გზების ძიებაა. ამ კონტექსტში, სასჯელების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს არა იზოლაციასა და რეპრესიაზე, არამედ ინტეგრაციაზე.¹²¹ ეს, თავის მხრივ, გარემოებებისა და კონტექსტის გათვალისწინებით, უნდა გულისხმობდეს ჰუმანურ, ნაკლებად რეპრესიულ და ალტერნატიულ სასჯელებზე ორიენტირებულ მიდგომებს.¹²²

116 დანაშაულის პირველი ღონის პრევენციის პროგრამები, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QDXJyx>; წვდომის თარიღი: 21.04.2021.

117 რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა, მონაცემების გადმოწერა XLS, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tF6KGi>; წვდომის თარიღი: 21.04.2021.

118 საქართველოს გენერალური პროკურატურა, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა, 2021, გვ. 10, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3xgS1ng>; წვდომის თარიღი: 21.04.2021.

119 მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულებათა სახეების მიხედვით, მონაცემების გადმოწერა XLS, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tF6KGi>; წვდომის თარიღი: 21.04.2021.

120 John Lea, *Left Realism: A Radical Criminology for the Current Crisis*, 2016, p. 57.

121 იქვე.

122 Philip J. Cook and Jens Ludwig, *Economical Crime Control*, 2011, p. 18.

უპირველესად, საინტერესოა ის ფაქტი, რომ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკის მიმართ გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი პოზიციები ჰქონდათ სოციოლოგიური კვლევის რესპონდენტებს (როგორც ყოფილ მსჯავრდებულებს, ისე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებს). კერძოდ, რაოდენობრივი კვლევის შედეგების თანახმად, „უმრავლესობამ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ კიდევ უფრო აქტიურად უნდა გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმები (მაგ., განრიდება, პირობითი მსჯავრი და სხვ.). მეორე მხრივ, ორივე სამიზნე ჯგუფის უმრავლესობა იზიარებს შეხედულებას, რომ სახელმწიფო ვალდებულია კრიმინალთან ბრძოლაში ნულოვანი კომპრომისის მეთოდები გამოიყენოს და არა – ლიბერალური პოლიტიკა“.¹²³ რესპონდენტები, ძირითადად, შუალედურ პოზიციას იკავებენ იმის შეფასების დროსაც, რამდენად შეესაბამებოდა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს დაკისრებული სასჯელი.¹²⁴ თუმცა, ნიშანდობლივია, რომ კვლევაში მონაწილე ყოფილი მსჯავრდებულების უმრავლესობა დაკისრებულ სასჯელს უსამართლოდ მიიჩნევს.¹²⁵

მეტ-ნაკლებად მსგავსი პოზიციები გამოითქვა ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მხრიდანაც. მათი თქმით, არის შემთხვევები, როცა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (ქურდობის კონტექსტში) საერთოდ არ უნდა მიიჩნეოდეს კრიმინალურ ქმედებად (ან უნდა გამოიყენებოდეს პირობითი მსჯავრი), მხედველობაში უნდა მიიღებოდეს მისი მასშტაბი და, რაც მთავარია, მოტივაცია.¹²⁶ მთლიანობაში, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები საჭიროდ მიიჩნევენ სასჯელების უფრო მეტად დივერსიფიკაციას, რათა შესაძლებელი გახდეს წვრილმანი და ნაკლები საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე შემთხვევების ჰუმანური შეფასება და ამ ქმედებებისთვის ალტერნატიული სასჯელების გამოყენება (მაგალითად, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სახით).¹²⁷ ქურდობის ნაწილში, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა მკაფიოდ მიუთითეს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის (თავისუფლების აღკვეთა 4-დან 7 წლამდე) შეუსაბამობასა და არადივერსიფიცირებულობაზე.¹²⁸ მსგავსად, რაოდენობრივი კვლევის მონაწილე რესპონდენტების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მძიმე დანაშაულად არ უნდა კვალიფიცირდებოდეს ქურდობის/ძარცვის დამამძიმებელი ისეთი გარემოებები, როგორიცაა, მაგალითად, ბინაში უკანონო შეღწევა ან სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.¹²⁹

123 იაგო კაკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციოლოგიური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 29.

124 იქვე, გვ. 36.

125 იქვე, გვ. 40.

126 იქვე, გვ. 119.

127 იქვე, გვ. 138.

128 იქვე, გვ. 110.

129 იქვე, გვ. 85-87.

კვლევის მიხედვით, ყოფილ მსჯავრდებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას (83.1%) თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, თითქმის 10%-ს კი – ჯარიმა.¹³⁰ განსაკუთრებით მცირე იყო მათი წილი, ვისაც შინაპატიმრობა (6%), ან პირობითი მსჯავრი (1.1%) შეეფარდა.¹³¹ როგორც ქურდობის/ძარცვის ჩამდენი პირების (60.1%), ისე მათი ოჯახის წევრების უმრავლესობა (62.9%) მიუთითებს, რომ მათი შეფასებით, ჩადენილ დანაშაულს არ ახლდა ძალადობა, არ გამოუწვევია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ზიანი და არც ორგანიზებული და წინასწარ შეთანხმებული ყოფილა.¹³² ამასთან, როგორც აღმოჩნდა, ყოფილი მსჯავრდებულების უდიდეს ნაწილს (82.1%), ბოლო შემთხვევამდე ნასამართლობის გამოცდილება არ ჰქონია.¹³³ მართალია, ამ შემთხვევებში საქმის ფაქტობრივი გარემოებების ცოდნის გარეშე ზუსტი დასკვნების გაკეთება რთულია, თუმცა, ნიშანდობლივია, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენებისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომელიც სასჯელის პოლიტიკის თაობაზე რესპონდენტების წუხილებს ეხმიანება.

კვლევის ფარგლებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გაანალიზდა საერთო სასამართლოების 2019-2020 წლების განაჩენები (43)¹³⁴ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე და 178-ე მუხლების 1-ლ, მე-2 და მე-3 ნაწილებთან მიმართებით. ანალიზით ირკვევა, რომ საერთო სასამართლოების პრაქტიკა სასჯელების პოლიტიკის კუთხით საქართველოში ორ მსხვილ პრობლემას ავლენს: 1) გადასახედია ქურდობის/ძარცვის დანაშაულების დამამძიმებელი გარემოებების, შესაბამისი სასჯელების დივერსიფიცირებულობისა და ზომების თაობაზე არსებული საკანონმდებლო მიდგომები; 2) სასამართლოები და ბრალდების მხარე ხშირ შემთხვევაში არ ავლენენ საკმარის ძალისხმევას იმისათვის, რათა გამოყენებული სასჯელი უფრო ჰუმანური იყოს და მხედველობაში მიიღებოდეს დანაშაულის გამომწვევი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები.

შესწავლილ განაჩენებს შორის არაერთი იყო ისეთი, სადაც, მიუხედავად მცირე ზიანის და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების არარსებობისა, მოსამართლე შებოჩილი აღმოჩნდა სისხლის სამართლის კოდექსის მიერ განსაზღვრული მიდგომებით. ეს ეხება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის კოდექსით დადგენილი „მნიშვნელოვანი ზიანის“ კომპონენტს; ქმედების კონკრეტული შემადგენლობებისთვის სასჯელის სახედ მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას (177-ე მუხლის მე-3 ნაწილი; 178-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი), ასევე ალტერნატიული სასჯელების შეფარდების ლიმიტირებას (მაგალითად, ქურდობის/

130 იქვე, გვ. 32-33.

131 იქვე, გვ. 34.

132 იქვე, გვ. 36.

133 იქვე, გვ. 37.

134 განაჩენები: თბილისის საქალაქო სასამართლო – 18; ბათუმის საქალაქო სასამართლო – 15; ქუთაისის საქალაქო სასამართლო – 6; ფოთის საქალაქო სასამართლო – 3; თელავის რაიონული სასამართლო – 1.

ძარცვის დანაშაულის ჩადენისას, არცერთ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული ძირითადი სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების შესაძლებლობა; და სასჯელის ზომებს (კონკრეტული დამამძიმებელი გარემოებისთვის თავისუფლების აღკვეთის მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს).

ერთ-ერთ საქმეში, ქმედება, რომელიც ზიანის განსაკუთრებული სიმცირით ხასიათდებოდა (მანქანის აკუმულატორის, აუდიო მაგნიტოფონის, სუნამოს, მეხსიერების ბარათისა და ჯვრის სუვენირული სადგამის ძირის მოპარვა – ჯამში 110-115 ლარის ზიანი) დაკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ).¹³⁵ მოსამართლემ იმსჯელა ქმედების მცირე მნიშვნელობაზე, ასევე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ სხვა გარემოებებზე (ოჯახური მდგომარეობა, კერძოდ, შვილის ავადმყოფობა; ნასამართლეობის არქონა; დაზარალებულის ლმობიერი პოზიცია) და ბრალდებულს 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმი – 4 წელი შეუფარდა.¹³⁶ მოსამართლეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენებაზე ემსჯელა. მსგავსი პრობლემა გამოიკვეთა ქურდობისა და ძარცვის არაერთგზის ჩადენასთან დაკავშირებითაც, როცა განსაკუთრებით მცირე ზიანის მიუხედავად, თავისთავად არაერთგზისობის ფაქტი შეუძლებელს ხდიდა მოსამართლის მიერ ლმობიერი სასჯელის გამოყენების შესაძლებლობას.

პრობლემურად უნდა ჩაითვალოს თავად „მნიშვნელოვანი ზიანის“ განსაზღვრული ოდენობაც (150 ლარი), რომლის განსაკუთრებული სიმცირე და 177/178-ე მუხლების პირველი ნაწილების დისპოზიცია ბუნდოვანს ხდის იმ ზღვარს, სადაც ქმედება, თავისი მცირე მნიშვნელობის გამო, საერთოდ არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად, მოსამართლეს კი ნაკლები დისკრეციის ფარგლებს უტოვებს.¹³⁷ შესაბამისად, „მნიშვნელოვანი ზიანის“ არსებული ოდენობის გათვალისწინებით, ამ დამამძიმებელი გარემოებით პირის გასამართლება, რიგ შემთხვევებში, ადამიანისთვის არაპროპორციულად მძიმე და სასჯელის მიზნებთან შეუსაბამო შეიძლება აღმოჩნდეს.

კიდევ ერთი საკანონმდებლო პრობლემაა შინაპატიმრობის შემთხვევაში მსჯავრდებულისთვის განსაზღვრული ფინანსური ტვირთი. კერძოდ, კანონმდებლობით დადგენილია, რომ შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულებისათვის დაწესებულია საფასური, თვეში 100 ლარის ოდენობით.¹³⁸

135 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 2019, მონოდედებული საჯარო ინფორმაციის სახით.

136 იქვე.

137 სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“.

138 „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამკვიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №146, მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sfseYA>; წვდომის თარიღი: 13.04.2021.

შინაპატიმრობის ამ ფორმით დაკისრებას პირისთვის ჯარიმის მსგავსი ეფექტი აქვს (ფინანსური კუთხით), რაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სპეციფიკისა და მით უფრო მისი მცირე ზიანის გათვალისწინებით, ცალსახად სწორ მიდგომად ხშირად ვერ მიიჩნევა. მართალია, არსებობს შემთხვევები, როცა პირი ამ საფასურის გადახდისგან თავისუფლდება (თუ ის არასრულწლოვანი ან სოციალურად დაუცველია),¹³⁹ თუმცა, სოციალური დაცვის არსებული სისტემის, სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლების პირობებში, საეჭვოა, რომ ის ყველა სოციალურად და ეკონომიკურად მარგინალიზებულ ადამიანს ფარავდეს. ამიტომ, საჭიროა ამ კუთხით უფრო ინკლუზიური მოწესრიგების ძიება (ეს შესაძლოა გულისხმობდეს საგამონაკლისო კატეგორიების გაფართოებას, მოსამართლისთვის მეტი დისკრეციის მინიჭებას ან საუკეთესო შემთხვევაში შინაპატიმრობის საფასურის გადახდევინების გამორიცხვას საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დროს). გარდა ამისა, 177-ე და 178-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის მიზანშეწონილია ისეთი ალტერნატიული სასჯელის გამოყენების შესაძლებლობის დაშვება, როგორც საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომია.

მნიშვნელოვანი გამოწვევაა თავად მოსამართლეების მიერ ქმედების გამომწვევი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების მხედველობაში მიღებისა და მეტად ჰუმანური სანქციების გამოყენებისგან თავის შეკავების პრაქტიკა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა 177-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებისა და 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შემთხვევაში. მაგალითისთვის, ერთ-ერთ საქმეში მოსამართლემ პირს 3000 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა იმ ქმედებისთვის, რომელმაც 140 ლარის ზიანი გამოიწვია (ე.წ. ჯიბის ქურდობა), ხოლო თავად პირი აღიარებდა დანაშაულს და მანამდე ნასამართლევიც არ ყოფილა.¹⁴⁰ მოსამართლეს არ უმსჯელია ქმედების გამომწვევ სოციალურ და ეკონომიკურ მიზეზებზე, რაც, როგორც სხვა განაჩენების ანალიზიდანაც ირკვევა, ტიპური მოვლენაა. კერძოდ, შესწავლილმა საქმეებმა აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში (თუმცა არა ყოველთვის), მოსამართლეები შაბლონურად უდგებიან ან საერთოდ არ აფასებენ ქმედების სოციოეკონომიკურ ასპექტებს, რომელიც, რეალურად, სასჯელის სახისა და ზომის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი უნდა იყოს. არადა, სასამართლოს, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ეს პირდაპირ ევალება.¹⁴¹ საინტერესოა, რომ 2019-2020 წლების შესწავლილ განაჩენებს შორის არ ყოფილა არცერთი, სადაც მოსამართლემ სასჯელის სახედ შინაპატიმრობა გამოიყენა (თუმცა, როგორც უკვე ითქვა, შინაპატიმრო-

139 იქვე, მე-11 მუხლის მე-6 პუნქტი.

140 თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 2019, მოწოდებული საჯარო ინფორმაციის სახით.

141 სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაცხვეას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს“.

ბის არსებული მოდელის გამოყენება, რიგ შემთხვევებში, ჯარიმის მსგავს ეფექტს შექმნიდა).

ამ კონტექსტში ასევე საინტერესოა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სისხლის სამართლის მონიტორინგის ანგარიშები, რომლის მიხედვითაც, სასამართლოები ხშირ შემთხვევაში არც აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას, და არც განაჩენის გამოტანისას ითვალისწინებენ პირის სოციალურ მდგომარეობას. მაგალითისთვის, 2018-2019 წლების მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, „საია დაესწრო 25 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას, სადაც ჩადენილი ქმედების მიზეზი იყო გაჭირვება. 25-ვე შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა გირაო ან პატიმრობა, არცერთ შემთხვევაში არ შეუფარდებია პირადი თავდებობა და არ დაუტოვებია აღკვეთის ღონისძიების გარეშე. 25 შემთხვევიდან პროკურორმა პატიმრობა იშუამდგომლა 9 შემთხვევაში, რაც სასამართლომ ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილა“.¹⁴² ამავე ანგარიშის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ 20 სხდომიდან, სადაც აშკარად იკვეთებოდა, რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება სოციალური გაჭირვებით იყო მოტივირებული, 6 შემთხვევაში პროკურორს შეეძლო, საერთოდ არ დაენყო სისხლისსამართლებრივი დევნა ან მხარისთვის განრიდების გამოყენება შეეთავაზებინა.¹⁴³ ამავე დროს, სასამართლოსაც შეეძლო, რომ ის ქმედების მცირე მნიშვნელობის მოტივით არ დაემტკიცებინა.¹⁴⁴

ამასთანავე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მნიშვნელოვანი პრობლემების მიუხედავად, 2010-2011 წლების ქურდობის/ძარცვის განაჩენების ანალიზი და 2019-2020 წლებთან მისი შედარება მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესების ტენდენციას ავლენს. ეს ძირითადად ორი მიმართულებით გამოვლინდა: 1) 2010-2011 წლებში მოქმედი სასჯელთა შეკრებითობის პრინციპის გამო, არაერთ შემთხვევაში გამოყენებული სასჯელის ზომა განსაკუთრებით მძიმე და არაჰუმანურ სახეს იღებდა. მაგალითისთვის, ერთ-ერთ საქმეში, ქურდობის ორი ეპიზოდისთვის (ჯერ სანადირო თოფის, შემდეგ ფოტოაპარატის ფარული დაუფლება), პირს ერთობლიობაში 8 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.¹⁴⁵ პირი მანამდე ნასამართლევი არ ყოფილა და აღიარებდა დანაშაულს.¹⁴⁶ კიდევ ერთ საქმეში, ქურდობის (სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ) და ძარცვის (მობილური ტელეფონი და ფულადი თანხა 180 ლარის ოდენობით) ეპიზოდებისთვის, პირს (ნასამართლობის მქონე, ძარცვის ეპიზოდში აღიარებდა ბრალს) შეკრებითობის პრინციპის საფუძველზე 12

142 მერაბ ქართველიშვილი, სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში №13 (თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში), 2019, გვ. 108, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3mODNoO>; წვდომის თარიღი: 14.04.2021.

143 იქვე, გვ. 111.

144 იქვე.

145 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 2011, მოწოდებული საჯარო ინფორმაციის სახით.

146 იქვე.

წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, დამატებით სასჯელად კი 4000 ლარის გადახდა დაენიშნა.¹⁴⁷ დანაშაულთა შეკრებითობის პრინციპი 2013 წელს შთანთქმის პრინციპმა ჩაანაცვლა.¹⁴⁸ 2) 2010-2011 წლებში სასამართლო პრაქტიკაში ფართოდ იყო გავრცელებული დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევები, რაც დამატებით ამძიმებდა მსჯავრდებულთა მდგომარეობას. კვლევის ფარგლებში შესწავლილი 2010-2011 წლებში გამოტანილი 18 გამამტყუნებელი განაჩენიდან 8-ში ამგვარი მიდგომა იკვეთება. საპირისპიროდ, 2019-2020 წლების 35 გამამტყუნებელ განაჩენს შორის მხოლოდ 5 იყო ისეთი, სადაც მოსამართლემ პირს დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა დააკისრა. გარდა ამისა, 2010-2011 წლების განაჩენებში ნაკლებად შეიმჩნევა მინიმალური სასჯელების გამოყენების პრაქტიკა.

გემოლნიშნული დადებითი ტენდენციების მიუხედავად, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ქურდობის და ძარცვისთვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის სახეები, დამამძიმებელი გარემოებების დაჯგუფების ლოგიკა და „მნიშვნელოვანი ზიანის“ კომპონენტი დღესაც 2010-2011 წლების მსგავსია (მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, მაგალითად, შინაპატიმრობის დამატება 177-ე მუხლის 1-ლ და მე-2, ასევე 178-ე მუხლის 1-ლ ნაწილში). ზოგიერთ შემთხვევაში კვლავაც გამოწვევად რჩება თავისუფლების აღკვეთის კოდექსით შემოთავაზებული მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები. ამასთანავე, არსებითი გარდატეხა არ მომხდარა სასამართლოების მიერ ქურდობის/ძარცვის გამომწვევი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გაანალიზების, მხედველობაში მიღებისა და სასჯელების ამ ფაქტორებზე დაფუძნების კუთხით. შესაბამისად, ქურდობის/ძარცვის დღეს მოქმედი საკანონმდებლო რეგულირება და სასამართლო პრაქტიკა არსებითად ახალი, მეტად ჰუმანური და დივერსიფიცირებული სასჯელის პოლიტიკის განსაზღვრის გზას უნდა დაადგეს.

გარდა გემოთქმულისა, დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული ქურდობისა და ძარცვის დანაშაულებისთვის მსჯავრდებული პირების რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესი. კერძოდ, სოციოლოგიური კვლევის მონაწილე რესპოდენტების უმეტესმა ნაწილმა (თითქმის ყოველმა მეორემ) აღნიშნა, რომ რესოციალიზაციის პროცესში თავს დაუცველად და დაჩაგრულად გრძნობენ.¹⁴⁹ კვლევის მიხედვით, მსჯავრდებულების საზოგადოებაში რეინტეგრაციას განსაკუთრებით აბრკოლებს, ერთი მხრივ, დასაქმების შესაძლებლობების ლიმიტირება, მეორე მხრივ კი – სასჯელის მოხდის შემდეგ/პრობაციაში ყოფნის პერიოდში პოლიციის კონტ-

147 ბათუმის საქალაქო სასამართლო, 2010, მოწოდებული საჯარო ინფორმაციის სახით.

148 „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sJDz3G>; წვდომის თარიღი: 21.04.2021.

149 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 66.

როლის გარეშე თავისუფალი გადაადგილების უფლების დარღვევის პრაქტიკა.¹⁵⁰ მთლიანობაში, სოციოლოგიური კვლევის შედეგები, ასევე სასამართლო პრაქტიკისა და საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი, ცხადყოფს, რომ ქურდობის/ძარცვის დანაშაულების მიმართ არსებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა უმთავრესად ეფუძნება დასჯის (ხშირად არაპროპორციული სასჯელის სახისა და ზომის გამოყენებით) და უგულებელყოფის პრაქტიკას (რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესში ზრუნვის პოლიტიკების არარსებობით).

150 იქვე, გვ. 66, 69.

ნაწილი III. სისხლის სამართლის პოლიტიკა ცალკეული სახის ნარკოდანაშაულთან მიმართებით

შესავალი

ნარკოტიკული საშუალებებისა და მასთან დაკავშირებული საკითხებისადმი საზოგადოებას ამბივალენტური დამოკიდებულება აქვს. თავად ტერმინი „ნარკოტიკი“ საფრთხის, რისკის, დამოკიდებულების, ხშირად – ზიანის და სიღარიბის ასოციაციებს იწვევს. ეს კი, თავისთავად, საკითხის მიმართ პოლიტიკური აქტივობისა და კონტროლის გზით ინტერვენციის საფუძველია.

ნარკოტიკების პრობლემის გააზრება ჯანმრთელობის, დანაშაულისა და წესრიგის კრილში შეიძლება, და ასევე – ის მარგინალიზებისა და ექსკლუზიის განმაპირობებელ სერიოზულ ფაქტორადაც აღიქმება. რომელი ასპექტი იქნება ნამყვანი და რა ურთიერთმიმართება ექნება თითოეულს, საზოგადოების ცალკეული აქტორების, სოციალური მოძრაობების, მედიის, პოლიტიკური სისტემის სტრატეგიებით განისაზღვრება.¹⁵¹

საქართველოში, გასული საუკუნის 60-იან წლებიდან მოყოლებული, ნარკოტიკული საშუალებების ნებისმიერი პერსპექტივიდან განხილვა მეტწილად საზოგადოების თუ პოლიტიკური აქტორების ნარკოფობიის და მორალური პანიკის ფონზე მიმდინარეობს. საკითხისადმი მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას ხელს უშლის ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით გამყარებული ომის პარადიგმა, რაც ინსტიტუციურ დონეზეც სიღრმისეულად გათავისებულია. მაგალითად, ქვეყანაში სახელმწიფო უწყებათა ერთობლივი საბჭო „ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის“ სახელით მოქმედებს. ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული ინფორმაციული კამპანია 2005 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ქალაქში გამაფრთხილებელი წარწერებით – „ქალაქში მოსიარულე მკვლელი“ ჩატარდა. ამგვარი ღონისძიებები ხშირად, პრევენციის ნაცვლად, საზოგადოების დაშინებას იწვევს და საკითხის რაციონალურად განსჯას უშლის ხელს. სწორედ ომის პარადიგმიდან მოდის ნარკოტიკების საფრთხისა და ნარკომომხმარებლების დემონიზაცია, რასაც ადგილი აქვს ქართულ სინამდვილეში და რაც პრობლემის დასაძლევად ადამიანის უფლებებზე და სამეცნიერო მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრობლემის მართვის პოლიტიკების არა თუ გატარებას, არამედ გატარებაზე დისკუსიასაც კი აბრკოლებს.¹⁵²

151 Axel Groenemeyer, Drogen, Drogenkonsum und Drogenabhängigkeit, in: Handbuch soziale Probleme, 2012, 33. 437.

152 ჯანა ჯავახიშვილი, ნარკოფობია საქართველოში: ირაციონალური რაციოს წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: liberali.ge, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

ამის მიზეზი, შესაძლოა, ნარკოტიკული საშუალებების თაობაზე არსებული ნორმების წარმოშობის, საზოგადოებაში აღიარების წინმსწრები პროცესები იყოს, რაც მორალური შეხედულებების წარმოების პრაქტიკაში გამოიხატება. ამ პროცესში, კონკრეტული ინიციატივის დაყენების და სასურველი შედეგის მიღწევამდე, ცვლილების მსურველები მორალურ ჯვაროსნულ ბრძოლას აცხადებენ იმ მტკიცე რწმენით, რომ საკითხი, რომლის მიღწევაც სურთ, საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. დადგენილი წესების შენარჩუნების კონტროლი კი ამაზე პასუხისმგებელი რგოლების – სამართალდამცველების, იურისტების, პედაგოგების და სხვათა ამოცანად განიხილება. თუ ვის შესწევს უნარი, განსაზღვროს რომელი ქცევა შეფასდება ნორმიდან გადახრად ანდა მეტიც, დანაშაულებრივ ქმედებად, მაგალითად, იქნება მარიხუანის მოხმარება კრიმინალიზებული თუ არა, ან მარიხუანის მოხმარების კრიმინალიზების პირობებში დაიშვება თუ არა მცენარე კანაფის მოყვანა სამრეწველო მიზნებისთვის,¹⁵³ მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოების ელიტური ჯგუფების მიზნებსა და შეხედულებებზე.¹⁵⁴

ამ კონტექსტში საყურადღებოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, როგორც მნიშვნელოვანი მოთამაშის როლი გლობალური ნარკოპოლიტიკის განსაზღვრაში. 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ¹⁵⁵ დღემდე, ნარკოტიკების რეგულირების მიზნით მიღებული პირველი და ყველაზე გავლენიანი დოკუმენტია, რომელიც ამ საკითხზე საერთაშორისო ნარატივს და პრობლემის დისკურსს ადგენს. დოკუმენტმა პირდაპირ განსაზღვრა ხელშემკვრელი სახელმწიფოების ვალდებულება, კონვენციით უკანონოდ მიჩნეულ ნარკოტიკულ საშუალებათა მიმართ რიგი ქმედებები — ყიდვა, გაყიდვა, დამზარება, წარმოება, კულტივირება, ფლობა, შეთავაზება, და სახელმწიფოს შეხედულებისამებრ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე სხვა ქმედებები დასჯადობას დაქვემდებარებოდა, განზრახ ან მძიმე ფორმებით ამავე ქმედებათა ჩადენის შემთხვევაში კი – თავისუფლების აღკვეთა ყოფილიყო გამოყენებული.¹⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია პირდაპირ არ მოითხოვს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების კრიმინალიზებას, ნარკოტიკული საშუალებებიდან მომდინარე პრობლემების გადაჭრის მთავარ გზად რეპრესიულ ინსტრუმენტებს სახავს.

153 იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „მცენარე კანაფის კონტროლის შესახებ“, რომელიც 2019 წლის 2 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოების და ეკლესიის წინააღმდეგობის გამო, უკან გაიწვია, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2F3JuKG>, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

154 Dagmar Danko, *Becoming a Marihuana User – Symbolischer Interaktionismus*, in: *Handbuch Drogen in sozial- und kulturwissenschaftlicher Perspektive*, 2019, გვ.216-218.

155 შემდგომში დამატებით იქნა მიღებული გავრცელებული 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა თაობაზე, გავრცელებული 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

156 Axel Groenemeyer, *Drogen, Drogenkonsum und Drogenabhängigkeit*, in: *Handbuch soziale Probleme*, 2012, გვ. 441.

საქართველოშიც, სადაც კონვენცია 2000 წლის 23 თებერვლიდან მოქმედებს,¹⁵⁷ რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ცვლილებისა და სისხლისსამართლებრივი ინსტრუმენტების ალტერნატიული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე საუბრისას, მათ შორის, ნარკოტიკულ დანაშაულთა არაკონსტიტუციურობაზე მსჯელობისას, საკანონმდებლო ორგანო სწორედ სხენებული კონვენციიდან გადახვევის შეუძლებლობასა და მისგან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის არგუმენტს იყენებს.

მსოფლიო მასშტაბით ნარკოტიკების წინააღმდეგ რეპრესიული მექანიზმებით ბრძოლის ნარატივი და ამგვარად, სახელმწიფოთა რეპრესიული ღონისძიებებით ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა თავად გაეროს გენერალური მდივნის აღიარებამ დააყენა ეჭვქვეშ, რომელმაც ეს ბრძოლა წარუმატებლად მიიჩნია და ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარების დეკრიმინალიზების აუცილებლობის საკითხი წამოჭრა.¹⁵⁸ მისივე განცხადებით, ნარკოტიკებმა ბევრი ადამიანი გაანადგურა, თუმცა, ხელისუფალთა მკაცრმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო მეტი ტანჯვა გამოიწვია.¹⁵⁹ არაერთმა ქვეყანამ შეცვალა დასჯაზე დამყარებული მიდგომები ნარკოპოლიტიკის კუთხით და საქართველოშიც, ალტერნატიული გზებით ნარკოტიკების პრობლემებთან გასამკლავებლად, საკითხის კრიტიკული შეფასებაა აუცილებელი.

ნარკოტიკული საშუალებების სისხლისსამართლებრივი კონტროლი

ნარკოტიკების მოხმარების სისხლისსამართლებრივი კონტროლი სპეციალური კანონის მეშვეობით ნარკოპოლიტიკის დარგში კონტროლის წამყვანი ფორმაა, რომელიც ამავდროულად განსაზღვრავს ჩარჩოს ფსიქო-სოციალური, სამედიცინო, ჯანდაცვის კუთხით ინტერვენციის სხვადასხვა ღონისძიებისთვის.¹⁶⁰

სისხლის სამართლის კოდექსი ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით ადგენს კონკრეტული ქმედებების, მათ შორის – მოხმარების, მცირე, დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამზადების, წარმოების, გადაგზავნის, გადაზიდვის, შეძენის, შენახვის, გასაღების დასჯადობას.¹⁶¹ ცალკე კანონი კი ჩამოთვლის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა იმ ნივთიერებას შესაბამისი ოდენობების მი-

¹⁵⁷ გურამ იმნაძე, ნარკოტიკებზე საერთაშორისო კონტროლი, წიგნში: ნარკოტიკული დანაშაული, 2020, გვ.27.

¹⁵⁸ Dagmar Danko, Becoming a Marihuana User – Symbolischer Interaktionismus, in: Handbuch Drogen in sozial- und kulturwissenschaftlicher Perspektive, 2019, გვ. 209.

¹⁵⁹ იქვე, გვ. 218.

¹⁶⁰ Axel Groenemeyer, Drogen, Drogenkonsum und Drogenabhängigkeit, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 445.

¹⁶¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით განსაზღვრული დანაშაულები.

თითებით, რომელთა მოხმარება თუ სხვა სახის ქმედება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არის დაქვემდებარებული.¹⁶²

საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მსჯავრდების საერთო მაჩვენებლიდან, ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულთა წილი, 2010 წლიდან დღემდე, საშუალოდ 20-დან 40 პროცენტამდე მერყეობს და ეკონომიკურ დანაშაულთან ერთად, ყველაზე გავრცელებულია. ყველა სახეობის დანაშაულთა სტატისტიკური მონაცემებიდან, ნარკოტიკული დანაშაულისთვის გასამართლებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ბოლო ათ წელიწადში, 2013-2014 წლებში გამოვლინდა და მთლიანად მსჯავრდებულთა დაახლოებით 40% მოიცვა.¹⁶³ თუ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის (სსკ-ის 273-ე მუხლი) 2010 წელს გასამართლებულთა 34% სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, ეს მაჩვენებელი ბოლო 4 წელში მნიშვნელოვნად შემცირებულია და მოხმარებისთვის პასუხისმგებლობაში მიცემულთა რაოდენობა 2%-ს არ აღემატება.¹⁶⁴

ნარკოტიკული დანაშაულის მიმართ წლების განმავლობაში უკიდურესად მკაცრი სისხლის სამართლის და სასჯელის პოლიტიკაში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანის მიუხედავად, დანაშაულის ეს სახეობა სანქციათა სპეციფიკური სისტემით, სასჯელის მოხდის შემდგომი კონტროლის მექანიზმებით და საზოგადოებაში ინტეგრირებისაგან მბოჭავი მრავალფეროვანი ღონისძიებებით გამოირჩევა, რაც ბუნებრივად აჩენს კითხვას, ამ მიდგომების მიზანშეწონილობის, ნარკოდანაშაულის მიზეზების თაობაზე, რაც სოციოლოგიური კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით უნდა გაანალიზდეს.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების და მოხმარებასთან დაკავშირებული სხვა ქმედებების კრიმინალიზებას ზოგადი და სპეციალური პრევენციული მიზნები უდევს საფუძვლად და ამდენად, არა მხოლოდ ინდივიდუალური დევიანტური ქცევის წინააღმდეგაა მიმართული, არამედ ფართო აუდიტორიასაც მოიცავს. ზოგადი პრევენცია პოტენციური დამნაშავის შეკავებას და ნორმის სიმბოლურ ილუსტრაციას სანქციის დაწესებით ახდენს, (პოზიტიური ზოგადი პრევენცია). სპეციალური პრევენცია კი გამოხატავს კონკრეტული დამნაშავის (მწარმოებელი, გამსაღებელი, მომხმარებელი) შეკავებას შემდგომი დანაშაულების ჩადენისგან. გარდა ამისა, სისხლის სამართლის მიზანი, დანაშაულით მიყენებული ზიანისგან ფართო აუდიტორიის დაცვაა, რაც მაგალითად, დამნაშავის საზოგადოებისგან იზოლირებაში (საპატიმროში

162 საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“.

163 საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება საქართველოში – 2010-2019 წლების სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: www.supremecourt.ge, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

164 საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება საქართველოში – 2010-2019 წლების სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: www.supremecourt.ge, წვდომის თარიღი: 03.05.2021. ამავე მონაცემებით, 2016 წელს ნარკოტიკის მოხმარებისთვის გასამართლებულთა 4.9% შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

გაშვებით) გამოიხატება. ამასთან, ნარკოტიკების მოხმარების ჭრილში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწოდების შემცირებას უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბაზრის შეზღუდვის გზით.¹⁶⁵

სისხლის სამართლის ზოგადი პრევენციის ქმედითობა ნარკოტიკული საშუალების პოტენციურ მომხმარებელთან მიმართებით რთული შესაფასებელია, რადგან ამ სფეროში შემაკავებელი ეფექტი თითქმის არ განსხვავდება სხვა ისეთი შემაკავებელი გარემოებებისგან, როგორიცაა მაგალითად ნარკოტიკების მოხმარებიდან გამომდინარე რისკების თაობაზე ცოდნა (ინფორმირებულობა) ან ინტერესის არარსებობა ამგვარი ნივთიერებებისადმი. ამის მიუხედავად, ივარაუდება, რომ სულ მცირე, არაპირდაპირ, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ კლასიფიცირება დიდ საფრთხესთან ასოცირებას და შესაბამისად, მისგან ადამიანის დისტანცირებას უწყობს ხელს.¹⁶⁶

ნარკოტიკის მოხმარებისგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დანესების გზით შეკავების იდეა ეფუძნება რაციონალური არჩევანის პრინციპს, ანუ ქცევის ეკონომიკურ მოდელს. ამ მიდგომის მიხედვით, შემაკავებელი ეფექტი უნდა ჰქონდეს დევიანტურ ქცევას, თუკი ამისთვის მაღალი „ფასი“ იქნება დანესებული. ამავე დროს, ნარკოტიკის პრობლემა აქ ნებაყოფლობითი ქცევის შედეგად განიხილება – აღიარებული და ლეგიტიმური ნორმიდან გადახვევის სახით. ამ თეორიის თანახმად, სასჯელის მოლოდინი და მასთან დაკავშირებული სტიგმა, ისევე, როგორც სამოშალო საზოგადოებრივ (ცხოვრებაში) თანამონაწილეობის შანსების შემცირება, ქმედებაზე გავლენის მქონე ფაქტორებად განიხილება, რომელიც პირს გადაწყვეტილებას უკანონო ნარკოტიკული საშუალების მოხმარების სასარგებლოდ ან სანაღმდეგოდ მიაღებინებს.¹⁶⁷

ემპირიული კვლევები ამ საკითხზე ერთგვაროვანი არ არის, თუმცა, არსებობს დაშვება, რომ მოსალოდნელი სასჯელის (მაღალი) ზომა, ზოგადად, დელიქტების უმეტესობის პრევენციაზე დაბალ გავლენას ახდენს, მაშინ, როდესაც ნორმიდან გადახვევის შემთხვევაში პირის სოციალური მდგომარეობის მოსალოდნელი გაუარესება ან სხვა ტიპის არაფორმალური სანქცია უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნორმისადმი მორჩილების წარმოშობისთვის.¹⁶⁸ ეს ასევე ნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი სანქციების შემაკავებელი ეფექტი მაშინ წყვეტს მოქმედებას, თუ დევიანტური ქცევა ინდივიდისთვის რელევანტურ სოციალურ გარემოში დადებითად არის შეფასებული.

165 Axel Groenemeyer, Drogen, Drogenkonsum und Drogenabhängigkeit, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 478.

166 იქვე, გვ. 478.

167 იქვე.

168 იქვე.

ამის საწინააღმდეგოდ, დევიანტურ ქცევებზე ნეგატიური რეაქცია მოსალოდნელი ისეთ სოციალურ გარემოშია, სადაც დადგენილი კანონებისადმი მორჩილება ისედაც დამკვირდებული და განმტკიცებულია. აქედან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ზოგად და სპეციალურ პრევენციას ეფექტი სელექციურად იმ ჯგუფში ექნება, რომელიც სისხლისსამართლებრივი შემაკავებელი ღონისძიებების გარეშეც ნარკოტიკის მოხმარებისგან დიდად არიან დისტანცირებული.¹⁶⁹

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნარკოტიკულ დანაშაულზე ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომელშიც ნარკოტიკული დანაშაულებისთვის ყოფილი მსჯავრდებულები, ისევე როგორც ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები სახელმწიფოს მხრიდან ნარკოტიკული საშუალებების აკრძალვასა და დასჯის შიშზე ორიენტირებული გარემოს ნაცვლად, ინდივიდისთვის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის მიცემაზე მიუთითებენ.¹⁷⁰

თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთა უმრავლესობა ზოგიერთი მსუბუქი ნარკოტიკის (მაგალითად, მარიხუანის) მოხმარების დასჯადობას გაუმართლებლად მიიჩნევს და მეტიც, სამედიცინო მიზნით წარმოებასაც ემხრობა. ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვის, მოყვანის ან კულტივირების შემთხვევების შეფასებისას, წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებულ პირთაგან ყოველი მესამე ქმედების დასჯადობას არ ეთანხმება. თუმცა, მნიშვნელოვანი წილი (მეხუთედზე მეტი) ფიქრობს, რომ სასჯელი ჯარიმის სახით უნდა არსებობდეს. ყოფილ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრების უფრო დიდი ნაწილი (40%-მდე) ამ დანაშაულისათვის სწორ სასჯელად თავისუფლების აღკვეთას მიიჩნევს.¹⁷¹

კვლევის რესპონდენტები სახელმწიფოს კონტროლის მკაცრი მექანიზმების გამოყენებას ემხრობიან ნარკოსაშუალების, მათ შორის ფსიქოტროპული ნივთიერებების დამზადების, წარმოების, გადაზიდვის, გასაღების, შემთხვევაში.¹⁷²

ნარკოდანაშაულის გამომწვევი მიზეზები

საზოგადოებაში დანაშაულის მნიშვნელობა რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკას, მსხვერპლის თუ დანაშაულის ჩამდენის კონკრეტულ გამოცდილებას

169 Axel Groenemeyer, Drogen, Drogenkonsum und Drogenabhängigkeit, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 479.

170 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 146.

171 იქვე.

172 იქვე.

სცდება და ფართო სოციუმისთვის მისი პრობლემად ჩამოყალიბებისთვის გადა-
მწყვეტი როლი დადგენილი ნორმიდან გადახვევის აღმას და ინტერპრეტირებას,
ისევე, როგორც მის თანმდევ რეაქციას ენიჭება. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულად
მიჩნეული ერთი და იგივე ქმედება სხვადასხვა ქვეყანაში, ან სხვადასხვა დროში
განსხვავებულად შეიძლება აღიქმებოდეს და ერთგან დანაშაულად რეგისტრაცი-
ამდეც არ მივიდეს, მეორეგან კი აშკარა საფრთხედ ინტერპრეტირდეს. ამ აზრით,
დანაშაული სიმბოლური, საზოგადოების სხვა პრობლემებთან დაკავშირებული და
სხვადასხვა წუხილით დატვირთული ფენომენია, რომელიც უმეტესწილად აირეკ-
ლავს სოციუმში დაგროვებულ პრობლემებს.¹⁷³

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების თუ მასთან დაკავშირებული სხვა ნარკოტი-
კული დანაშაულის ჩადენის მიზეზების სოციოლოგიური პერსპექტივიებიდან ანალი-
ზი იშვიათად კონცენტრირდება ქმედების ჩამდენის ინდივიდუალურ მოტივაციაზე,
არამედ ნარკოტიკის მოხმარებას ისტორიული, სივრცითი, სოციო-კულტურული და
ეკონომიკური კუთხიდან კომპლექსურად აფასებს.¹⁷⁴ დანაშაულებრივი ქმედების
თეორიულ დისკურსში დომინანტურია დანაშაულის დიდწილად გარე ფაქტორების
გავლენით ჩადენა, რა დროსაც ყურადღება ექცევა ქმედების ჩამდენის ბიოგრაფიას,
სოციალიზაციის დეფიციტის არსებობას, სოციალურ თუ ეკონომიკურ პირობებს, წი-
ნაპირობებს, რაც კრიმინალური საქმიანობის მოტივაციას ახსნის. ამ პერსპექტივის
სათავეშია აღზრდა მძიმე ოჯახურ გარემოში, ცხოვრება არახელსაყრელ სოცია-
ლურ არეალში, სიღარიბის ან უმუშევრობის გამოცდილება.¹⁷⁵

ქართული სისხლის სამართლის პოლიტიკის კონტურებს ნარკოტიკულ დანაშაულთან
მიმართებით მნიშვნელოვნად ასახავს მსჯავრდებულთა პირადი გამოცდილება, მათი
დემოგრაფიული მონაცემები, მათ მიმართ აღსრულებული მართლმსაჯულების შედე-
გები, რაც სოციოლოგიური კვლევის ანალიზშია წარმოდგენილი.

კვლევის თანახმად, **ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება** ყოფილ მსჯავრდებუ-
ლების მიერ მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საახლობლო წრეში ნარკოდა-
მოკიდებული პირების ყოლასთან (17.9%). რესპონდენტებში მოხმარების წამახალი-
სებელ ფაქტორად მიიჩნევა ასევე ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების მი-
მართ ინტერესი (14.2%), ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა – ცხოვრების
მიმართ ინტერესის დაკარგვა, დეპრესია, სტრესი (12.2%). რესპონდენტთა ნაწილი,
ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ხელშემწყობად ნარკოტიკულ საშუალება-

173 Axel Groenemeyer, Drogen, Drogenkonsum und Drogenabhängigkeit, in: Handbuch soziale Probleme, 2012. 83.479.

174 Dietrich Oberwittler, Kriminalität und Delinquenz als soziales Problem, in: Handbuch soziale Probleme, 2012. 83.830.

175 Dietrich Oberwittler, Kriminalität und Delinquenz als soziales Problem, in: Handbuch soziale Probleme, 2012. 83.803.

ზე მარტივ ხელმისაწვდომობას ასახელებს (10.5%). ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები დამატებით ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევ მიზეზად ნარკოდანაშაულის ან ნარკოტიკული ნივთიერებების მავნე ზეგავლენის შესახებ არაინფორმირებულობაზე მიუთითებენ, ასევე, ამ დანაშაულის გამომწვევ მიზეზად სახელდება ცხოვრების მიმართ ინტერესის დაკარგვა და მასზე სახელმწიფო კონტროლის შესუსტება (7.3%-7.3%).¹⁷⁶

მეტ-ნაკლებად მსგავს ფაქტორებზე უთითებენ რესპონდენტები ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მიზნით შეძენასა და შენახვასთან მიმართებით. ხსენებული ფაქტორები უმეტესწილად მეორდება ნარკოტიკული საშუალებების **დამზადება/წარმოება/მოყვანასთან მიმართებით**.

რესპონდენტთა დაახლოებით მეხუთედი ნარკოტიკული საშუალებების **გასაღებას** ცუდი ფინანსური მდგომარეობით ხსნის, ამ საქმიანობის დამატებით ფაქტორად, ამჟამინდელ მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები (18.9%), ისევე ყოფილი მსჯავრდებულები (12.8%) საახლობლო წრის გავლენაზე მიუთითებენ.¹⁷⁷ საგულისხმოა, რომ ნარკოტიკით ვაჭრობის მიზეზად, სხვადასხვა კვლევა ასევე ასახელებს შემოსავლის მიღებას და ამგვარად, სოციალური სტატუსის მოპოვების ერთ-ერთ საშუალებად. ეს განსაკუთრებით ეხება ღარიბ საცხოვრებელ არეალში მყოფ დაბალ ფენას, სადაც ლეგალური სამუშაოთი შემოსავლის კანონიერად მიღება დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.¹⁷⁸ ნარკოტიკის მოხმარების, ისევე როგორც გასაღების კავშირი სოციო-ეკონომიკურ პირობებთან, დადასტურებულია სხვადასხვა ქვეყნის კვლევებით, რომელიც მაგალითად, პირდაპირ კავშირს აჩვენებს ჰეროინის (ნაწილობრივ სხვა ნარკოტიკული საშუალებების) მოხმარებასა და დაბალი სოციალური ფენისადმი კუთვნილებას, სტატუსს ან საცხოვრებელ გარემოს შორის.¹⁷⁹

ნარკოდანაშაულის თაობაზე ფოკუს ჯგუფების ანალიტიკურ ანგარიშში რესპონდენტებმა ნარკოდანაშაულის ჩადენის მოტივზე საუბრისას მიუთითეს, რომ *ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი საკითხია. მაშინ, როდესაც ადამიანი სახელმწიფოსგან ვერ გრძნობს მხარდაჭერას, არ არის დასაქმებული, ვერ ახერხებს საკუთარი თავის და ოჯახის რჩენას, ის იძულებული ხდება იფიქროს ალტერნატიულ გზებზე, იქნება ეს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებით დეპრესიული და რთული ფსიქოლოგიური მდგო-*

176 იაგო კაკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 172.

177 იქვე, გვ. 173.

178 Axel Groenemeyer, Drogen, Drogenkonsum und Drogenabhängigkeit, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 476.

179 Axel Groenemeyer, Drogen, Drogenkonsum und Drogenabhängigkeit, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 476.

*მარეობისგან საკუთარი თავის დახსნა თუ ოჯახის რჩენა დანაშაულებრივი, კანონსა-
წინააღმდეგო გზით, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალებების გასაღებით.¹⁸⁰*

სოციოლოგიურ კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ყოფი-
ლი მსჯავრდებულების, ასევე ამჟამინდელი მსჯავრდებულების ოჯახის წევრების
მიერ გამოიკვეთა სხვადასხვა ნარკოდანაშაულის გამომწვევი ოთხი ძირითადი მი-
ზეზი. პირველ რიგში, საახლობლო წრეში ნარკოდამოკიდებული პირების ყოლა
და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე მარტივი ხელმისაწვდომობა. ასევე, აქტუალურია
ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ნარკოდანაშაულზე სახელმწიფო კონტროლის
შესუსტება და ცუდი ფინანსური მდგომარეობა.

ნარკოტიკული დანაშაულის გამომწვევი მიზეზების თაობაზე რესპონდენტების მიერ
დასახელებულ ფაქტორებთან ერთად, მხედველობაშია მისაღები ამ დანაშაუ-
ლისთვის გასამართლებულთა დემოგრაფიული მახასიათებლებიც. კვლევის თანახ-
მად, დანაშაულის ჩადენის დროისთვის, ყოფილ მსჯავრდებულთა ნახევარზე მეტს
(56.2%) ჰქონდა საშუალო და 11.4%-ს – პროფესიული განათლება. ამჟამინდელ
მსჯავრდებულთა 48%-ს ჰქონდა საშუალო, (10-12 კლასი), 15.2%-ს პროფესიული
განათლება, ხოლო 11.2%-ს – არასრული უმაღლესი. მხოლოდ 2.4% არის ისეთი,
ვისაც დაფარული აქვს საბაზისო განათლების საფეხური (7-9 კლასი).¹⁸¹

საშუალო განათლების მაჩვენებლთან ერთად, მაღალია ნარკოტიკულ დანაშაულთა
მსჯავრდების პერიოდისთვის უმუშევრობის წილიც. წარსულში გასამართლებულთა
თქმით, პატიმრობამდე/პრობაციონერობამდე უმუშევარი იყო 44.3%. ამჟამინდელ
პატიმართა უმეტესობა (56%) დანაშაულის ჩადენის დროისთვის იყო უმუშევარი.¹⁸²
წარსულში გასამართლებულთაგან მხოლოდ 13%-ს მიუთითებს ყოველთვიური შემო-
სავლის ოდენობაზე 501-700 ლარის ფარგლებში.¹⁸³ საგულისხმოა ისიც, რომ ოჯახის
ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას წარსულში გასამართლებულთა ნახევარზე
მეტი (53.5%) ამბობს, რომ პატიმრობამდე/პრობაციონერობამდე ოჯახს საკვებისთვის
საკმარისი ფული ჰქონდა, მაგრამ სხვა საჭიროებებისთვის უნდა დაეზოგათ ან ესეხათ.
იმავს უთითებს ამჟამინდელ პატიმართა ოჯახის წევრებს შორის 39.2%.¹⁸⁴

სოციოლოგიური კვლევიდან გამომდინარე, ნარკოტიკული დანაშაულისთვის ყო-
ფილ ან ამჟამინდელ მსჯავრდებულთა უმუშევრობის აშკარად მაღალი მაჩვენებე-

180 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური
ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 243-244.

181 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური
ასპექტების შესწავლა, 2021, გვ.221.

182 იქვე, გვ.226.

183 იქვე, გვ.224.

184 იქვე, გვ. 225.

ლი, არასახარბიელო ფინანსური პირობები, ისევე, როგორც საშუალო განათლების მაღალი წილი, არ არის გასაკვირი მართლმსაჯულების სისტემაში მსჯავრდებულის სტატუსით მოხვედრილ პირთა საერთო სურათის ფონზე. კერძოდ, ბოლო ათი წლის მონაცემები აჩვენებს, რომ ყოველწლიურად მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 80%-დან 85%-ს საშუალო ან არასრული საშუალო განათლება აქვს. ამავე მონაცემებით, დანაშაულის ჩადენის დროისთვის უმუშევრობაზე მიუთითებს მსჯავრდებულთა საშუალოდ 84%.¹⁸⁵

კრიმინოლოგიაში უმუშევრობა დანაშაულის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად განიხილება, თუმცა, საკითხი შებრუნებულადაც ისმება, რომ დანაშაული, ისევე როგორც საზოგადოებრივი თუ მართლმსაჯულების რეაქცია მასზე, განსაკუთრებით სისხლისსამართლებრივი განაჩენი ან მკაცრი სასჯელი (მაგალითად თავისუფლების აღკვეთა), თავის მხრივ, უმუშევრობის მიზეზი შეიძლება გახდეს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ასევე ისიც, თუ რამდენად ამკაცრებს სასჯელს უმუშევრობის ფაქტი ინდივიდუალურ დონეზე – სისხლისსამართლებრივი ქმედების ჩამდენი უმუშევარი პირები უფრო ჭარბად ხომ არ არიან სისტემის კონტროლის ქვეშ, ხოლო კოლექტიურ დონეზე – იმ პირთა მიმართ, ვინც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმუშევრები იყვნენ, დასაქმებულებთან შედარებით, უფრო მკაცრი სასჯელები ხომ არ გამოიყენება.¹⁸⁶ პოზიტიური ურთიერთკავშირი უთანასწორობასა და პატიმრობის დონეს შორის სხვადასხვა კვლევებით დადასტურებულია.¹⁸⁷ კითხვაზე, თუ ვინ ხვდება „სადამსჯელო ბადეში“, ქართული მართლმსაჯულების სტატისტიკური მონაცემები ცალსახად მიუთითებს დაბალი ან შემოსავლის/სამუშაოს არმქონეთა მაღალ წილზე – ბოლო ათ წელში მსჯავრდებულთა დაახლოებით 80% გასამართლების დროს უმუშევარი იყო.¹⁸⁸

განსახილველად საინტერესოა ასევე კავშირი დანაშაულს/სისხლისსამართლებრივ რეაქციასა და შემდგომ უმუშევრობას შორის. ეს პრობლემა განსაკუთრებით თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის გამოყენების დროს შეიძლება წამოიჭრას. ამ ტიპის სასჯელი მსჯავრდებულებს არათუ გარიყავს ეკონომიკური საქმიანობისგან, (საპატიმროში დასაქმების შემთხვევაშიც კი, ეს საქმიანობა სამუშაო ბაზარზე მოთხოვნადი არ არის) არამედ დამსაქმებელიც ხშირად თავს იკავებს ყოფილი

185 საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება საქართველოში – 2010-2019 წლების სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: www.supremecourt.ge, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

186 Jutta Allmendinger/Wolfgang Ludwig-Mayerhofer/Eugen Spitznagel, Arbeitslosigkeit und Kriminalität, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 342.

187 ტიმ ნიუბერნი, არახელსაყრელი სოციალური მდგომარეობა, დანაშაული და სასჯელი, გვ.15, ხელმისაწვდომია: socialjustice.org.ge, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

188 საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება საქართველოში – 2010-2019 წლების სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: www.supremecourt.ge, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

მსჯავრდებულის დასაქმებისგან.¹⁸⁹ სოციოლოგიური კვლევის თანახმად, ყოფილ მსჯავრდებულთა 39.5% უმუშევარი, 48.1% კი – არაოფიციალურად არის დასაქმებული. ფოკუს-ჯგუფის შედეგებით, პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ, ნასამართლობა დამსაქმებლის მხრიდან სამუშაოზე აყვანის უარის თქმის მიზეზი ხდება.¹⁹⁰

ცალკე განსჯის საგანია, რამდენად ზრდის ბრალდებულის უმუშევრობა რისკს, რომ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იქნება მიღებული ანდა სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთას გამოიყენებენ. ზოგიერთი კვლევა ამგვარ გავლენას ადასტურებს. გარდა ამისა, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს სისხლის სამართლის პოლიტიკის ინსტრუმენტალიზება უმუშევრობის პრობლემის „გადაწყვეტის“ მიზნით. ახალი მარქსისტული თეორიების მიხედვით, სასჯელის გამკაცრება და განსაკუთრებით, პატიმრობის მაღალი მაჩვენებელი მზარდი უმუშევრობის პერიოდში „ზედმეტი“ სამუშაო ძალის დისციპლინირების მეთოდად შეიძლება იყოს გამოყენებული.¹⁹¹

ნარკოდანაშაულის მიზეზად სოციო-ეკონომიკური მიზეზები, უმუშევრობა, სიღარიბე და თანმდევი ფსიქოლოგიური ეფექტები – ფრუსტრაცია, სტრესი, ყოველდღიურობისგან გაქცევის სურვილი, სხვადასხვა თეორიული კრიმინოლოგიური პერსპექტივიდან შეიძლება დავინახოთ. სოციალური დემორგანიზაციის თეორია, დაძაბულობის თეორია დანაშაულის მიზეზების თაობაზე ფუნქციონალიზმის წამყვანი მიდგომებია. პირველ მათგანი დანაშაულის ჩადენას მაღალი ალბათობით უშვებს თემში სუსტი სოციალური კავშირებით, მორალური და სოციალური სოლიდარობის არარსებობის ვითარებაში, რაც, ხშირად, კონკრეტულ საცხოვრებელ არეალში თავმოყრილი სხვადასხვა ფაქტორით ქმნის პირობებს დევიაციური ქცევის წარმოშობისთვის.¹⁹²

ამ იდეაზე დაფუძნებული კონტროლის თეორიის თანახმად, დანაშაულებრივი ქმედების ცდუნების პირისპირ ბევრი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს, თუმცა, მისი ჩადენის გადაწყვეტილებას ისინი იღებენ, ვინც სუსტად კონტროლდება სოციალური შეზღუდვების მიერ. აქ დევიაციის მიზეზად საზოგადოებასთან კავშირის არქონის დომინანტური განცდა მიიჩნევა. ადამიანებს, რომლებსაც სჭერათ, რომ საზოგადოების ნაწილი არიან, ნაკლებად უჩნდებათ დანაშაულის ჩადენის სურვილი. ამ მიდგომის მიხედვით, საზოგადოებასთან კავშირის სიმყარეს ძი-

189 Jutta Allmendinger/Wolfgang Ludwig-Mayerhofer/Eugen Spitznagel, Arbeitslosigkeit und Kriminalität, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 343.

190 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 254-255.

191 Jutta Allmendinger/Wolfgang Ludwig-Mayerhofer/Eugen Spitznagel, Arbeitslosigkeit und Kriminalität, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 343.

192 William Little, Deviance, crime and social control, in: Introduction to sociology, 2014, გვ.20.

რითადად განაპირობებს ის, თუ რამდენად მიჯაჭვულია ინდივიდი სოციუმთან, ოჯახთან, ახლობლებთან, ინსტიტუტებთან, რამდენად უშუალოდ მონაწილეობს საზოგადოებაში აღიარებული მიზნების მიღწევაში. პიროვნების სუსტი ან განწყვეტილი კავშირი სოციუმთან დანაშაულებრივ ქცევაში ვლინდება.¹⁹³ ამ თეორიის მთავარი დაშვებაა, რომ თუკი ადამიანს აქვს დასაკარგი, პირობითად, სოციალური სტატუსი, ის ნორმის დარღვევისგან თავს შეიკავებს. ამ გაგებით, უმუშევრობა, განათლების დაბალი ხარისხი, ცხოვრება ისეთ არეალში, სადაც ნარკოტიკული საშუალების მოხმარება გავრცელებულია, ნარკოდანაშაულის ჩადენის მასტიმულირებელ ფაქტორი შეიძლება იყოს.

სოციოლოგიურ კვლევაში, სოციო-ეკონომიკური ფაქტორების გარდა, ნარკოდანაშაულის მიზეზად დასახელებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სტრესი, ფრუსტრაცია შეიძლება აიხსნას მერტონის დაძაბულობის თეორიით, რომელიც საზოგადოებრივად მისაღები მიზნის მიღწევადობას დევიაციური ქცევისთვის გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევს. ამ მდგომის მიხედვით, შეუსაბამობა სტრუქტურულ უთანასწორობასა და ეკონომიკური წარმატების დიდ მნიშვნელობას შორის ქმნის დაძაბულობას, რომელიც რაიმე საშუალებით უნდა აღმოიფხვრას.¹⁹⁴ ამ თეორიის თანახმად, როცა ინდივიდი, რომელსაც დასახული აქვს საზოგადოებრივად მისაღები მიზანი, მაგრამ ხელი არ მიუწვდება მისი მიღწევის ლეგიტიმური გზებზე, ირჩევს უკანონო საშუალებებს, მათ შორის, პირობითად, ნარკოტიკული საშუალების გასაღებით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ანდ ამ დაძაბულობის თავიდან აცილების მიზნით, უარყოფს საზოგადოებაში აღიარებული მიზნების მნიშვნელობას, მათ შორის, არასასურველი ყოფითი რეალობისგან გაქცევის, ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მეშვეობით.

ნარკოდანაშაულის მიზეზები ახალგაზრდებში

სოციოლოგიური კვლევის შედეგებით, რესპონდენტებმა პირად გამოცდილებაზე საუბრისას, ნარკოდანაშაულის განმაპირობებელ მაღალ ფაქტორად დაასახელეს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება რეკრეაციული მიზნით (27.5%) ანდა მისდამი ინტერესის მოტივით (26.8%).¹⁹⁵ ფოკუს ჯგუფებში საკითხის განვრცობისას რესპონდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ ნარკოდანაშაული ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელმა ადამიანმა შეიძლება ჩაიდინოს. თუმცა, გავრცელებული ტენდენციის მიხედვით, მათი აზრით, განსაკუთრებით უმუშევრები, ცუდი ეკონომი-

193 იქვე.

194 იქვე, გვ.23.

195 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჯიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 158.

კური მდგომარეობის მქონე ადამიანები და ახალგაზრდები არიან მოწყვლადები ნარკოდანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით.¹⁹⁶

მიუხედავად იმისა, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისადმი ინტერესი ან მისი მოხმარებულის სურვილი გართობის/განტვირთვის მიზნით, თანაბრად შეიძლება ანომიის, კონტროლის თუ დაძაბულობის თეორიებით იხსნებოდეს, ცალკე უნდა ვახსენოთ ნარკოტიკის მოხმარება, როგორც „ახალგაზრდული კულტურის“ ფორმა, ახალგაზრდა ასაკში თრობის საშუალებებისადმი ინტერესი, ჯგუფის გავლენა/მიმბაძველობა ან გარემოში თავის დამკვიდრების სურვილი ამგვარ ნივთიერებებთან პირველი შემხებლობისას.¹⁹⁷

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების 2016 წლის კვლევამ პრობაციონერებთან აჩვენა, რომ ბევრი თავისუფალი დროის ქონა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. რესპონდენტთა უმრავლესობის განცხადებით, არც სწავლობდა და არც მუშაობდა ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების დროს. ამავე დროს, ვინც პირველად ნარკოტიკული საშუალება 10-17, 18-24 და 25-34 წლის ასაკში მოიხმარა, მათი მოტივაცია ამ შემთხვევაში ცნობისმოყვარეობა, გართობა, ავტორიტეტული თანატოლების ან უფროსების მიბაძვა მეტად იყო, ვიდრე სხვა მოტივები. ასაკობრივი კატეგორიის ზრდასთან ერთად, ნარკოტიკული საშუალების პირველად მოხმარების მოტივად უმეტესწილად დასახელდა დეპრესიის დაძლევა, უარყოფითი განცდების განეიტრალება, ცხოვრების დაძაბული რიტმი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.¹⁹⁸

ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული სპეციფიკური თეორიები, წინა პლანზე ნარკოტიკის „კარიერის“ განვითარების რისკს აყენებენ, კერძოდ ვარაუდობენ, რომ ნარკოტიკის გასინჯვა მის პერმანენტულ მოხმარებად გარდაქმნას და უფრო მძიმე ნარკოტიკისადმი ინტერესს/ექსპერიმენტატორობას იწვევს. კვლევების თანახმად, ავტომატიზმის პრინციპით ერთი ნივთიერებიდან მეორეზე გადასვლა აპრიორი არ ხდება. ამ პროცესში ბევრად მნიშვნელოვანი მოხმარების რისკის და დამაბრკოლებელი ფაქტორებია, სადაც მხედველობაში მიიღება ცუდი ოჯახური ურთიერთობები, თანატოლების გავლენა, სერიოზული ფსიქოლოგიური დატვირთულობა.¹⁹⁹

196 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჯიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 241.

197 Axel Groenemeyer, Drogen, Drogenkonsum und Drogenabhängigkeit, in: Handbuch soziale Probleme, 2012, 475.

198 საქართველოს პროკურატურა, ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევა პრობაციონერებთან, 2017, გვ. 54.

199 Axel Groenemeyer, Drogen, Drogenkonsum und Drogenabhängigkeit, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 474.

ახალგაზრდებში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ფართოდ გავრცელება შემდეგი ფაქტორებით შეიძლება აიხსნას (Theory of Drug Epidemics):²⁰⁰

- ცოდნა ნარკოტიკული საშუალებისა და მისი ეფექტის შესახებ – ნარკოტიკის მოხმარება ფართო მასშტაბებს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუკი წარმოშობილი ახალგაზრდული (სუბ)კულტურა, მედია, სოციალური მოძრაობები ქმნის წრეს, რომელშიც მოხმარების ცოდნის, ეფექტების და ტექნიკების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა/სწავლება ხდება.
- ნარკოტიკული საშუალების არსებობა და მარტივად ხელმისაწვდომობა – აქ მხედველობაში მიიღება ერთი მხრივ ნარკოტიკული საშუალების ბაზარზე ხელმისაწვდომობა და პირობები, მეორე მხრივ – ახალგაზრდებში სათანადო ფინანსური რესურსების ქონა, საქმიანობა თავისუფალ დროს, ისევე როგორც ინსტიტუციონალიზირებული არაფორმალური კონტროლის მასშტაბები მოზარდების მიმართ.
- ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მოტივაცია – აქაც გადამწყვეტია სუბკულტურის როლი, მათ შორის მოზარდებში, რომელშიც ნარკოტიკის მოხმარება ინდივიდს აღიარების მოპოვებაში ეხმარება.
- ინდივიდების დარწმუნება, ნარკოტიკული საშუალების უვნებლობის შესახებ და მისი დამაბიანებელი ეფექტების უარყოფა შეიძლება გახდეს მოხმარების მაპროვოცირებელი მიზეზი. ამგვარი დარწმუნების გზა მრავალგვარია და ის შეიძლება ნდობით მოსარგებლე ახლო სოციალური ან თვითგამოცხადებული ექსპერტებისგან მომდინარეობდეს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობის ხაზგასმა და ნარკოტიკების მოხმარების თანმდევი რისკების შესახებ ინფორმირებულობა.
- დევიაციური ქცევის შემწყნარებლობისთვის მზაობა – რამდენადაც ნარკოტიკის მოხმარება ნორმიდან გადახრად განიხილება, მისი გავრცელებისთვის მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დონეზე (ოჯახი, სკოლა) შემხვედრ რეაგირებას. მაგალითისთვის, სხვადასხვა კვლევით დადასტურებულია დევიაციური ქცევის ალბათობის მნიშვნელოვანი შემცირება სავალდებულო სასკოლო განათლების 18 წლამდე გაზრდით.²⁰¹

200 Lloyd D. Johnston, Toward a Theory of Drug Epidemics, in: Persuasive Communication and Drug Abuse Prevention, 1991, გვ. 99.

201 Philip J. Cook/Jens Ludwig, Economical Crime Control, 2010, გვ.23.

სახელმწიფოს პრევენციული ღონისძიებები ნარკოდანაშაულთან მიმართებით

საზოგადოების და სახელმწიფო პოლიტიკის ინტერპრეტაციები დანაშაულის მიზეზებთან და სისხლის სამართლის პოლიტიკის შედეგებთან მიმართებით მთავარი საკითხია დანაშაულთან მიმართებით სტრატეგიების შემუშავებისთვის. კერძოდ, ინდივიდის განხილვა თავისი სოციალური გარემოს პროდუქტად, დანაშაულის სოციალური უსამართლობის მსხვერპლად დანახვა, სისხლისსამართლებრივ სანქციებს სოციალური პოლიტიკის ღონისძიებებისთვის უპირატესობის მინიჭებით ანაცვლებს. თუკი ამის საპირისპიროდ, ადამიანი საკუთარი ბედის განმსაზღვრელ ინდივიდად განიხილება, რომელიც სისხლისსამართლებრივი ქმედების ჩადენისას ქმედების სარგებელსა და „ხარჯებს“ ანონ-დანონის, (Rational Choice Theory) ასეთ შემთხვევაში დანაშაულზე რეაგირების ღონისძიებად უპირატესობა რეპრესიულ სასჯელს მიენიჭება.²⁰² ამ უკანასკნელის სისხლის სამართლის პოლიტიკის წამყვან ხაზად ქცევა და სისტემის შესაბამისი გარდაქმნის მთავარი მახასიათებელი პატიმრების რაოდენობის ზრდაა. პატიმრების რაოდენობის ზრდის გარდა, რეპრესიულობა (The Punitive Turn) რეაბილიტაციის იდეის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებაში გამოიხატება, როდესაც რეაბილიტაციისა და პატიმრის საზოგადოებაში ინტეგრირების მთავარი მიზნიდან რადიკალური გადახვევით, პირის „გაუვნებელყოფა“ მისთვის თავისუფლების ჩამორთმევით ხდება.²⁰³

სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ეს ხაზი, ინდივიდის დანაშაულებრივ ქცევას მისი მორალის და ღირებულებითი წარმოდგენების დეფიციტით ხსნის, რაც, პირველ რიგში მიწვევებთან საზოგადოებიდან გარიყულ ჯგუფებს – უმუშევრებს, ღარიბებს, საცხოვრისის არმქონეებს, ნარკოტიკებზე დამოკიდებულებს. ამავდროულად, სოციალური კონტროლი მეტწილად დევიაციის ადრეული ამოცნობით, ტექნიკური და არქიტექტორული ზომების, სივრცის ელექტრონული მეთვალყურეობის მეშვეობით, სიტუაციაზე ორიენტირებული დანაშაულის პრევენციით ხორციელდება, რითიც მთლიანობაში მოქალაქეზე პასუხისმგებლობის „გადაკისრება“ ხდება.²⁰⁴ დანაშაულებრივი ქცევის შეფასებისას ყურადღება აღარ ექცევა სოციალურ გარემოებებს, ადამიანების ქმედება ინდივიდუალურად განიხილება, როგორც მათივე ანტისოციალური პიროვნული თვისებების შედეგი. სწორედ ამგვარად ეყრება ნიადაგი გარიყულობისკენ მიმართულ დასჯის სტრატეგიას, სისხლისსამართლებრივი რეპრესიის და სტიგმატიზირების მიდგომებს, როგორც დევიაციურ ქმედებაზე სახელმწიფოს ლეგიტიმური რეაქციის შედეგს.²⁰⁵

202 Dietrich Oberwittler, Kriminalität und Delinquenz als soziales Problem, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ.802.

203 Christina Schlepper, Die punitive Wende und die neue Kultur der Kontrolle, in: Strafgesetzgebung in der Spätmoderne, 2014, გვ. 12.

204 Helge Peters, Soziale Kontrolle, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 1267.

205 Christina Schlepper, Die punitive Wende und die neue Kultur der Kontrolle, in: Strafgesetzgebung in der Spätmoderne, 2014, გვ. 21.

ქვეყანაში ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული სახელმწიფოს ხედვა, სტრატეგია, პრევენციული ღონისძიებების ერთობლიობა აჩვენებს, თუ რამდენად აღიქვამს და ითვალისწინებს ქართული მართლმსაჯულების სისტემა ნარკოდანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და შესაბამისად, რამდენად სადამსჯელო თუ ზრუნვაზე ორიენტირებულია სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა.

თვისებრივი კვლევის საფუძველზე ცხადი გახდა რესპონდენტების შეფასებები, თუ რამდენად მნიშვნელოვანად მიაჩნიათ ნარკოდანაშაულის ამა თუ იმ ტიპის შესახებ საზოგადოების წევრების ინფორმირებულობა სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო თვალსაზრისით. კვლევის თანახმად, რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი ინფორმაციას არ ფლობდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების, შეძენის, შენახვის მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების თაობაზე.²⁰⁶ ფოკუს-ჯგუფებში კი რესპონდენტებმა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მიუთითეს, რომ დანაშაულის ჩადენის შემდგომი რისკების შესახებ არაინფორმირებულობამ უარყოფითად იმოქმედა დანაშაულის პრევენციაზე – სასჯელის სიმკაცრის შესახებ წინასწარი ინფორმაციის შემთხვევაში, შესაძლოა, თავი შეეკავებინათ დანაშაულის ჩადენისგან. აქვე დასძენენ, რომ ინფორმირებულობა არ არის დანაშაულის არჩადენის გარანტი, თუმცა, შესაძლოა, გარკვეულწილად მის შემცირებას შეუწყოს ხელი.²⁰⁷ ანალოგიური ტენდენცია გამოვლინდა ნარკოტიკის მოხმარებისთვის პრობაციონერებთან ჩატარებული 2016 წლის კვლევით, სადაც გამოკითხულთა დიდი ნაწილი ნარკოტიკული საშუალებიდან გამომდინარე სამართლებრივ თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებზე ინფორმაციას არ ფლობდა.²⁰⁸

სახელმწიფო დონეზე შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტების, 2014-2016 და 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ნარკოტიკის (ავად)მოხმარების პრევენცია წერტილოვანი ღონისძიებებით ხდება. არ არსებობს ერთიანი მიდგომა ეროვნულ დონეზე უნივერსალური, შერჩევითი, მიზნობრივი და გარემოზე ორიენტირებული პრევენციული ღონისძიებებისთვის. სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები, მეტწილად – ცნობიერების ამაღლების და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის კუთხით, ეპიზოდური და კამპანიური ხასიათისაა. ამ მხრივ პროგრესულია 2021-2026 წლების ეროვნული ანტინარკოტიკული სტრატეგია, რომელიც პრევენციის ღონისძიებების სისტემურობის, სისტემატურობის, მტკიცებულებითი მიდგომების და სკოლაზე დაფუძნებული ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას, სკოლის გაძლიერებას ითვალისწინებს.

206 იაგო კატკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 147.

207 იაგო კატკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 233.

208 საქართველოს პროკურატურა, ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევა პრობაციონერებთან, 2017, გვ. 53.

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდას ისახავს მიზნად პროკურატურის 2016-2021 წლების სტრატეგიაც. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან, მოსწავლეებთან და სტუდენტებთან, რაც კამპანიურ ხასიათს ატარებს. ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით უწყებამ მიზნად დაისახა ასევე თანამშრომლების გადამზადება, არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პოლიტიკის გადახედვა,²⁰⁹ თუმცა, ბოლო წლების სტატისტიკა და პრაქტიკა ნარკოტიკების მომხმარებელთა მაღალი ინტენსივობით პასუხისგებაში მიცემას ცხადყოფს.²¹⁰

სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, სახელმწიფო, ნარკოტიკის მომხმარებელს, დასჯის ნაცვლად მკურნალობას უნდა სთავაზობდეს. *რესპონდენტების განმარტებით, აუცილებელია ისეთი სამედიცინო დანესებულებების არსებობა, სადაც ნარკომომხმარებლები შეძლებენ მკურნალობას, ხოლო მკურნალობის მეთოდები იქნება უფრო დახვეწილი და შედეგზე ორიენტირებული, ვიდრე დღეს არის. არსებული სარეაბილიტაციო ცენტრები ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციარისთვის სერვისის ისე მიწოდებას, რომ ნარკომომხმარებლის ცხოვრება გაუმჯობესდეს.*²¹¹

ნარკომომხმარებლისთვის სამედიცინო-ფსიქიატრიული სერვისების შეთავაზება კონტროლის კიდევ ერთი მექანიზმია, რომელიც მოხმარებას ადიქციის პერსპექტივიდან განიხილავს და ორიენტირებულია იმ ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური პრობლემების აღმოფხვრაზე, რაც მოხმარების მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს. ჩარევის სხვადასხვა ფორმის მიზანია ინდივიდის შეცვლა, მათი მოქმედების მოტივაციის ცვლილება მოხმარებისგან თავშეკავების მიღწევის მიზნით.²¹² ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ნარკოტიკის მომხმარებელს დასჯის ალტერნატივად მკურნალობას არ სთავაზობს, იმ ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ეს გამოცდილებით დანერგილი პრაქტიკაა.

სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ აჩვენა ამ მიმართულებით სისხლის სამართლის პოლიტიკის სისუსტე. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა მიუთითეს, რომ *სახელმწიფოს ნარკომომხმარებლების მიმართ უფრო მეტად ლიბერალური ნარკოპოლიტიკა უნდა ჰქონდეს და მათი დასჯის ნაცვლად, იზრუნოს სარეაბილიტაციო (ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სხვ.) პროგრამების გაძლიერებაზე. გარდა ამისა, რესპონდენტებმა ქვეყანაში ნარკოდანაშაულის შემცირებისა*

209 საქართველოს პროკურატურა, 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, ხელმისაწვდომია: pog.gov.ge, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

210 საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება საქართველოში – 2015-2019 წლების სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: www.supremecourt.ge, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

211 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 261.

212 Axel Groenemeyer, Drogen, Drogenkonsum und Drogenabhängigkeit, in: Handbuch soziale Probleme, 2012, გვ. 472.

და პრევენციისთვის საჭირო წინაპირობად მიიჩნიეს საზოგადოების წევრების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი დასაქმება, ცნობიერების ამაღლება, განათლების ღონის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.²¹³ აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ანტინარკოტიკული პრევენციული ღონისძიებები ყველა სხენებული ფაქტორის გათვალისწინებით იგეგმებოდეს.

სასჯელის პოლიტიკა ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით

რამდენად აისახება დანაშაულების გამომწვევი სოციო-ეკონომიკური მიზეზები სასჯელის შეფარდების პოლიტიკაში, პირდაპირ განსაზღვრავს სახელწმიფოს მიზნებს, რომლის მიღწევისკენაც ის მიისწრაფის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების მეშვეობით. ნარკოტიკულ დანაშაულთან მიმართებით მართლმსაჯულების სისტემის მიდგომები, სასჯელის შეფარდების პრაქტიკა, ნათლად აჩვენებს სასჯელთა ინდივიდუალიზაციის ნაკლებობას, რაც გულისხმობს ქმედების საშიშროების, ბრალის ხარისხის, დანაშაულის ჩადენის მოტივაციის, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებზე დაყრდნობით სასჯელის განსაზღვრას.²¹⁴

ნარკოდანაშაულისთვის მოსალოდნელ სასჯელთა ჩარჩო სცდება სისხლის სამართლის კოდექსს და მოიცავს უფლებების შემზღუდავი დამატებითი ღონისძიებების ჩამონათვალს, რაც ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონშია მოცემული. ეს კანონი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის მსჯავრდებულ პირს სამ წლამდე ვადით უზღუდავს დასაქმების უფლებას საჯარო სამსახურში და საქმიანობას საგანმანათლებლო ანდა ფარმაცევტული კუთხით, ამავე ვადით უკრძალავს სატრანსპორტო საშუალების მართვას. ამავე სახის შემზღუდვები, მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში ვრცელდება ნარკოტიკული საშუალების ფლობის თუ სხვა ქმედების ჩამდენებზე.²¹⁵

ნარკოტიკული დანაშაულისთვის კანონმდებლობით დადგენილ სასჯელთა სახეობებსა და ზომებში ბოლო წლებში ცვლილებები შევიდა რამდენიმე მიმართულებით:

1. 2015 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლში ცვლილებით, ნარკოტიკული საშუალების უკანონო ფლობისთვის პასუხისმგებლობა გაიმიჯნა გასაღებისგან. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების ფლობისთვის პასუხისმგებლობა ნაცვლად 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთისა, შემცირდა 6

213 იაგო კატკატიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 261.

214 მაია ივანიძე, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 210.

215 „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

წლამდე თავისუფლების აღკვეთამდე. გასაღებისთვის შენარჩუნდა მკაცრი სანქციები;²¹⁶

2. 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის და 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვისთვის, გაუქმდა სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა;²¹⁷
3. სისხლის სამართლის კოდექსის ახალი 273¹ მუხლით გამოირიცხა თავისუფლების აღკვეთის გამოყენება დიდ ოდენობამდე გამომშრალი მარიხუანის, ნედლი მარიხუანისა და მცენარე კანაფის უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან/და პირადი მოხმარებისთვის. სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებული იქნა მხოლოდ დიდ ოდენობაზე.²¹⁸

ხსენებული ცვლილებების ფონზე, ბოლო ათი წლის განმავლობაში, ნარკოტიკული დანაშაულის დასჯის პრაქტიკა შეიცვალა. 2010-2014 წლებში განსაკუთრებით მაღალი იყო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის შეფარდება, მათ შორის, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვისაც (20-30%) კი. სასჯელის ლიბერალიზების ტენდენციები გამოიკვეთა შემდგომ პერიოდში, რაც ნარკოტიკის მოხმარების ფაქტზე (სსკ-ის 273, 273 პრიმა მუხლები) პასუხისგებაში მიცემულთა მიმართ პირობითი მსჯავრის ან/და ჯარიმის დაკისრებაში გამოვლინდა. რაც შეეხება სხვა ტიპის ნარკოტიკულ დანაშაულს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, მცირდება თავისუფლების აღკვეთის შეფარდების მაჩვენებელი სსკ-ის 260-ე მუხლთან მიმართებით და თუ ის 2015 წელს 48% იყო, 2019 წელს 23%-ია, აქაც გაზრდილია პირობითი მსჯავრის გამოყენება.²¹⁹

ამის მიუხედავად, ნარკომომხმარებლის მიმართ კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა დღემდე შეუსაბამოდ მკაცრი რჩება, რამდენადაც ნარკოტიკული საშუალებების მცირე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საწყისი და დიდი ოდენობები უსამართლოდ არის განსაზღვრული. ეს კი, არაექსპერიმენტატორი, რეგულარული ნარკომომხმარებლის მიერ პირადი მიზნით ნივთიერების შეძენა-შენახვისას, ქმედების დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ფლობად დაკვალიფიცირებას და ნარკომომხმარებლის 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას იწვევს.²²⁰

216 Human Rights Watch, სამაგალითო დასჯა. საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მიმე ადამიანური შედეგები, 2018, გვ. 27, ხელმისაწვდომია: www.hrw.org, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

217 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი.

218 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე პრიმა მუხლი.

219 საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება საქართველოში – 2015-2019 წლების სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: www.supremecourt.ge, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

220 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში – 2020 წლის ტენდენციები, გვ. 7, 12, ხელმისაწვდომია: socialjustice.org.ge, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა ასევე გამოკვეთა ნარკოდანაშაულისთვის გასამართლებულთა კრიტიკული შეფასებები სასჯელის შეფარდების მიდგომებისადმი. კვლევის თანახმად, ყოფილ მსჯავრდებულთა 66.2%-ს თავისუფლების აღკვეთა, 29.2%-ს კი ჯარიმა შეეფარდა. ამჟამინდელ მსჯავრდებულებთან მიმართებით დასახელდა სასჯელის მხოლოდ ორ ფორმა – თავისუფლების აღკვეთა (85.6%) და ჯარიმა (12.1%). მათ შორის, ხშირია 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთის, ასევე, 500-2000 ლარის ფარგლებში ჯარიმის დაკისრების შემთხვევები.²²¹ როგორც ოჯახის წევრები, (33.6%) ასევე წარსულში ნარკოდანაშაულისათვის გასამართლებული პირები (31.4%), დაკისრებულ სასჯელთან მიმართებით, ყველაზე ხშირად მიუთითებენ, რომ ის ჩადენილ ქმედებას „უფრო მეტად არ შეესაბამება, ვიდრე კი“. ყოფილი მსჯავრდებულთა დიდი ნაწილი (51.9%) სასჯელს შეუსაბამოდ მიიჩნევს.²²²

სასჯელის პოლიტიკის კრილში, ფოკუს ჯგუფის რესპონდენტები საუბრობენ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ნარკომომხმარებლებისთვის დიდი ოდენობის ჯარიმის დაკისრება, სასჯელის არაადეკვატურობა, არასამართლიანი სასამართლო პროცესი. როგორც გამოკითხულმა ოჯახის წევრებმა აღნიშნეს, მოსამართლე ძალადაკარგულია, განსასჯელისთვის განაჩენის გამოტანა პროკურატურაში ხორციელდება, მოსამართლე კი მხოლოდ დაკისრებულ სასჯელს აცხადებს.²²³ ამის მიზეზი, შესაძლოა, ის გარემოება იყოს, რომ ნარკოტიკულ დანაშაულთა 80-90% საპროცესო შეთანხმებით სრულდება,²²⁴ სადაც სასამართლო ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის წინასწარ განსაზღვრულ ბრალსა და სასჯელის პირობებს ფორმალურად ამტკიცებს და დამატებითი გარემოებების გამოკვლევაში არ ერთვება. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენებისას, ნარკოტიკული დანაშაულის გამომწვევი სოციო-ეკონომიკური მიზეზების გათვალისწინება, ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის შეფასებით ჯარიმის ზომის შერჩევა, რეალურად, პროკურატურაზე მინდობილი.

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს განსაკუთრებული როლი ჰქონდა და აქვს ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლის სამართლის პოლიტიკის კუთხით. ბრალდებულებისთვის ის არის ერთადერთი სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც იძლევა კანონით დადგენილი მკაცრი სანქციებისგან გადახვევის და სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე მსუბუქი სასჯელის შეფარდების შესაძლებლობას.²²⁵ ნულოვანი ტო-

221 იაგო კატკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჯიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 156, 157.

222 იაგო კატკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჯიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 142.

223 იაგო კატკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჯიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ. 247.

224 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში – 2020 წლის ტენდენციები, გვ. 13, ხელმისაწვდომია: socialjustice.org.ge წვდომის თარიღი: 03.05.2021.

225 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-2¹ მუხლი.

ლერანტობის სისხლის სამართლის პოლიტიკის პირობებში, საპროცესო შეთანხმება ნარკოტიკულ დანაშაულებზე სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. 2008-2009 წლებში, ამ კატეგორიის სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეებზე დაკისრებულ ჯარიმათა საერთო ოდენობამ 45 მილიონ ლარს მიაღწია. კვლევების მიხედვით, 2012 წლიდან მნიშვნელოვნად იკლო მაღალი ჯარიმების გამოყენების შემთხვევებმა ნარკოტიკულ დანაშაულზე, თუმცა, სათანადო სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო ერთიანი სურათის შეფასება დღეს რთულია.²²⁶

ნარკოტიკულ დანაშაულებზე 2017-2020 წლების სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზმა აჩვენა, რომ საპროცესო შეთანხმების გარეშე მიღებულ განაჩენებშიც, სასჯელის შეფარდებისას დანაშაულის სოციო-ეკონომიკური კუთხით შეფასება ფაქტობრივად არ ხდება, და ნარკოდანაშაული მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების პერსპექტივიდან არის დანახული. გაანალიზებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობაში, დამატებითი დასაბუთების გარეშე მითითებულია სასჯელის სამართლიანობის და თანაზომიერების თაობაზე, განაჩენში სისხლის სამართლის კოდექსის ნორმის პირდაპირი გადმოტანით: *სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს*.²²⁷ ამის საწინააღმდეგოდ, სოციოლოგიური კვლევის რესპონდენტები მიუთითებენ, რომ დანაშაულის ჩადენის მიზეზებზე, მათ შორის წამალდამოკიდებულებაზე, ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე, სტრესზე, სასჯელის შეფარდებისას სასამართლოს მხრიდან ყურადღება არ მახვილდება.²²⁸

პრობლემად რჩება მომხმარებლების დასჯა, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებით. ბოლო წლებში ხელისუფლების პოლიტიკურ დისკურსში განსაკუთრებით აღინიშნება, თითქოს მართლმსაჯულება უარს ამბობს ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელთა თავისუფლების აღკვეთით დასჯაზე. უშუალოდ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის გასამართლებულებს, ეს სასჯელი მართლაც გამონაკლის შემთხვევებში შეეფარდებათ. მაგალითისთვის, 2018-2020 წლებში, მოხმარებისთვის თავისუფლება აღკვეთილთა რაოდენობა წლიურად 11 ერთეულს

226 Human Rights Watch, სამაგალითო დასჯა. საქართველოს რეპრესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები, 2018, გვ. 50-51, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3h0UAUI>, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

227 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი.

228 იაგო კაჭკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ.246-247.

არ აღემატება.²²⁹ თუმცა, განაჩენთა ანალიზი, ისევე, როგორც არსებული სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალების ფლობის შემთხვევებზე თავისუფლების აღკვეთის შეფარდება კვლავაც ხშირია. გასული წლის მონაცემებით, 680-მდე მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულისათვის (გარდა ნარკოტიკული საშუალების ან მისი ანალოგის, გასაღებისა) იხდიდა სასჯელს.²³⁰ კანონმდებლობით ნარკოტიკული ნივთიერებების ოდენობების არაადეკვატური მოწესრიგების პირობებში, ამ მუხლით გასამართლებულთა შორის ხვდებიან ის პირებიც, ვინც პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილ ნივთიერებას ინახავდნენ, თუმცა კანონმდებლობით ეს ოდენობა დიდ ან განსაკუთრებით დიდ ოდენობას წარმოადგენს და შესაბამისად, თავისუფლების რამდენიმე წლით აღკვეთას იწვევს.

როგორც აღინიშნა, ბოლო წლებში სასჯელების შეფარდების პოლიტიკა შეიცვალა და განსაკუთრებით გაიზარდა პირობითი მსჯავრის გამოყენება ნარკოტიკულ დანაშაულზე. თუ ნარკოტიკული საშუალების შეძენის, შენახვის, გადაგზავნა-გადაზიდვის და ბრუნვასთან დაკავშირებულ ქმედებებზე (გარდა მოხმარებისა და საზღვარზე გადმოტანისა) პირობითი მსჯავრის მაჩვენებელი 2010 წელს 22% იყო, ბოლო ათ წელში იგი სტაბილურად იზრდებოდა და 2019 წლისთვის ეს მაჩვენებელი 69%-ს აღწევს,²³¹ რაც ცხადია, პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს. ამის მიუხედავად, ნარკოდანაშაულის ჩამდენ პირობით მსჯავრდებულთა მდგომარეობა, საზოგადოებაში რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის თვალსაზრისით, უცვლელად პრობლემური რჩება. სოციოლოგიური კვლევის თანახმად, ყოფილ პატიმართა 37.7% და პატიმართა ოჯახის წევრების 47.3% საუბრობს სასჯელის მოხდის შემდგომ ანდა პრობაციაში ყოფნის პერიოდში მათ მიმართ განსაკუთრებულ საპოლიციო კონტროლზე, ყოფილ პატიმართა 10.8% და ოჯახის წევრთა 25.3% მიუთითებს სამართალდამცავთა მხრიდან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევაზე.²³²

სამართალდამცავთა მხრიდან მუდმივი არაფორმალური კონტროლის გარდა, ნარკოტიკული დანაშაულისთვის გასამართლებულთა მნიშვნელოვანი პრობლემა დაკისრებული სასჯელის მოხდის შემდეგ მოქმედი დამატებითი შეზღუდვებია. კვლე-

229 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ნარკოპოლიტიკა საქართველოში – 2020 წლის ტენდენციები, გვ.12, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33fJwL8>, წვდომის თარიღი: 03.05.2021. საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება საქართველოში – 2018-2019 წლების სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tbHiiHq>, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

230 „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Rrs3N2>, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

231 უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა. საქართველოს უზენაესი სასამართლო, მართლმსაჯულება საქართველოში – 2010-2019 წლების სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tbHiiHq>, წვდომის თარიღი: 03.05.2021.

232 იაკო კაკაჭიშვილი, ნინო ესებუა, ანა პაპიაშვილი, მარიამ ჭიბუტი, დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა, 2021, გვ.188.

ვის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით მართვის მონშობის ჩამორთმევა სასჯელმოხდითა (ოჯახის) ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება.²³³ რესპონდენტები დასაქმების მნიშვნელოვან ბარიერად ასახელებენ ნასამართლობას – სამსახურის ძიების პროცესში დამსაქმებელთან კავშირი ხშირ შემთხვევაში მას შემდეგ სრულდება, რაც აპლიკანტს ნასამართლეობას აღმოუჩენენ.²³⁴ გარდა ამისა, ყოფილი მსჯავრდებულები რესოციალიზაციის პროცესს განსაკუთრებით რთულად აღწერენ საპატიმროდან გამოსვლის ეტაპზე, რადგან უჭირთ საზოგადოების წევრებთან კონტაქტი, გარემოსთან ადაპტაცია. რესპონდენტების შეფასებით, თავად სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს სასჯელმოხდილების, საპატიმროებიდან ახალგამოსული პირების გარკვეული პერიოდით დასაქმებისთვის, რათა მათ აღიდგინონ ნდობა სხვა დამსაქმებლების თვალში.²³⁵

აღნიშნული გარემოებები ნარკოტიკულ დანაშაულზე სახელმწიფოს სასჯელის შეფარდების მიდგომებს, ამ დანაშაულის გამომწვევი სოციო-ეკონომიკური მიზეზების უგულებელყოფა, დასჯაზე ორიენტირებულ ღონისძიებათა ერთობლიობად წარმოაჩენს, რომლის სამიზნე სამსახურის, ხარისხიანი განათლების არმქონე, მატერიალური თუ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები ხდებიან. ნარკოტიკული საშუალების მოხმარების თუ მასთან დაკავშირებული სხვა ქმედებების მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების პრიზმიდან დანახვა, არაპრივილეგირებული ჯგუფების კიდევ უფრო მეტ გარიყულობას და საზოგადოებრივ სტიგმას უწყობს ხელს.

233 იქვე, გვ. 254.

234 იქვე, გვ. 255.

235 იქვე, გვ. 255.

ნაწილი IV. სასჯელის მოხდა და რეინტეგრაციის პერსპექტივები

სასჯელის მოხდის პროცესი, პენიტენციურ სისტემაში არსებული ბარიერები

როგორც სოციოლოგიური კვლევა ცხადყოფს, ორივე კატეგორიის დანაშაულისთვის (საკუთრების წინააღმდეგ (ქურდობა/ძარცვა) და ცალკეული სახის ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებული პირები, მნიშვნელოვან ბარიერებს აწყდებიან სასჯელის მოხდის პერიოდში. სასჯელის მოხდის პერიოდში აქცენტი გადატანილია მსჯავრდებულთა კონტროლზე, შიდა უსაფრთხოების საკითხებზე და მსჯავრდებულებს ნაკლებად აქვთ წვდომა ადეკვატურ სამედიცინო და საგანმანათლებლო სერვისებზე, რაც გავლენას ახდენს მათ ზოგად უფლებრივ მდგომარეობაზე პენიტენციურ სისტემაში.

მოთხოვნა/საჩივრებთან დაკავშირებული პრობლემები

არსებული კანონმდებლობით დეტალურად არის განსაზღვრული როგორც მოთხოვნის, ისე საჩივრის შინაარსი, მისი წარდგენის ვადა და განხილვის პროცედურები. ამასთანავე, კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური მოთხოვნის დაყენების ან საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას, საჩივრის ყუთებით სარგებლობის უფლებას. საჩივრის წარდგენისას დაცულია თარჯიმნის უფასო მომსახურება საჭიროების შემთხვევაში.

მოთხოვნა, როგორც წესი, დაწესებულებას მიემართება და მიზნად ისახავს, დაწესებულების კომპეტენციაში შემავალი უფლების მინიჭებას ბრალდებული ან მსჯავრდებული პირისთვის. კანონმდებლობით დაცულია მოთხოვნის სახეც, – სისტემაში მოთავსებულ პირებს შეუძლიათ მოთხოვნა კონფიდენციალურადაც წარადგინონ.

საჩივრის წარდგენა შესაძლებელია სასჯელალსრულების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი ქმედების/უმოქმედობის გამო, სამართლებრივი აქტის გასაჩივრების მიზნით ან უფლების სხვაგვარი ხელყოფის საფუძველზე. სპეციალური რეჟიმია დადაგენილი იმ სახის საჩივრებზე, რომლებიც დაკავშირებულია წამებასთან, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობასთან. სპეციალური ნორმებით რეგულირდება ასევე დისციპლინურ სახდელთან დაკავშირებით საჩივრის წარდგენის წესი. ამდენად, მოთხოვნა/საჩივართან დაკავშირებული პრობლემა უფრო მეტად, შეიძლება სისტემაში არსებულ პრაქტიკულ ბარიერებს უკავშირდებოდეს, ვიდრე არასათანადო საკანონმდებლო გარანტიებს.

პატიმრებისთვის საჩივრის უფლების რეალიზაცია, საჩივრების დაუბრკოლებლად და კონფიდენციალურად გაგზავნის უზრუნველყოფა, წლებია, პატიმრების მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოთქმული წუხილის მიზეზია. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ინფორმაციით, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, მართალია, საჩივრის ყუთები განთავსებული იყო, თუმცა მათი დიდი ნაწილი კვლავ ვიდემეტევალყურეობის არეალში ხვდება, რაც კონფიდენციალური საჩივრის ავტორის ამოცნობის შესაძლებლობას იძლევა. დახურული ტიპის დაწესებულებებში კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება ვინაობის დადგენის გარეშე არ ხდება. კონვერტის მოთხოვნისას, სოციალური სამსახურის თანამშრომლის მიერ კონვერტის ნომრის, პატიმრის სახელისა და გვარის ჩანიშვნა, კონფიდენციალობის აშკარა დარღვევაა.²³⁶

საჩივრის წარდგენის უფლებით სარგებლობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სისტემაში დღემდე შემორჩენილი არაფორმალური მმართველობის მძიმე პრაქტიკა. ამ პრობლემაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბოლო პერიოდში სახალხო დამცველის მხრიდანაც. სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში აღწერილია არაფორმალური მმართველობის შემაშფოთებელი ტენდენციები სისტემაში.²³⁷ პენიტენციურ დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობა მძიმე სისტემური პრობლემაა, რომელიც ბევრ სხვა საკითხთან ერთად, ხელს უშლის ბრალდებული/მსჯავრდებული პირების მიერ საკუთარი უფლებების სათანადო რეალიზებას.

ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში, ირღვევა კონფიდენციალურობის სტანდარტი, საჩივარი/მოთხოვნა ექვემდებარება ცენზურას და ხშირად ადრესატამდე არც მიდის.²³⁸ პენიტენციურ სისტემაში მოქმედი ცენზურის წესი (კორესპონდენციის შინაარსის კონტროლი) და მისი გამოყენების პრაქტიკა/ინტენსივობა, ლახავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას.²³⁹

236 სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3elvzKX> ბოლოს ნანახია: 29.04.2021.

237 იხ: სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3w6ILBI> წვდომის თარიღი: 15.05.2021 ამავე საკითხზე დამატებით იხილეთ: <https://bit.ly/3btES0A> წვდომის თარიღი: 15.05.2021

238 იქვე: გვ: 73, ამავე საკითხზე დამატებით იხილეთ სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3elvzKX> წვდომის თარიღი: 29.04.2021

239 ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ სისტემაში, „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hGtiDx> წვდომის თარიღი: 15.05.2021

ვიზიტების სიმცირე და კავშირი ოჯახთან

მსჯავრდებული პირებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე ვიზიტების სიმცირე, ოჯახის წევრებთან კავშირი და სიახლოვე.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, მსჯავრდებული პირებისთვის არსებობს ვიზიტის და ოჯახთან, სხვა პირებთან კომუნიკაციის რამდენიმე საშუალება. ესაა ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები, ვიდეოპაემანი, სატელეფონო ზარი.²⁴⁰

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, სასჯელის მოხდის რეჟიმის გათვალისწინებით, არის პაემნის უფლების ხანგრძლივობა, ინტენსივობა და კონფიდენციალურობის დაცვა ვიზიტის დროს.

ხანმოკლე პაემნებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოწვევაა ის, რომ რამდენიმე დაწესებულებაში ჯერ კიდევ მოქმედია მინის ბარიერები. ამასთანავე, სათანადოდ არ არის დაცული ხანმოკლე პაემნის მიმდინარეობისას მსჯავრდებულის და შემხვედრი პირის კონფიდენციალურობა. ხანმოკლე პაემანი კონტროლდება ვიზუალურად ან ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით.²⁴¹

ბევრი საკანონმდებლო ხარვეზი აქვს ხანგრძლივი პაემნების განხორციელებას. პირველ რიგში ეს შეეხება ინტენსივობას. დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, წელიწადში შესაძლოა ჰქონდეს მხოლოდ 2, ხოლო განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს – 1 ხანგრძლივი პაემანი.²⁴² პრობლემაა ისიც, რომ ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობა ფინანსებთან არის დაკავშირებული. პაემნით სარგებლობის საფასურს იხდის მსჯავრდებული ან სტუმარი.

გარესამყაროსთან კონტაქტის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ვიდეოპაემანი. ამ მექანიზმის სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ კანონმდებლობით არ არის შეზღუდული იმ პირთა წრე, ვისთანაც შესაძლებელია ვიდეოპაემნის გამართვა. თუმცა, ვიდეოპაემნით ვერ სარგებლობს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, რომელსაც ისედაც შეზღუდული აქვს ბევრი უფლება. მნიშვნელოვანი პრობლემაა კომუნიკაციის

240 პატიმრობის კოდექსი

241 იხ: სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RkIT0A> წვდომის თარიღი: 15.05.2021

242 მსჯავრდებულთა ხანგრძლივი პაემნის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 ივლისის №132 ბრძანება.

და გარე კონტაქტის საკითხი უცხოელი მსჯავრდებულებისთვის. ისინი,²⁴³ ოჯახთან სიშორის გამო, ვერ სარგებლობენ პაემნის თითქმის ვერცერთი სახით და პრაქტიკული დაბრკოლებები აქვთ, მათ შორის, სატელეფონო ზარის განხორციელების კუთხითაც.²⁴⁴

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტიპის მიხედვით, განსხვავდება სატელეფონო ზარებით სარგებლობის ხანგრძლივობაც.²⁴⁵ განსაკუთრებით პრობლემურია სატელეფონო ზარების ხანგრძლივობა დახურული და განსაკუთრებული რისკისთვის მსჯავრდებულების აღკვეთის დაწესებულებებში. დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს ერთი თვის განმავლობაში შეუძლია საკუთარი ხარჯით 3 სატელეფონო ზარის განხორციელება, თითოეული არა უმეტეს 15 წუთისა,²⁴⁶ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს კი – 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული არაუმეტეს 15 წუთისა²⁴⁷. იმ პირობებში, როცა ამ ტიპის დაწესებულებებში სასჯელის მოხდა ისედაც მძიმე პირობებში უწევთ მსჯავრდებულებს, სახელმწიფოში მწირია რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროგრამები, სატელეფონო ზარების ხანგრძლივობის ამგვარი შეზღუდვა, კიდევ უფრო მეტად ართულებს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროცესს, სრულიად წყვეტს მათ გარესამყაროსგან, საზოგადოების და ოჯახისგან.

წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც სოციოლოგიური კვლევით გამოვლინდა, პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობას უკავშირდება. მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს სისტემაში ჯანმრთელობის დაცვის უწყებრივი, სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამების განხორციელება.²⁴⁸ პატიმრობის კოდექსით გარანტირებულია მსჯავრდებული პირის უფლება, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით, სისტემაში ნებადართული სამკურნალო საშუალებებით. შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, მსჯავრდებულის სახსრებით პირადი ექიმის მოწვევაც.²⁴⁹

243 7დეტალურად იხილეთ: Prisons and health, WHO regional office for Europe, 2014, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3w8bvZD> წვდომის თარიღი: 15.05.2021

244 იხ: სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RkIT0A> წვდომის თარიღი: 15.05.2021

245 პატიმრობის კოდექსი, მუხლები: 60²; 62, 65, 66³

246 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 65

247 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 66³

248 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 7¹

249 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 24.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებით, აუცილებელია სახელმწიფომ ეკვივალენტურობის პრინციპის დაცვით, იმავე ხარისხით და ოდენობით უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში, ჯანდაცვის ყველა იმ სერვისის დანერგვა, რაც ზოგადად ხელმისაწვდომია სამოქალაქო სექტორში.²⁵⁰

ამ სტანდარტის საპირისპიროდ, პენიტენციურ სისტემაში იმავე დოზით და ხარისხით არ არის ხელმისაწვდომი ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის ყველა სერვისი. განსაკუთრებით პრობლემურია ეს საკითხი წამალდამოკიდებულ პირებთან მიმართებით. პენიტენციურ სისტემაში დღემდე არ მოქმედებს ხანგრძლივი ჩანაცვლებითი მკურნალობის პრობლემა. სისტემა მხოლოდ ხანმოკლე დეტოქსიკაციის კურსს სთავაზობს მსჯავრდებულ და ბრალდებულ პირებს. ასეთ შემთხვევაში კი, პირებს, რომლებიც სასჯელის დაკისრებამდე, სამოქალაქო სექტორში ჩართულები იყვნენ ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში, იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგე უწევთ მკურნალობაზე უარის თქმას. ამგვარი მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის ჯანდაცვის კონსტიტუციურ უფლებასთან და, შესაძლოა, მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას.²⁵¹

მნიშვნელოვანი პრაქტიკული პრობლემაა პენიტენციურ სისტემაში დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურება. გარდა შესაბამისი სერვისების არარსებობისა, პრობლემაა ჯანდაცვის სპეციალისტების გადატვირთულობაც. მორიგე ექიმებსა და ექთნების მძიმე სამუშაო პირობები, რაც, საერთო ჯამში, აფერხებს მსჯავრდებულთათვის სამედიცინო მომსახურების განევას.²⁵²

სასჯელის მოხდის შემდგომი პროცესი, დაბრკოლებები რეინტეგრაციის პროცესში

კვლევიდან ირკვევა, რომ სასჯელის მოხდის შემდგომ პერიოდში, ადამიანები მთელი რიგ დაბრკოლებებს აწყდებიან, რაც ხელს უშლის მათ ხელახალ ინტეგრაციას და რესოციალიზაციას.

სასჯელის მოხდის შემდგომ პროცესში, ეკონომიკური თუ სოციალური ბარიერების დაძლევა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად ქმნის ამისთვის

250 Prison and health, WHO regional office for Europe, 2014, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3hFPAoS> წვდომის თარიღი: 15.05.2021

251 დამატებით იხილეთ: ოპოიდებზე დამოკიდებული პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამები პენიტენციურ სისტემაში (კანონმდებლობის ანალიზი), „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33M466e> წვდომის თარიღი: 15.05.2021

252 იხ: სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RkIT0A> წვდომის თარიღი: 15.05.2021

საკმარის საფუძველს სისტემა, სასჯელის მოხდის პროცესში. როგორია გათავისუფლებისთვის მომზადების ხარისხი და რას სთავაზობს სახელმწიფო მსჯავრდებულს, გათავისუფლების შემდეგ რეციდივის რისკის შესამცირებლად.

სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადობის დასაძლევად, აუცილებელია საკმარისი პროფესიული და საგანმანათლებლო საფუძვლების შექმნა მსჯავრდებული პირებისთვის. ამ კუთხით, სასჯელის მოხდის პერიოდში არსებული პირობები თუ დაბრკოლებები, არსებით გავლენას ახდენს გათავისუფლების შემდეგ პირის რეინტეგრაციაზე.

უნდა აღინიშნოს რომ, მოქმედი კანონმდებლობით, ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს მიიღოს ზოგადი და პროფესიული განათლება. თუმცა, ყველა სახის პროფესიული განათლება პენიტენციურ სისტემაში ხელმისაწვდომი არ არის. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ პროფესიებს, რომელთა შესწავლაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაშია შესაძლებელი.²⁵³

მსჯავრდებულ პირს შეუძლია ისწავლოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ და მეორე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).²⁵⁴ თუმცა, უმაღლესი, აკადემიური პროგრამებით სარგებლობა პენიტენციურ სისტემაში გარკვეულ ბარიერებთან არის დაკავშირებული. ბაკალავრის და მაგისტრატურის საფეხურზე სწავლება, მხოლოდ ორი ტიპის დაწესებულებაშია დასაშვები – გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულებისთვის.²⁵⁵ შესაბამისად, პენიტენციურ სისტემაში, უმაღლესი აკადემიური განათლების მისაღებად, მხოლოდ მსჯავრდებულის სურვილი და შესაძლებლობა არ არის საკმარისი. ამისთვის აუცილებელია, მსჯავრდებული აკმაყოფილებდეს იმ ორ დაწესებულებაში განსათავსებლად დადგენილ კრიტერიუმებს, სადაც შესაძლებელია უმაღლესი განათლების მიღება.

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება განთავსდეს მხოლოდ დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებული, რომელსაც ფაქტობრივად მოხდილი აქვს დებულებით გათვალისწინებული სასჯელის შესაბამისი ვადა.²⁵⁶ დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის მოსათავსებლად კი, მხედველობაში მიიღება დანაშაულის მოტივი, დამდგარი შედეგი, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი

253 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 115.

254 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 14.

255 ბაკალავრის საფეხურზე სწავლა ასევე შესაძლებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.

256 პატიმრობის კოდექსი, მუხლი 71⁵

ქცევა და სხვ.²⁵⁷ შესაბამისად, ამ ტიპის დაწესებულებაში პირის განთავსება შეფასებაზეა დამოკიდებული, რაც მსჯავრდებულებს არ აძლევს ცალსახად, მათი სურვილის შემთხვევაში აკადემიური განათლების მიღების შესაძლებლობას. ამგვარი მიდგომა ამცირებს პენიტენციურ სისტემაში განათლების მიღების, ხოლო შემდგომ ეტაპებზე კი, დასაქმების და რეინტეგრაციის შესაძლებლობებს.

დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს დასაქმება სასჯელისგან გათავისუფლების შემდეგ. უმუშევრობა კი, თავის მხრივ, იწვევს მძიმე სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს. იგი პირდაპირ არის დაკავშირებული ინტეგრაციის და რესოციალიზაციის პროცესთანაც. უფრო მეტიც, გათავისუფლების შემდეგ უმუშევრობა დანაშაულის რეციდივის რისკს წარმოშობს. ამიტომაც, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სასჯელისგან გათავისუფლებული პირების დასაქმებას.

ქვეყანაში არ არსებობს იმგვარი სოციალური და დასაქმების პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს პირთა დასაქმებას სასჯელის მოხდის შემდგომ პერიოდში. მწირია შესაბამისი პროგრამებიც პენიტენციურ სისტემაში, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს გათავისუფლების შემდგომ რეინტეგრაციას და დასაქმებას. პენიტენციური სისტემა მსჯავრდებულებს, სასჯელის მოხდის პერიოდში, სისტემის ფარგლებში სთავაზობს სხვადასხვა ადგილას დასაქმებას. თუმცა სისტემა სათანადოდ არ ზრუნავს გათავისუფლების შემდეგ ეტაპზე. ოფიციალურ წერილში, სპეციალური პენიტენციური სამსახური პირდაპირ აღნიშნავს, რომ ყოფილი მსჯავრდებულების დასაქმების ხელშეწყობა სცდება სამსახურის კომპეტენციას. სამსახურის ცნობით, გათავისუფლების შემდეგ პირს შეუძლია მიიღოს სხვადასხვა სახის მომსახურება დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის სააგენტოსგან, მათ შორის, მიიღოს მონაწილეობა დასაქმების პროგრამებში.²⁵⁸

გარდა პოლიტიკის დონეზე არსებული პრობლემებისა, მნიშვნელოვანი ბარიერებია კანონმდებლობაშიც. კანონმდებლობით, პირი მოხელედ არ მიიღება საჯარო სამსახურში, თუ იგი ნასამართლევაა განზრახი დანაშაულისთვის.²⁵⁹ ამგვარ შეზღუდვას კანონმდებლობაში ლეგიტიმური საფუძვლები აქვს. განსაკუთრებით კი, კონკრეტულ დაწესებულებებში საქმიანობის სპეციფიკის და ჩადენილი დანაშაულის

257 იქვე, მუხლი: 60¹

258 კვლევის გუნდის მიმართვის მიუხედავად, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის სააგენტოსგან, ორგანიზაციამ ვერ მიიღო ინფორმაცია, ზოგადად დანაშაულის პრევენციის მიზნებისთვის, მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ (ინფორმაცია წარმოდგენილია 2021 წლის 27 აპრილის მდგომარეობით).

259 საჯარო სამსახურის შესახებ, საქართველოს კანონი, მუხლი 27.

ხასიათის გათვალისწინებით, შესაძლოა, ეს შეზღუდვა აბსოლუტურად გამართლებული იყოს. ამგვარ საგამონაკლისო ჩანაწერს შრომის კოდექსიც ითვალისწინებს. თუმცა, არ იქნება მართებული ერთიანად გადაწყდეს ეს საკითხი ყველა სახის სამსახურში, ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედებისთვის მსჯავრდებული პირის მიმართ.

გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი შემზღუდავი ნორმა საჯარო სამსახურის შესახებ 2015 წლამდე მოქმედ კანონმდებლობაშიც გვხვდებოდა. აქვე იყო პირდაპირი მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ პირი შეიძლება დასაქმებულიყო საჯარო სამსახურში, ნასამართლობის მოხსნის შემთხვევაში.²⁶⁰

მოქმედი კანონი ამგვარ დათქმას არ ითვალისწინებს. მართალია, ნასამართლობის მოხსნის შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსიდან გამომდინარე, პირს არ უნდა შეექმნას საჯარო სამსახურში დასაქმების დაბრკოლება, რადგან პირი ნასამართლევად მხოლოდ ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების მომენტამდე მიიჩნევა,²⁶¹ თუმცა, მოქმედი კანონის ჩანაწერი, არაერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების რისკს წარმოშობს. ამიტომაც, მნიშვნელოვანი იქნებოდა, ამ საკითხს საჯარო სამსახურის შესახებ კანონიც აზუსტებდეს. ასევე, მიზანშეწონილია იმავე ლოგიკით გადაიხედოს დასაქმების შესაძლებლობა ნასამართლობის გაქარწყლების შემთხვევაშიც. ერთგვაროვანი პრაქტიკის შექმნის მიზნით, კანონმდებლობაში ცალსახად უნდა იყოს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ დასაქმებისას მხედველობაში არ მიიღება მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა.

დასაქმება განსაკუთრებული პრობლემაა ნარკოდანაშაულისთვის მსჯავრდებული პირებისთვის. მოქმედი კანონმდებლობა სხვა შეზღუდვებთან ერთად, ითვალისწინებს ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებული პირისთვის სხვადასხვა სახის საქმიანობის უფლების ჩამორთმევას.²⁶²

რესოციალიზაციის მექანიზმები

რესოციალიზაციის და ხელახალ ინტეგრაციაზე მუშაობა სასჯელის აღსრულებასთან ერთად უნდა დაიწყოს. არ შეიძლება ეს პროცესი სასჯელის მოხდის შემდგომ ეტაპად მივიჩნიოთ. ამგვარ შემთხვევაში, ცხადია, სასჯელის მიზნები ვერ მიიღწევა. სასჯელის მოხდის პროცესში სათანადო საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში, გართულებულია შემდგომი ინტეგრაცია საზოგადოებაში. მათ შორის, ზრუნვა დასაქმებაზე, სასჯელის მოხდის პროცესში უნდა დაიწყოს.

260 იხილეთ საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 2015 წლამდე მოქმედი რედაქცია.

261 სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 79

262 ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3.

პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულებებში არსებობს ექვსთვიანი რესოციალიზაცია-რეინტეგრაციის პროგრამა „მომზადება გათავისუფლებითვის“. პროგრამაში ერთეებიან ის მსჯავრდებულები, რომლებსაც სასჯელის მოხდამდე დარჩათ მინიმუმ ერთი წელი.²⁶³ მსგავსი პროგრამების არსებობა სისტემაში ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს ფრაგმენტული ხასიათი აქვს და არ არის მორგებული მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ამასთანავე, ციხის სუბკულტურა და ე.წ. არაფორმალური მმართველობა მსგავს პროცესებზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, მსჯავრდებულებს არ აძლევს საშუალებას, სურვილის შემთხვევაშიც კი, მიიღონ მონაწილეობა პროგრამაში.²⁶⁴

ამ მიმართულებით დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში 2020 წლიდან ამოქმედდა მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრი. ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის პროცესს, შესთავაზოს მსჯავრდებულებს პროფესიული მომზადება და გადამზადება, ასევე, ხელი შეუწყოს მსჯავრდებულთა მომზადებას შემდგომი დასაქმებისთვის.²⁶⁵

საპოლიციო კონტროლის რისკები

სასჯელისგან გათავისუფლების შემდეგ (ასევე პრობაციაში ყოფნის პერიოდში), ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ყველაზე დიდი სირთულე, პოლიციის ინტენსიური კონტროლია.

უდავოა, რომ პირისთვის პირობითი მსჯავრის დაკისრების შემთხვევაში, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სასჯელის აღსრულების პროცესზე ეფექტიანი კონტროლი. პირობითი მსჯავრის აღსრულების კონტროლის და ზედამხედველობის საკმარის მექანიზმს შეიცავს კიდევ შესაბამისი კანონმდებლობა. თუმცა, ძალიან დიდი პრობლემაა ინტენსიური საპოლიციო კონტროლის ქვეშ პირის მოქცევა სასჯელისგან გათავისუფლების შემდეგ. ცხადია, რომ პირთა კონტროლის ობიექტივში მოქცევა, უფრო მეტად, პრაქტიკის პრობლემაა, ვიდრე არსებული კანონმდებლობის. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი კანონმდებლობაც იძლევა ამის შესაძ-

263 ინფორმაცია ეყრდნობა სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 15 თებერვლის №36813/01 წერილს.

264 იხ: სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3htYXS> ბოლოს ნანახია: 15.05.2021

265 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №492 ბრძანება.

ლებლობას, ოპერატიული საქმიანობის ფარგლებში, რაც ამ მექანიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამონკვევაა ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა ოპერატიული ღონისძიება და მათ შორის, მექანიზმები, რომლებიც, შესაძლოა, პირთა კონტროლის მიზნით გამოიყენებოდეს, სასამართლო ნებართვის გარეშე ხორციელდება.²⁶⁶

სასჯელისგან გათავისუფლების შემდეგ, კონტროლის მექანიზმების გაძლიერება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს არ აქვს პრევენციის ეფექტიანი მეთოდი. ამ პირობებში კი, ინტენსიური საპოლიციო კონტროლი და ადამიანის ობიექტივში მოქცევა, სახელმწიფოს ხელში რეციდივის პრევენციის მექანიზმად რჩება.

266 დეტალურად იხილეთ: ოპერატიული საქმიანობა სამართალდაცავ ორგანოებში, „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ohGdNp> ბოლოს ნანახია: 15.05.2021

შეჯამება

სხვადასხვა ტიპის დანაშაულის მიზეზების, პრობლემის საფუძვლებისა და გადაწყვეტის გზების ძიება ხშირად არასწორი პრიზმიდან მიმდინარეობს, რაც, საბოლოოდ, საკითხებს ელიტური და ძალაუფლებრივი პერსპექტივებიდან წარმოაჩენს. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ წარმოდგენები, როგორც წესი, მოსამართლეების, სამართალდამცავი უწყებებისა და, ზოგადად, სახელმწიფო სტრუქტურების მიერ იქმნება.²⁶⁷ მართლმსაჯულების და სამართალდამცავ ორგანოებთან შემხებლობაში მყოფი რიგითი ადამიანების ხმა კი ვერ პოულობს სივრცეს, სადაც მან სტრუქტურული და სისტემური პრობლემების შესახებ ალტერნატიული ხედვების ჩამოყალიბებას შეიძლება შეუწყოს ხელი. ამ მხრივ, ცოდნის ლეგიტიმურობის საკითხი კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ხოლო კვლევებს, რომლებიც კონკრეტული გამოცდილებებისა და პრობლემების სტრუქტურული მიზეზების შესწავლას ეფუძნება, განსაკუთრებული როლი აკისრიათ.

ნარკოდანაშაულის ცალკეული სახეების და ქურდობა/ძარცვის შემადგენლობის სოციოლოგიურმა კვლევამ და მის საფუძველზე, არსებული ვითარების სამართლებრივმა ანალიზმა, ცხადყო, რომ ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირების პროცესი სათანადო კვლევებს არ ეფუძნება. ცენტრალურ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები კი, ჯეროვნად არ ასახავს ქვეყნის მასშტაბით არსებულ საჭიროებებს. პოლიტიკის ფორმირების პროცესი დაცლილია სოციალური ბაზისებისგან.

მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონი, საბანკო სესხი, აზარტული თამაშებით დაკისრებული ფინანსური ვალდებულებები, ქურდობის და ძარცვის შემთხვევების ძირითადი საფუძველია ქვეყანაში. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს რეაგირება დანაშაულზე მხოლოდ რეაქციულია, იგი არ ზრუნავს დანაშაულის გამომწვევი სოციალური და ეკონომიკური მიზეზების შემცირებაზე, შესაბამისი სოციალური პოლიტიკის ფორმირებაზე.

კვლევით დგინდება, რომ მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე არის ნარკოდანაშაულის (ნარკოტიკული საშუალების მოხმარება) გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, არსებული მძიმე ვითარებიდან თავის დაღწევის, ალტერნატიული რეალობის, მდგომარეობის შექმნის საშუალებაა ადამიანებისთვის, რომელთა ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას სახელმწიფო ვერ ახერხებს.

267 Tony Platt, Prospects for a radical criminology in the USA, in Critical Criminology edited by Ian Taylor, Paul Walton and Jock Young, London, 1975, p. 99.

„დამსჯელი სახელმწიფოს“ იდეა განსაკუთრებით ცხადია ნარკოპოლიტიკის კონტექსტში. შიდა და საერთაშორისო დონეზე, სისტემური კრიტიკის მიუხედავად, სახელმწიფომ დღემდე ვერ შეძლო რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ცვლილება ზრუნვაზე ორიენტირებულ, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ პოლიტიკად.

პენიტენციურ სისტემაში საგანმანათლებლო პროგრამებზე წვდომის პრობლემის, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების სიმწირის, დასაქმების კუთხით არსებული საკანონმდებლო და პრაქტიკული ბარიერების ფონზე, სასჯელისგან გათავისუფლების შემდეგ პირთა მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება. ამ პირობებში კი მზარდია რეციდივის რისკი, რამდენადაც, სახელმწიფო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ღირსეულ სოციალურ დაცვას, უბიძგებს მას დანაშაულისკენ.

